ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „განდი“
8 ლარი –
21 მარტიდან 4 აპრილამდე
4 აპრილის შემდეგ „განდის“ ფასი 12 ლარი გახდება



ორშაბათი, 28 მარტი, 2011 №73 (5454) ფასი: 30 თეთრი

# ლალი აფციაური: „მინისტრმა კალმახელიძემ პატიმარი ზვიადაძე პირადად აწამა“



გვ.7



ქვეყნის ბიუჯეტი პატიმრების ფულით ივსება

## ნაციონალები ხელოვნურად გაყოფას გეგმავენ



ბოკერია თავის გადარჩენაზე ფიქრობს

გვ.4

## სააკაშვილი სამართლიან არჩევნებს არასდროს დანიშნავს



გვ.2

ხელისუფლებისგან გადაგდებული ოპოზიცია აქციებში მიიღებს მონაწილეობას

## მთელი მთავრობა გადასაყენებელია!

გვ.3



გილაურს ალოვნები არ ემორჩილებიან

## ოპოზიციის გაერთიანება აუცილებელია!



ხელისუფლებამ გვითხრას, უნდა თუ არა სამართლიანი არჩევნები

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## ხელისუფლებამ თავისი უსუსურობა გამოავლინა

გვ.9

ხალხი დაპატიმრების შიშით არ გაჩერდება



## სააკაშვილი რუსეთს ხელს ყველაფერზე მოუწერს

გვ.8

ISSN 1987-9385

2 ილია II: ჩვენ ჯვარი გადაგვარჩენს და მიგვიყვანს სასუფევლამდე

10 საქართველოში წარმოებული წამლები სომხეთში უფრო იაფად იყიდება

8 საქართველოში ფერმერებს ვალები უგროვდებათ

14 რაც აქამდე არ მომხდარა — ეკვატორზე ევროშანსი გველირსა

# საააკაშვილი სამართლიან არჩევნებს არასდროს დანიშნავს

## ხელისუფლებისგან გადაგდებული ოპოზიცია აქციებში მიიღებს მონაწილეობას



ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, გასული კვირა მინისტრების კვირეულად იყო გამოცხადებული პარლამენტში, თუმცა, მათგან ახალი და საინტერესო ვერაფერი მოისმინა საზოგადოებამ. პრეზიდენტის გამოსვლის მსგავსად ესეც მორიგ სპექტაკლად შეფასდა, როგორია თქვენი შეფასებები?***

— რა შეიიძლება ითქვას, ეს არის მორიგი ფარსი ხელისუფლების მხრიდან. ცდილობენ, მსოფლიოს აჩვენონ, რომ თითქოს ქვეყანაში პროცესები მიმდინარეობს დემოკრატიულად და პარლამენტი ანგარიშს სთხოვს მთავრობას. თუმცა, ვერც ერთი მინისტრეს მხრიდან ვერც საყვედური ვერ მოვისმინე, მინდა გითხრათ, ვერც არგუმენტირებული საყვედური. რაღაც სასაცილო სიტუაცია იყო, საყურებლადაც კი არასასიამოვნო, იმიტომ, რომ ქეციანი გულის ფხანის მომენტიც კი აღარ იყო, იმდენად ამაზრზენი იყო ყველაფერი. ეს იყო უნიჭო სპექტაკლი და სამწუხაროდ, ამ მორიგ სპექტაკლში ჩართული აღმოჩნდა საპარლამენტო ოპოზიციაც. მათ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაედგათ, რაც სამწუხაროდ, ვერ დავინახე. ეს არის ჩვეულებრივი ფანდი, რომ დაანახვონ მსოფლიოს — ნახეთ, როგორი დემოკრატიის გზაზე ვდგავართო.

***— მეორე საკითხია, რამდენად სჯერა მსოფლიოს ამ ყველაფრის...***

— რა თქმა უნდა, ამის აღარავის სჯერა. ეს ქართველ ხალხზეც იყო გათვლილი, საზოგადოების იმ ნაწილზე, ვისაც ჯერ კიდევ რაღაცის იმედი აქვს. თუმცა, ვერ იმუშავა ამ მოდელმა, მე მეგონა ხელისუფლება იმდენზე მაინც წავიდოდა, რომ ამ სპექტაკლს კარგად დადგამდა და ერთ-ორ მინისტრს შეწირავდა, თუნდაც სიტუაციის განსამუხტად, თუმცა, ასეთი რამ არ მოხდა. ხელისუფლება აგრძელებს თავის აღებულ კურსს, ანუ ბოკერიას იმ ფრაზას, რომ ჩვენ ჩვენსას უნდა მივაღწიოთ და ჩვენი გავიტანოთ ბოლომდე. მათ ვერაფერი ვერ ისწავლეს ამ შვიდი წლის განმავლობაში, ისინი დარჩნენ ისეთებად, როგორც მოვიდნენ.

***— რაც შეეხება უფრო აქტუალურ თემებს, ოპოზიციის ნაწილი არჩევნებზე საუბრობს, ნაწილი — რევოლუციაზე. თუმცა, მოვისმინე მოსაზრებები, რომ რევოლუცია არჩევნების შემდეგ უფრო იქნება გამართლებული. თქვენი პოზიცია როგორია, ჯერ არჩევნები და შემდეგ რევოლუცია თუ პირიქით?***

— ეს კვირა საინტერესო იყო როგორც ამ საპარლამენტო სპექტაკლით, საინტერესო იმ კუთხითაც იყო, რომ პატიმრების წამებასთან დაკავშირებით გაიმართა აქციები და ისიც იცით, რომ ამას დაკავებები მოჰყვა. ასევე საინტერესო იყო იმ კუთხითაც, რომ იმ რვა პარტიამ, რომელიც ჩართული იყო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესებული იყო, შეწყვიტეს ეს მოლაპარაკებები. როგორც თავად აცხადებენ, შეწყვიტეს, მაგრამ არ გადიან მოლაპარაკებებიდან. აი, ძირითადად ეს თემები იყო, რაზეც შეიძლება დღეს ჩვენ ვისაუბროთ. რაც თქვენ ბრძანეთ, ამ რევოლუციის საკითხთან დაკავშირებით, მე ყოველთვის ხმამაღლა ვაცხადებ და გავიმეორებ, რომ არანაირ რევოლუციურ მოვლენასთან საქმე არა გვაქვს და არც უნდა გვქონდეს. ის, რაც მოხდა 2003 წელს, არ იყო რევოლუცია, ეს იყო აშკარად სპექტაკლი და სპექტაკლი დამთავრდა ისე, როგორც მისმა რეჟისორებმა დადგეს და სცენარისტებმა დაწერეს. დღეს რაც ხდება საქართველოში, ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა. ვიმეორებ, რომ ბოლშევიკები არ წასულან ქვეყნიდან, ნეობოლშევიკები მართავენ ამ ქვეყანას. ამის შესახებ განცხადება საფრანგეთის ელჩმაც გააკეთა, რომ ქვეყანაში აშკარად ნეობოლშევიკური რეჟიმი არის და ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. ეს იქნება რევოლუციებით, სამშვიდობო აქციებით თუ სხვადასხვა მეთოდებით, ეს ბრძოლა მიმდინარეობს და გაგრძელდება მანამ, სანამ ამ რეჟიმის დემონტაჟი არ მოხდება.

***— რამდენად გამართლებულია რევოლუციის წინასწარ დაანონსება?***

— რევოლუციების წინასწარ დაანონსება არ ხდება. წინასწარ შეიძლება დააანონსო რაღაც აქცია, რაღაც საპროტესტო მსვლელობა და ასე შემდეგ. რევოლუციები შეიძლება მზადდებოდეს და ამას დასჭირდეს თვეები და შესაძლოა სულაც მომზადების გარეშე უცებ იფეთქოს. ამიტომაც ნაკლებად ჰქვია ამას რევოლუციები. დღეს ვიღაცას აწყობს, რომ ყველაფერი ასეთი ტერმინოლოგიით წარიმართოს, მაგრამ არ არის აქ საუბარი რევოლუციებზე, აქ საუბარია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ტალღაზე. რაც შეეხება იმას, ახლა მოხდება თუ არჩევნების შემდეგ, ჩვენ ვიცით, არჩევნები როგორ ტარდება საქართველოში ამ ბოლო დღეებში, ამაზე ბევრი საუბარი იყო. არ არის დადგენილი სიები, ადმინისტრაცია დაკონპლექტებულია ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ და ბუნებრივია, ეს არჩევნები გაყალბდება და მერე ირბინე, რამდენიც გინდა, გინდა რევოლუცია მოაწყვე და რაც გინდა, ის გააკეთე. ამიტომ წინასწარ თქმა, ახლა მოხდება ეს რევოლუცია თუ არჩევნების დღეს მოხდება, ძალიან ძნელია. სიტუაცია უნდა იქნეს შექმნილი ისეთი, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა წარმართონ მთელი რიგი სამუშაოები და როდესაც ჩათვლიან, რომ ამისთვის საზოგადოება და თავად ეს პარტიები არიან მზად, სწორედ მაშინ უნდა დაიწყოს. ამას ვერავინ ვერ დააანონსებს, თუ როდის მოხდება. ამ დაანონსებებმა ჩვენ ვნახეთ, რომ არანაირი შედეგი არ მოგვიტანა. ჩვენ ვხედავთ, რომ დაანონსების გარეშე მთელი აღმოსავლეთი ფეხზე დგას და ყოველ დილით, როდესაც საინფორმაციოს ვუყურებ, ახალ-ახალი ქვეყნები ერთვებიან ამ პროცესში. ვხედავთ იმასაც, რომ დიქტატორული რეჟიმები მარცხდებიან და იმარჯვებს ხალხი. მოსაზრებები, რომ არჩევნების შემდეგ მოხდეს რაღაც პროცესები, ეს უფრო ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და რეჟიმის პროპაგანდისტულ მანქანას ემსახურება ასეთი მოსაზრებანი, რათა შეიქმნას იმის ილუზია, რომ არჩევნებამდე არანაირი მოვლენები არ უნდა განვითარდეს. მე არ ვეთანხმები ამ აზრს, არავინ არ იცის, როდის, როგორ და რანაირად იფეთქებს ეს დაგროვილი მუხტი. არ გამოვრიცხავ, რომ სულაც რამდენიმე დღეში მოხდეს ეს. მთავარია, როგორია საზოგადოების განწყობა და როგორია თავად ოპოზიციის ხედვა ამ საკითხთან მიმართებაში.

***— რვიანის პოზიციაზე რას იტყვით?***

— ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, ამაზე ჯაჭვივით არის გადაბმული ამ რვა ოპოზიციური პარტიის პოზიცია, ის, რაც ჩვენ ამ დღეებში მოვისმინეთ და რაზეც აუცილებლად უნდა ვთქვა ერთი-ორი სიტყვა. ჯერ ერთი, იქ რვა პარტია არ არის, როგორც გაირკვა, ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობს 7 პარტია და საზოგადოებამ არც იცის, რომელ პარტიებზეა საუბარი. საჯაროდ არ გაჟღერებულა, რა წარადგინა ამ პარტიებმა და რას ითხოვენ, დეტალურად არ ვიცით, თორემ ზოგადად ვიცით, ბიომეტრიული ფოტოსურათების მოთხოვნას აყენებენ, თუმცა, დეტალურად რას ითხოვენ, არავინ იცის. ასევე ზოგადად ვიცით, თუ რა პასუხი გასცა ამ პარტიებს ხელისუფლებამ.

***— ფაქტია, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და თავადაც არ გამორიცხავენ, რომ კრახით დასრულდეს...***

— გეთანხმებით, აზრმა სწორედ ამდაგვარად გაიჟღერა, მაგრამ საკითხი ცოტა სხვანაირად დადგა. ჩვენ შევწყვიტეთ ეს მოლაპარაკებები, მაგრამ ამ მოლაპარაკებებიდან არ გავდივართო, ხუთი თვე ამას ვითმენდით და თუ ხელისუფლება არ გადმოდგამს რაიმე კონკრეტულ ნაბიჯს და თუ ეს ნაბიჯები არ იქნება ცინიკური, მაშინ ჩვენ გავაგრძელებთ ამ მოლაპარაკებებსო. მე ძალიან გამკვირვებია, იქ გამოცდილი პოლიტიკოსები არიან, ამდენი წელიწადია ეს ხალხი პოლიტიკაშია და რამეს ელოდება ეს პარტიები სერიოზულს, რომ ხელისუფლება, რომელიც არის დამნაშავე, რომელსაც აქვს ჩადენილი უამრავი დანაშაული, რომელმაც არ გაატარა ქვეყანაში არც ერთი რეფორმა, რომელი ხელისუფლებაც ხელისუფლებაში მოვიდა იმისთვის, რომ ეძარცვათ საქართველოს მოსახლეობა, რომლებსაც ჩადენილი აქვთ უამრავი დანაშაული და მათ სჯერათ, რომ ეს ხელისუფლება გადმოდგამს ნაბიჯს და ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს? თუ ამის ილუზია გააჩნია ამ ხალხს, მაშინ არ ვიცი რა გითხრათ. პოლიტიკა მე ცოტა სხვანაირად მესმის და ეტყობა ამ ხალხს პოლიტიკა სულ სხვანაირად ესმით.

***— გამოითქვა მოსაზრებები, რომ თუ აქციები დაიწყო, ეს რვა ოპოზიციური პარტია სხვაზე ადრე გავა ქუჩაშიო...***

— ეს მეც არაერთხელ მითქვამს. რვიანში არიან პარტიები, რომლებიც კიდეც რომ დაიწყოს აქციები, მართლაც წამოვლენ და დადგებიან ქართველი ხალხის გვერდში. თუნდაც იგივე ზვიად ძიძიგური და არიან კიდევ ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ეროვნულ მოძრაობას შეწირეს და დიდად არ გამიკვირდება ამ ადამიანებისგან გადმოდგმული ეს ნაბიჯი, მაგრამ შესაძლოა ისეთი პარტიებიც წამოვიდნენ, რომლებიც სულ არჩევნები, არჩევნებს გაიძახიან. თუ რომელიმე მათგანს ჰგონია, რომ იგივე შალვა ხაჭაპურიძეს, ან რომელიმე რადიკალურ ოპოზიციას არ უნდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება და არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა, ძალიანაც შემცდარან. რა თქმა უნდა, გვინდა. ვის უნდა ქუჩაში დღედაღამ დგომა და აქციებში მონაწილეობა და კიდევ კაცმა არ იცის, რაში შეიძლება გადაიზარდოს ეს აქციები. უამრავი რისკფაქტორი არსებობს. თუმცა, ეს ხელისუფლება სამართლიან არჩევნებზე წამომსვლელი არ არის. ხელისუფლებას, რომელსაც უამრავ დანაშაულში ედება ბრალი, როგორც ტერორისტებთან არ აქვს აზრი მოლაპარაკებების გამართვას, ისე — ამ ხელისუფლებასთან. თვითმფრინავის გამტაცებელს დაუჯდები და დაუწყებ მოლაპარაკებებს, თვითმფრინავი დათმეო? ეს ხომ აბსურდულია?! ასევე აბსურდულია ამ დამნაშავე რეჟიმთან მოლაპარაკებების გამართვა, ისინი ცოცხალი თავით არაფერს დათმობენ. ამათ უნდათ, დასავლეთს აჩვენონ, რომ იცით, ჩვენ არა ვართ ის ხალხი, ვინც პირდაპირ ქუჩაში გარბის, ქუჩაში ხაჭაპურიძე გარბის, ბურჯანაძე გარბის, ქართული პარტია გარბის. ჩვენ, იცით, რა გაწონასწორებულები ვართ. ჩვენ თუ კიდევ დაგვიძახებენ, კიდევ დავჯდებით. უკაცრავად, ერთი შეკითხვა მაქვს, ეს ის ხალხი არ არის, 100 ათას-100 ათასი, რომ აიღეს ხმები რომ უნდა დაეთვალათ?! მერე რომ დაუჯდნენ იქ ამერიკულ ორგანიზაციას და თქვეს, არჩევნების ჩატარება შეიძლებაო?! რაიმე შეიცვალა მის მერე?! სად წაიღეს ეს 100 ათას-100 ათასი საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი, ან რატო წაიღეს? ეს ის პოლიტიკური პარტიები არ არიან, თუ მეშლება რაღაცები და ამნეზია დამემართა?! თუ ვინმე ვერ ხვდება, მაშინ მე მივახვედრებ ქართველ ხალხს, რა პოლიტიკურ თამაშთან გვაქვს საქმე.

***— რას გულისხმობთ?***

— ეს არის კიდევ ვადის მიცემა სააკაშვილისთვის, იმისთვის, რომ როგორმე შემოდგომამდე მიაღწიოს და შემოდგომის შემდეგ აზრი არა აქვს, იყვირე — რევოლუცია, რევოლუციაო, არჩევნები მოდის და გინდა-არ გინდა უნდა ემზადო არჩევნებისთვის. არ მოემზადები და მოძებნიან შენს შემცვლელ პოლიტიკურ პარტიას, ვინც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას და გაუპრავებენ არჩევნებს. ახლა მთელი კვირა გახარებულები იყვირებენ, აი, ჩვენ ავდექით მოლაპარაკების მაგიდიდან, ჯერ რომ დაუჯექი, მაშინ რამ გაგახარა, ან ახლა რა გიხარია?! ან რატომ დაჯექი და ან რატომ ადექი, ან როდის უნდა დაჯდე კიდევ? არჩევნების წინა დღეებში რომ გითხრან ამათ, დიალოგი გავმართოთ და დაუჯდნენ, რა გამოდის? იცით, რა გამოდის, სწორედ ახლა დადგა დღის წესრიგში თქვენი კითხვა, რომ რევოლუციას არჩევნებამდე აზრი არა აქვს და რომ რევოლუცია უნდა მოხდეს არჩევნების შემდეგ, ამას გეგმავს ხელისუფლება და ამ პროვოკაციაზე არის წამოგებული ეს პარტიები. თუ წამოგებულები არიან და მიზანმიმართულად არ ხდება ეს ყველაფერი.

***— ამ ყველაფრის მიუხედავად, საუბარია, რომ აპრილის ბოლოდან შეიძლება სერიოზული პროცესები დაიწყოს. თქვენ თუ ელით ამ პროცესებს?***

— მე ვემზადები ამ პროცესებისთვის, არა თუ ველი. ვემზადები სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად. ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია დ არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, თუ ასე გაგრძელდა. თუ პატრიოტი ხარ და სამშობლოს მოყვარული ხარ, თუ ხედავ, რომ არჩევნების გზით არაფერი არ გამოვა, მაშინ უნდა მიიღო გადაწყვეტილება იმისთვის, რომ სამშვიდობო საპროტესტო მანიფესტაციების გზით მიაღწიო წარმატებას და ეს ხელისუფლება გაუშვა პოლიტიკური არენიდან.

# ილია II: ჩვენ ჯვარი გადაგვარჩენს და მიგვიყვანს სასუფევლამდე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა,უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას ჯვრის მნიშვნელობაზე ისაუბრა.



— ჯვარს ძალიან დიდი ძალა აქვს. წმინდა მამები ამბობდნენ, რომ ეშმაკს არა აქვს უფლება თავისი თავი ჯვრისა და ღვთისმშობლის სახით გამოისახოს. ამიტომ გვაქვს ყოველ ადამიანს ჯვარი. ჩვენ ეს ჯვარი გადაგვარჩენს და მიგვიყვანს სასუფევლამდე, — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანზე ვამბობთ ასეთი ბედი მისცა უფალმა, ან ასეთი ჯვარი არგუნაო. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ ადამიანს თავისი ჯვარი გააჩნია.

უპირველესად, ადამიანმა უნდა შექმნას თავისი ცხოვრების განმავლობაში თავისი სულიერი და ცხოვრებისეული ჯვარი.

უწმინდესმა ადამიანის ორხაზოვან ცხოვრების გზაზეც ისაუბრა. უპირველესად, ადამიანი ვერტიკალურად უნდა ცხოვრობდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისწრაფვოდეს ღვთისაკენ. ხოლო მეორე გზა არის ჰორიზონტალური გზა, ანუ სწრაფვა ადამიანისკენ„, — აღნიშნა ილია მეორემ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს გაჭირვებული ადამიანის შველისკენ მოუწოდა.

— ყოველმა ადამიანმა უნდა დაინახოს სხვისი გაჭირვება და მივიდეს და უშველოს მას. როგორც პავლე მოციქული ამბობს: ურთიერთ ჯვარი უნდა ვიტვირთოთ, — ბრძანა უწმინდესმა.

ილია მეორემ სრულიად საქართველოს ჯვრის ძალა უსურვა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოს ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარე ეწვია

საქართველოს ბულგარეთის სახალახო კრების თავმჯდომარე ცეცკა ცაჩევა ეწვია. იგი ოფიციალურ შეხვედრებს ხვალიდან გამართავს. დაგეგმილია მისი შეხვედრა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასთან.

ბულგარელ სტუმარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორეც მიიღებს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და ბულგარეთს შორის საჰაერო გადაზიდევბის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება. მას ხელს ბულგარეთის ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის მინისტრი ალექსანდრ ცვეტკოვი და საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია მოაწერენ.

ცეცკა ცაჩევა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, ელენე ახვლედიანის სახელობის სახლ-მუზეუმს, თბილისის ძველ უბნებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს.

ბულგარეთის დელეგაცია საქართველოს 29 მარტს დატოვებს.

**მედიანიუსი**

# სამთავრობო კვირეული ამ კვირაში დასრულდება



მიმდინარე კვირაში პარლამენტში ე.წ.სამთავრობო კვირეული დასრულდება. პარლამენტის წინაშე შემაჯამებელი მოხსენებით პრემიერ-მინისტრი ნიკა გილუარი, სავარაუდოდ, 29 მარტს წარსდგება. მასთან ერთად, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მთავრობა სრული შემადგენობით მივა.

შეგახსენებთ, რომ რომ პარლამენტში ე.წ.სამთავრობო კვირეული 22 მარტს დაიწყო. დეპუტატების წინაშე მოხსენებებით ნიკა გილაური, ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცოალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი წარსდგნენ.

ოპოზიციამ ბაკურ კვეზერელისა და კობა სუბელიანის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა, თუმცა კენჭისყრა ორივე შემთხვევაში ჩავარდა. თავდაპირველი გეგმით, მთავრობის მოსმენა 25 მარტისთვის უნდა დასრულებულიიყო, მაგრამ დეპუტატების კითხვებისა სიმრავლისა და დებატების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, მისი დასრულება დამდეგი კვირისათვის გადაიდო.

მთავრობის მოსმენის ინიციატივა „ქრისტიან-დემოკრატებს" ეკუთვნით. მსგავსი ფორმატის მოსმენა პარლამენტში აქამდე არ გამართულა. რაც შეეხება სამთავრობო საათს, ის უწინდებური სახით შენარჩუნდება.

**მედიანიუსი**

# „ოპოზიციური რვიანი" არასამთავრობოებს შეხვდება

„ოპოზიციურ რვიანში" შემავალი პოლიტიკური პარტიები დღეს, ქართული აკადემიისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრებს შეხვდებიან და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ხელისუფლებასთან გამართული მოლაპარაკებების შეჩერების მიზეზებს განუმარტავენ.

„რვიანის" წარმომადგენლები შეხვედრაზე არასამთავრობოებს საკუთარი სამომავლო გეგმების შესახებაც ესაუბრებიან.

აღსანიშნავია, რომ „ოპოზიციური რვიანი" უკვე შეხვედა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც საარჩევნო გარემოს შესაცვლელად მუშაობის პროცესს ხუთი თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ.

„რვიანის" წარმომადგენელთა განცხადებით, შეხვედრები შემდგომშიც გაგრძელდება და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საზოგადოების სხვადასხვა ფენის, მედიის, ექსპერტთა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც შეხვდებიან.

**მედიანიუსი**

# მთელი მთავრობა გადასაყენებელია!

**დამოუკიდებელი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას მოითხოვს. ამ საკითხის დასმას ცაგარეიშვილი ამ კვირაში იმ დროს გეგმავს, როდესაც მინისტრთა კაბინეტი პარლამენტს შემაჯამებელი ანგარიშით ეწვევა.**

**რომელი მინისტრი პასუხობდა დეპუტატების შეკითხვებს ცინიკურად, ვინ აარიდა შეკითხვებს ტექნიკურად თავი და ვინ არის ინფანტილური?**

**„ახალი თაობა" გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა.**

ნანა მიშელაშვილი

***— ოპოზიციამ ორი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი პარლამენტში ვერ გაიტანა. პარლამენტში 24 ოპოზიციონერი დეპუტატები ხართ, 4 ლეიბორისტის ჩათვლით. ოპოზიციას სხვა რა მექანიზმი გაქვთ მინისტრების გადაყენების?***

— მინისტრების გადაყენების ნებისმიერი მექანიზმი ხელთ უპყრია უმრავლესობას. ეს მათი პოლიტიკური ნებაა, გადააყენებენ თუ არა მინისტრებს.

***— საპარლამენტო ოპოზიციას სხვა ბერკეტები არ გაგაჩნიათ?***

— ის ბერკეტი გაგვაჩნია, რომ საკითხი დავაყენით, მაგრამ მინისტრების გადაყენების ბერკეტი არა გვაქვს. ვინმეს თუ ეგონა, რომ ჩვენს პირველივე მოთხოვნისთანავე მინისტრებს მოხსნიდნენ და სხდომათა დარბაზიდან გააძევებდნენ, ეს ძალიან მიამიტური შეხედულებაა.

***— რატომ აითვალწუნეთ მაინცდამაინც კობა სუბელიანი და ბაკურ კვეზერელი?***

— მინისტრების უმრავლესობა საქართველოს პარლამენტში კი არ უნდა მოდიოდეს, არამედ გლდანის საპყრობილეში უნდა იყოს მოთავსებული და გამომძიებელი უნდა მიდიოდეს მათთან. ამ ორი მინისტრის, რომლის პასუხისგებლობის საკითხიც დადგა, მათი საქმიანობა, უფრო სწორად მათი უსაქმურობა თვალში საცემია საზოგადოებისთვის. ერთის საქმიანობა გადის ჩვენს სასურსათო უსაფრთხოებაზე, ეს არის სოფლის მეურნეობა, მეორის საქმიანობა გადის ყველაზე დაზარალებული ფენის — ლტოლვილების სიცოცხლეზე, მათ ჯანმრთელობაზე და პრობლემების გადაწყვეტაზე. ეს არის ორი ყველაზე სათუთი თემა საზოგადოებაში.

***— მარტო ეს 2 მინისტრი ვერ აკეთებს საქმეს და დანარჩენი მინისტრები თავს ართმევენ?***

— პერსონალიებს და პოლიტიკურ ფიგურებს მნიშვნელობა არა აქვს. არაფერი არ შეიცვლება, თუ კობა სუბელიანის ნაცვლად იქნება, მაგალითად, პეტრიაშვილი. როდესაც ამ გუნდთან ერთად აპირებ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას, უნდა იცოდე, რომ პასუხისმგებლობის ის ტვირთი, რაც ამ ხელისუფლებას ადევს, შენზეც გადმოდის. სუბელიანი იქნები, კვეზერელი თუ პეტრიაშვილი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. პრობლემა სხვა სიბრტყეზე დევს. ეს არის ძალმომრეობის, ლაგამამოუდებელი ცინიზმის, საზოგადოების აგდებული დამოკიდებულების ნიმუში, რითიც არის გამსჭვალული მინისტრთა კაბინეტი, რომელიც სათავეს იღებს მიხეილ სააკაშვილისგან. ამიტომ ერთი მინისტრის შეცვლა არაფერს შეცვლის.

***— მთელი მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის საკითხს სვამთ?***

— მთელი მინისტრთა კაბინეტის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დავაყენოთ.

***— ამ საკითხს ამ კვირაში დასვამთ?***

— აუცილებლად. მაგრამ საქმე ისსა, რომ მარტო ერთ დეპუტატს ამ საკითხის დასმის უფლება კონსტიტუციითა და რეგლამენტით არ შეუძლია.

***— პარლამენტში ორი ოპოზიციური ფრაქციაა, მათ ხომ შეგიძლიათ, რომ მიმართოთ?***

— ერთი ფრაქციის ხელმძღვანელი გადაიხვეწა და არ ვიცი, სად ბრძანდება, მეორე ფრაქციამ „ქრიატიან□დემოკრატებმა" 2 მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დასვა. თამასა არ მინდა ავწიო და რაიმე მოვუწოდო ჩემს კოლეგებს, რადგან ეს არაკოლეგიალურად გამოდის, მაგრამ როდესაც სვამ კვეზერელის და სუბელიანის პასუხისგებლობის საკითხს, მე მგონი, უნდა დააყენო ივანე მერაბიშვილის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი. მიაღწევ ამას თუ არა, ეს სხვა საკითხია. ნდობა-არ ნდობის საკითხის გატანა და იმპიჩმენტის მიღწევა ძნელია, მაგრამ ეს არის ოპოზიციის მორალური პასუხისმგებლობა.

***— რა არის ოპოზიციის მორალური პასუხისმგებლობა?***

— მორალური პასუხისგებლობაა, რომ ადეკვატური ვიყოთ იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაშია. საზოგადოებაში უდიდესი უკმაყოფილებაა ე.წ. თანამდებობის პირების ნამოქმედარის გამო. ზოგიერთი ჟურნალისტი კითხულობს, თუ იმპიჩმეტს ვერ მიაღწევდით, რატომ სვამდით ამ საკითხს? ამ ლოგიკით საერთოდ რისთვის გავჩნდით ქვეყანაზე, რისთვის მოგვავლინეს ჩვენმა მშობლებმა, ყველაფერს ხომ ვერ ვაღწევთ? ეს საკითხისადმი არასწორი მიდგომაა.

***— 8 მინისტრის გამოსვლის შემდეგ, თქვენი აზრით, ყველაზე ცინიკური რომელი მინისტრის გამოსვლა იყო?***

— ზოგიერთი მინისტრი ცინიკური იყო, ზოგიერთი „ინფანტილური".

***— ინფანტულური რომელი მინისტრი იყო?***

— ინფანტილური იყო ჯანდაცვის მინისტრი სანდრო ურუშაძე. ეს კაცი რას ლაპარაკობდა, მე ვერ გავიგე. ეტყობა მუნჯის ენა დედამ იცის, პალიკო კუბლაშვილმა გაიგო მისი ენა, რადგან გამოვიდა და თქვა, მე ყველაფერი გავიგეო. მინისტრ ურუშაძეს მე რა კითხვებიც დავუსვი, გამოვიდა და ისე ისაუბრა, თითქოს აუდიტორიის წინაშე იდგა და ჩვენ სტუდენტები ვიყავით. სად რა იწყებოდა და სად რა მთავრდებოდა, პირადად მე ვერ გავიგე. გარწმუნებთ, გიორგი ცაგარეიშვილის ინტელექტუალური შესაძლებლობები არ ჩამოუვარდება კუბლაშვილის და უმრავლესობის სხვა წევრების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. რაც არ უნდა ილაპარაკოს საპარლამენტო ტრიბუნიდან მინისტრმა, ნაციონალური მოძრაობის წევრებისთვის ყველაფერი გასაგებია, მათ შორის უკულმა ნათქვამიც.

***— ცინიზმით რომელი მინისტრი გამოირჩეოდა?***

— ბატონი კახა ბაიდურაშვილი.

***— რაში გამოიხატებოდა ფინანსთა მინისტრის ცინიზმი?***

— კახა ბაიდურაშვილს თავი ან ბილ გეიტსი ჰგონია, ან ფრიდმანი. იუმორ-ნარევი ცინიზმით გამოდიოდა. თუ ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ისინი „ყოჩაღ ბიჭებად" ჩნდებიან, როდესაც ოპოზიციის მიერ დასმულ შეკითხვებს ცინიკურად სცემენ პასუხებს, ძალიან ცდებიან. საზოგადოება ამას სხვანაირად უყურებს. ვითომ მამა აბრამის ბატკანივით იყო კობა სუბელიანი, რომელმაც აღვარღვარა ცრემლები, რომ არიქა, მესიჯებს უგზავნიან, გამაგრდი, ოპოზიციამ არ დაგჩაგროსო. ვის სჯერა კობა სუბელიანის აღიარებითი ჩვენების? ჩვენ ნამდვილად არ გვჯერა! ქალბატონი ვერა ქობალია სად არის მოხვედრილი, არ იცის. მისი პასუხებიდან ვერაფერი ვერ გავიგე. ისე, უნდა ვთქვა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული, აფხაზეთში აგრეთვე — აფხაზური, სხვა ენა მე არ მინდა გავიგო პარლამენტში.

***— ყველაზე ტექნიკურად რომელმა მინისტრმა აარიდა ოპოზიციის შეკითხვებს თავი?***

— მაგ საქმეში ყველა პროფესიონალია, უმაღლეს დონეზე არიან გაწაფული. რაც უნდათ, ის ესმით, რაც არ უნდათ — ფილტრავენ, ყურსასმენი აპარატები კარგად აქვთ აწყობილი.

***— იქნებ რაღაც ინსტრუქტაჟი გაიარეს?***

— როდესაც სხდომაზე შესვენება ცხადდებოდა, ინსტრუქტაჟს გადიოდნენ. კითხვების გაცხრილვა მიმდინარეობდა, რაზე უნდა უპასუხონ და რაზე არა. განსაკუთრებით დიდი შესვენება ქალბატონ ვერა ქობალიას გამოსვლის შემდეგ გამოცხადდა, ეს შესვენება ორსაათიანი იყო.

***— მინისტრებს ინსტრუქტაჟს ვინ უტარებდა?***

— პარლამენტის წევრები, მინისტრების მოადგილეები, თანაშემწეები, რომლებიც უხვად მოჰყვებოდნენ მინისტრებს, ისინი მითითებებს აძლევდნენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

***— ყველაზე მეტად პარლამენტმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი დაინდო. ასეა?***

— არა, ეს ასე არ არის. პირადად მე სამი კითხვა დავუსვი ნიკოლაიშვილს და არც ერთზე პასუხი არ გამცა.

***— რაზე არ გიპასუხათ მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა?***

— მაინტერესებდა, რა დაჯდა ქაჯეთის ციხედ წოდებული შენობის მშენებლობა, ანუ რა დაჯდა პრეზიდენტის სასახლის მშენებლობა? მინისტრმა მიპასუხა, არ ვიციო. საოცრება არ არის? ისე, ამ კითხვას ისევ გავუმეორებ მინისტრთა კაბინეტს, როდესაც მთელი მთავრობა ერთად იქნება. ასევე ვკითხე, რა ჯდება პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა, მიპასუხა, არ ვიციო. ვერ გავიგე, ეს კაცი მინისტრია თუ არა? მან ბრწყინვალედ იცის, რა ჯდება, მაგრამ არ ამბობს. ამ სამინისტროს ხელში გაედინება ფულის ყველაზე დიდი ნაკადი.

***— პრემიერს მწვავე შეკითხვებს დაუსვამთ?***

— რა თქმა უნდა. მე, როგორც „თავისუფალი დემოკრატების" წევრს, გამოსვლის ტექსტი უკვე მომზადებული მაქვს. ეს იქნება მწვავე გამოსვლა.

***— ძირითადად რაზე გაამახვილებთ ყურადღებას თქვენი გამოსვლის დროს?***

— ეს არის ნიკა გილაურის საქმიანობის შეფასება. მისი მუშაობა მკვეთრად უარყოფითად არის შეფასებული.

***— რას უწუნებთ პრემიერს მუშაობაში?***

— თქვენ გგონიათ გილაური რეალური პრემიერ-მინისტრია? მე მგონი, ეს არავის სჯერა.

***— აბა, ვინ არის?***

— მთელი საქართველო ამაზე საუბრობს, რომ ორსახოვანი იანუსის მოვლენაა მინისტრთა კაბინეტი. ერთი სახეა, რაც ფურცელზე წერია, მინისტრები, ბატონი გილაური, მეორე არის ირეალური: ბატონი მერაბიშვილი და ბატონი ადეიშვილი, რომელსაც ხელს ვერ მოკიდებ. ერთი მიწიერია, მეორე არამიწიერი. მთელი ამ დღეების მანძილზე გულს მიღრღნის დებატების ის ფორმა, რომელიც პარლამენტმა აირჩია. გასულ კვირას, უკვდავი მინისტრები დაგვანახეს და წავიდნენ. წერეთელმა დაგვიბარა, დაახლოებით ასე იყო, ძალოვანი მინისტრები შორიდან დაგვანახეს. მე ლუვრში ვარ ნამყოფი, „მონა ლიზა" ვნახე, ოღონდ, იცით, როგორ ვუყურებ ამ შედევრს, დაახლოებით 10 მეტრში დგახართ, ახლოს ვერ მიხვალ, ბრონირებული ფანჯარაა და 20 ადამიანი გიყურებს, რაიმე არ დააშავო. სწორედ ასე იყო, ეს უკვდავი მინისტრები ჩვენგან შორს დასვეს და დაგვანახეს.

***— პარლამენტში სამთავრობო ლოჟა სადაც იყო, იქ ისხდნენ მინისტრები, აბა, დეპუტატებთან ერთად ხომ არ დასვამდნენ?***

— ხმა რატომ არ ამოიღეს? ამ ქვეყნაში, სადაც ამდენი პრობლემაა, ხმა არ უნდა ამოიღონ? ეს მაინტერესებს.

***— დაგესვათ მერე კითხვები და მოგეთხოვათ ძალოვანი მინისტრების მოსმენა?***

— მე ვინ შემეკითხა ან ფორმატს ან მათ მოწვევას? მე, ჩვეულებრივ მოკვდავს, ვინ მოდის და ვინ მიდის ვინ მეკითხება? რატომ არ წარდგნენ ეს ადამიანები დებატების დროს? რაც სუბელიანთან დაკავშირებით მოხდა, იმაზე მეტი მწვავე კითხვა დაისმებოდა ძალოვნებისთვის, რომ მოგვესმინა დარბაზში.

***— უმრავლესობის წევრები ნიკა გილაურს დაიცავენ, ისევე როგორც დანარჩენი მინისტრები დაიცვეს?***

— რა თქმა უნდა. სუბელიანს და კვეზერელს გადაეფარნენ და გილაურს როგორ არ გადაეფარებიან? თუ ამ ხელისუფლებას ინსტიტუციონალური პრობლემა არ შეექმნა, გილაურს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

***— ესე იგი, ნიკა გილაური კარგა ხანი დარჩება პრემიერად?***

— თუ ამ ადამიანებს ქვეყნის ამ მეთოდებით ჯიჯგნის საშუალებას მივცემთ, რა თქმა უნდა, 2013 წლის 1 ოქტომრამდე დარჩება. მათ კონსტიტუცია ისე აქვთ დაწერილი, რომ სახელმწიფო მართვის ეს მოდელი 2013 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებს. რა პრობლემას უქმნის გილაური ხელისუფლებას? აბსოლუტურად არაფერს. მას მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში არც არავინ არაფერს ეკითხება. შინაგან საქმეთა სამინისტრო მას არ ეკუთვნის, თავდაცვის სამინისტრო მას არ ეკუთვნის, იუსტიცის სამინისტრო მას არ ეკუთვნის. რას აკონტროლებს? შხამ-ქიმიკატები როგორ უნდა შემოვიდეს საქართველოში? ან სიმინდის თესლი სად დაირგოს მარტვილში, სენაკში თუ ბაღდათში? რაიმეს აკონტროლებს საერთოდ? გილაურის ძალაუფლება ვრცელდება მისი ერთი ნაბიჯის რადიუსის გარშემო. ნაბიჯს რომ გადადგამს, იქ მთავრდება მისი ძალაუფლება. როდესაც კამელოტის რაინდებივით სხედან მინისტრთა კაბინეტში მრგვალი მაგიდის გარშემო, აბა, ერთი დააკვირდით, რომელი მინისტრები სხედან? სად არის ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და ბაჩო ახალაია?



გილაურს ალოვნები არ ემორჩილებიან

# ნაციონალები ხელოვნურად გაყოფას გეგმავენ

ქეთი ხომერიკი

## ინტერვიუ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძესთან

***— ბატონო გიორგი, პარლამენტში მინისტრთა 5-დღიანი მოსმენები დასრულდა, რამდენად მოგეცათ იმის საშუალება, რომ ყველა ის კითხვა, რომელიც გქონდათ დაგესვათ მინისტრებისთვის, რამდენად ამომწურავი და ადეკვატური იყო მათი პასუხები და ეს დებატები სამომავლოდ რაიმე გავლენას თუ მოახდენს ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესზე?***

— ზოგადად საპარლამენტო ცხოვრება საპარლამენტო დებატების გარეშე არ არსებობს. დღეს, პარლამენტის როლი და გავლენა, რომ დაკნინებულია ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ საპარლამენტო ცხოვრების უმთავრესი შემადგენელი — მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ არის შესუსტებული. ამიტომ ჩვენ ვცადეთ და ამ ეტაპზე გამოგვივიდა კიდეც, რომ საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულება გამოვლენილიყო პარლამენტში. სხვა საქმეა რეალურად ეს რა გავლენას მოახდენს სამთავრობო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების კორექტირებაზე. თავისთავად ის ფაქტი, რომ მთავრობის წევრები და პრემიერმინისტრი ვალდებული აღმოჩნდნენ მოსულიყვნენ პარლამენტში და ანგარიში ჩაებარებინათ არა მხოლოდ პარლამენტისთვის არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის, პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისკენ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, სრულ გამოჯანმრთელებამდე ბევრი რამ გვაკლია. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ თავად ხელისუფლება არის აბსოლიტურად დაუბალანსებელი და პოლიტიკური ბალანსი არც პარლამენტში არსებობს. ოპოზიციის ასეთი სიმცირე პარლამენტში, ოპოზიციის მოსაზრებებისათვის აზრის ნაკლებად გათვალისწინებას განაპირობებს. იცით, ეს უფრო მეტად ასუსტებს ხელისუფლებას, თუმცა მათ ჰგონიათ, რომ ამით უფრო ძლიერები არიან. მაგრამ რაც უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს შენზე ობიექტური კრიტიკული აზრი, მით უფრო მეტად ეძლევი თვითკმაყოფილებას, რისი მაგალითებიც პარლამენტშიც ვიხილეთ. სანამ ოპოზიციამ მკაცრად არ შემოვუძახეთ და არ შევაჯანჯღარეთ რამდენიმე მინისტრი, მათ ჰქონდათ იმის განცდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე პარლამენტში მათი თანაპარტიელების წინაშე შეეძლოთ ეტრაბახათ ისე, რომ არავინ შენიშვნას არ მისცემდა.

***— ამ შეჯანჯღარების გამო უმრავლესობამ გაგაკრიტიკათ და ოპოზიცია უშვერი სიტყვებითაც კი მოიხსენია..***

— პოლიტიკური ოპონირება საპარლამენტო დებატების შემადგენელი ნაწილია და თუკი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ჩვენი მისამართით რაიმეს კრიტიკულს გამოთქვამს შეიძლება არ მესიამოვნოს, მაგრამ არც ნერვიულობით მოვიკლავ თავს. თუმცა, ცუდია, როდესაც ხელისუფლებას ოპოზიციის მიმართ შეურაცყოფის მიყენების გარდა სხვა აღარაფერი დარჩენია. როდესაც ჩვენს შუბლის ძარღვზე ნამუსის და სინდისის თვლას დაიწყებენ კარგად უნდა გაიხსენონ რა წარმოდგენა აქვს საზოგადოების უმეტესობას მათი შუბლის ძარღვებზე. როცა შენი პოლიტიკური ოპონენტი ძარღვების დათვლას იწყებს შუბლზე ეს ნიშნავს იმას, რომ მას სხვა არგუმენტები არ გააჩნია საიმისოდ, რომ შენს მიერ დასმულ ობიექტურ შეკითხვას უპასუხოს. არადა, ჩვენ არც ერთი კითხვა არ დაგვისვამს მკაცრად ჩამოყალიბებული დემონსტრირებული ფაქტების გარეშე. ყველა ის კრიტიკული დასკვნა, რომელიც გაკეთდა ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკას, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოში. ჩვენ ეს ციფრები კი არ მოგვიგონია, არამედ ჩვენი გამოსვლები მათ მიერვე დეკლარირებულ ციფრებზე ავაგეთ და ამიტომაც გაუჭირდათ მათ პასუხების გაცემა. და ამიტომაც გამოიყურებოდნენ არაადეკვატურად საზოგადოების თვალში.

***— არც ერთი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგა, ალბათ არც გქონდათ იმის ილუზია, რომ ხელისუფლება რომელიმე მინისტრს შეელეოდა...***

— ჩვენი მიზანი ამ ეტაპზე მთავრობის გადაყენება ვერ იქნებოდა, რადგან პარლამენტის ექვსი „ქრისტიან-დემოკრატი“ წევრი ყველა ოპოზიციონერის მხრიდან მხარადჭერილიც, რომ ყოფილიყო ამას ვერ მიაღწევდა. ექვსი კი არა სამოციც, რომ ვიყოთ 150 კაციან პარლამენტში ცხადია, რომ გადაწყვეტილებას უმრავლესობა იღებს. ამიტომ სანამ უმრავლესობაში არ მოხვალ არ უნდა გქონდეს იმის იმედი, რომ მთავრობას



ბოკერია თავის გადარჩენაზე ფიქრობს

გადააყენებ, თუ თავად სამთავრობო ჯგუფში განხეთქილება არ მოხდა და ჯერჯერობით, კი ამის ნიშნები არ ჩანს.

***— „ნაციონალები“ გააფთრებით იცავდნენ თავიანთ სანაქებო მინისტრებს...***

— ჩვენი მიზანი იყო, რომ საზოგადოების თვალწინ ოპოზიციასთან ოპონირების რეჟიმში გამოჩენილიყო ხელისუფლების ძლიერი თუ სუსტი მხარეები და დარწმუნებული ვარ, რომ სისუსტე აშკარად თვალში საცემი იყო, იმ საზოგადოებისთვის, რომელიც აქტიურად ადევნებდა თვალს ამ დებატებს. დევნილთა განსახლების თუ სოფლის განვითარების მინისტრის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება იყო გაცილებით მკაცრი, ვიდრე სხვა მინისტრების მიმართ. ჩვენი ეს ტონი განაპირობა იმ მდგომარეობამ, რომელიც იმ დარგებში არსებობს, რომელზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი. ჩვენ არანაკლებ კრიტიკული ვიყავით ენერგეტიკის და ინფრასტუქტურის მინისტრის მიმართაც. მართალია, დღეni და გაზი საბედნიეროდ, დღეს ჩვენ გვაქვს, თუმცა, პრობლემაა ის, რომ გაზიფიცირება, მიუხედავად „ნაციონალების“ საარჩევნო დაპირებისა მთლიანად არ განხორციელებულა. გახსოვთ სარჩევნო ლოზუნგი გაზი ყველა სოფელს. არადა, ჩემი მოთხოვნის შემდეგ, როცა ენერგეტიკის მინისტრს დავაზუსტებინეთ ეს, თურმე აღმოჩნდა, რომ გაზი ყველა სოფელს არ ექნება. ეს იყო საარჩევნო ტყუილი. ეს სიმბოლურად ვთქვითო და 70% მეტის გაზიფიცირება საქართველოში შეუძლებელიაო, გვითხრა ხეთაგურმა. კარგია, რომ დღეს მომარაგებაში გაზითა და ელექტროენერგიით ჩვენს ქალაქებს პრობლემა არ აქვს, მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება, პრობლემა, რომელიც მაღალ ტარიფებს უკავშირდება, კომუნალურ გადასახადებს, მათ შორის წყალზე.

***— ბევრი ოპოზიციონერი ირწმუნება, რომ ქვეყანას აქვს იმის რესურსი და საშუალება, რომ მოსახლეობას გაზი ბევრად იაფად მიეწოდებოდეს...***

— იცით, საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენ ამაზე ბევრი ვისაუბრეთ და ბევრი ადამიანისთვის, რომელიც იმ პერიოდში ჩვენს გამონათქვამებს სასაცილოდ იგდებდა აღმოჩნდა, რომ ეს თურმე მნიშვნელოვანი თემა ყოფილა. დიახ, დღესვე გვაქვს ჩვენ უზარმაზარი რესურსები ამისა. უპირველეს ყოვლისა, შაჰდენიზის კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად, რომლითაც საქართველოს გაზის ტრანზიტის შედეგად უზარმაზარი რაოდენობა რჩება გაზისა უფასოდ, დიახ უფასოდ. ბუნებაში, რომ უფასო არაფერია ეს მეც კარგად ვიცი და არ მჭირდება ოპონენტების ხშირი შეხსენება. აქ საუბარია იმაზე, რომ ტრანზიტის გამო საქართველოსთვის დატოვებული გაზი ნიშნავს იმას, რომ შენ უფასოდ გაქვს გარკვეული მოცულობა გაზისა. ქართული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გასაღები კი არის ენერგო ტარიფების გაიაფება და მისი დაყვანა ობიექტურ ნიშნულზე.

***— თუმცა, ხელისუფლება ამ პოლიტიკის შეცვლას არც აპირებს...***

— ჩვენ როცა გვეუბნებიან, რომ ბაზარი არეგულირებს ამ ყველაფერს ეს არის თვალებში ნაცრის შეყრა, რადგან ბაზარი იქ არეგულირებს ყველაფერს, სადაც ბუნებრივი მონოპოლისტები არ არსებობენ. საქართველოში არათუ ბუნებრივი, არამედ არაბუნებრივი მონოპოლიები არსებობენ.

***— თქვენ მონოპოლიები ახსენეთ და ეკონომიკის მინისტრის მტკიცებით, ეკონომიკაში მონოპოლიები არ არის...***

— ეკონომიკის სამინისტრო ქვეყანაში ეკონომიკური ფიქრის, განსჯისა და ანალიზის პროგნოზირების და წინადადებების მომზადების სამინისტრო უნდა იყოს და ჩვენი ეკონომიკის სამინისტრო რითაც არის დაკავებული კი უყურებთ. ჯერჯერობით, 38 და 100 სართულიანი შენობების მაკეტების დემონსტრაციის გარდა კონკრეტული შედეგები არ დაგვინახია. ამაში ჩვენ მარტო ვერა ქობალიას ვერ დავადანაშაულებთ, არც წინა ეკონომიკის მინისტრები ბრწყინავდნენ განსაკუთრებით. ჩვენ მთავრობას ვთხოვთ მშორსმხედველობასა და მჭვრეტელობას, რომ წინ გაიხედოს და წინ კი არა ცხვირწინ ვერ იხედება. ცხვირწინ დაუნახავობის მაგალითი არის ვითარება, რომელშიც აღმოვჩნდით სასურსათო პროდუქციის გაძვირებასთან დაკავშირებით.

***— სიბრმავეს ვერ დავაბრალებთ, ალბათ, ხელისუფლებას არ უნდა, რომ დაინახოს..***

— რომ გითხრათ, დანახვა არ უნდათ, ჩემი მხრიდან არასწორი იქნებოდა. ვერ წარმომიდგენია, რომ მთავრობა 24 საათი იმაზე ფიქრობდეს ცხოვრება როგორ დაუმძიმოს ჩვენს მოსახლეობას. უბრალოდ, ისინი არაკვალიფიციურები და არათანმიომდევრულობი არიან. ამის უმარავი მაგალითი მოვიყვანე და რაც დავაკელი სამშაბათს დავამატებ. ჩვენ კვეზერელის გადადგომას იმიტომ კი არ ვითხოვთ, რომ ის არის ყველაზე კორუმპირებული მინისტრი, არა, არამედ იმიტომ, რომ ვხედავთ, რომ კვეზერელი გიხერგავს გზას ახალი აგრარული პოლიტიკის გამომუშავებისა.

***— ამბობენ, სოფლის მეურნეობის მინისტრს წარმოდგენა არ აქვს ამ სფეროზე...***

— კვეზერელი შეიძლება ყოფილიყო კარგი თანაშემწე სოფლის მეურნეობის მინისტრის, რადგან ის არ არის გაუნათლებელი და სხვათა შორის, აქვე მინდა გამოვესარჩლო და გითხრათ, რომ მას ტყუილად ვაბრალებთ ჩვენ დედალ-მამალი ღორების ისტორიას, რადგან ეს ამ კაცს არ უთქვამს, ეს სხვა მინისტრმა თქვა. მისი ბრალია ის, რომ მან ამ დარგის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის 40 ათასამდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა

ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტების საგრანტო კონკურსისათვის რეგისტრაციის პროცესი დაასრულა. დასრულდა განაცხადების მიღება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთათვისაც.

როგორც „მედიანიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, 2011 წელს უმაღლესი სასწავლებლები აკადემიურ პროგრამებზე 33 988 აბიტურიენტს მიიღებენ.

პირველადი მონაცემებით 25 მარტის 18:00 საათისათვის რეგისტრაცია გაიარა 39 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა. მათგან დაახლოებით 29 ათასმა განაცხადი ელექტრონულად შეავსო. ინტერნეტით რეგისტრირებულთა მონაცემებზე დაყრდნობით ყველაზე მეტი განაცხადი საქართველოს ტექნიკურ უნივერსირსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე გაკეთდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი საბოლოო მონაცემებს აბიტურინეტებისა და პროგრამებზე განაცხადების რაოდენობის შესახებ არაელექტრონულად შევსებული განაცხადების დამუშავების შემდეგ გამოაქვეყნებს.

საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის 7516 კანდიდატი დარეგისტრირდა, სტუდენტთ საგრანტო კონკურსში კი 6857 წელს აპლიკანტი მიიღებს მონაწილეობას.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა რესურსცენტრებიდან განაცხადების მიღების შემდეგ გახდება ცნობილი.

მედიანიუსი



## ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას სახელობის საზოგადოება დაფუძნდება

31 მარტს ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას ძეგლთან, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს, „ქართული პარტიის“ სამეგრელოს რეგიონის კონფერენცია ჩატარდება, ასევე, დაფუძნდება ზვიად გამსახურდიას სახელობის საზოგადოება.

როგორც „მედიანიუსისთვის“ გახდა ცნობილი, პირველი პრეზიდენტის სახელობის ორგანიზაცია არასამთავრობო იქნება და მასში გაწევრიანება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

ღონისძიებას „ქართული პარტიის“ ლიდერები, საზოგადოებრივი მოძრაობების წევრები და მოქალაქეები დაესწრებიან,

მედიანიუსი

## „შეფიცულებს“ სპეციალური სამკერდე ნიშნები და მოწმობები დაურიგდებათ

„სახალხო კრებასთან“ არსებული ორგანიზაციის, „შეფიცულების“ წევრებს მალე სპეციალური სამკერდე ნიშნები და პირადობის მოწმობები დაურიგდებათ.

როგორც „შეფიცულების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გენერალმა გია უჩავამ შეფიცულების ჩუღურეთის რაიონის წინააღმდეგობის კომიტეტის წევრებთან დღეს, ვარდების ბაღში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, შეფიცულების მთავარი მიზანია მოსახლეობის უკანონობისა და ძალადობისაგან დაცვა. საპროტესტო აქციების დროს ისინი აქციის მონაწილეების დაცვას უზრუნველყოფენ, რათა არ დაუშვან პროვოკაციები.

გია უჩავას ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია თითქმის თვენახევარია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში წარმომადგენლობები თითქმის ყველა რეგიონში შექმნეს. ქუთაისში შეფიცულები 200-მდე ახალგაზრდას აერთიანებენ, თელავში 500, საგარეჯოში- 170 წევრი ჰყავთ.

რაც შეეხება ორგანიზაციის მიზანს, როგორც შეფიცულების ლიდერები ირწმუნებიან, არც „სახალხო კრების“ და არც „შეფიცულების“ მიზანი შეიარაღებული გადატრიალების მოწყობა არ არის. „ჩვენი მიზანია, არსებული ხელისუფლების მშვიდობიანი რევოლუციით გაშვება, რის შემდეგაც სამართლიანი არჩევნები უნდა ჩატარდეს..- აცხადებს გია უჩავა და დასძენს, -თუ დავინახავთ, რომ ქვეყნის მოსახლეობის 51 პროცენტი სააკაშვილის მთავრობით კმაყოფილია, უფლება არ გვაქვს, ხალხს რევოლუციისაკენ მოვუწოდოთ“.

მედიანიუსი

## მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავარია მსხვერპლით დასრულდა

გოთუას ქუჩასთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

დიდი სიჩქარით მიმავალი „მიცუბიშის“ მარკის ავტომანქანა „მერსედესის“ მარკის ავტომობილს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად სამი მგზავრი გარდაიცვალა, მათგან ერთი ქალია. შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ექიმებს სამი მგზავრი გარდაცვლილი დახვდათ. მათ სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები აღენიშნებოდათ. პირველადი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა „მიცუბიშის“ სამ მგზავრს.

ინტერპრესნიუსი

## გაერთიანების „ჩვენ თვითონ“ წარმომადგენლები ომის ვეტერანებს შეხვდნენ

პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ ომის ვეტერანებს შეხვდა და მათი მოთხოვნები მოისმინა.

შეხვედრაზე ვეტერანებმა ხელისუფლებისგან გაუქმებული შეღავათების აღდგენა, პენსიის გაზრდა, უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა და სამედიცინო დაზღვევისა და კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების დაწესება მოითხოვეს.

„ჩვენ თვითონის“ წარმომადგენლები ვეტერანებს დაპირდნენ, რომ მათი პრობლემების გადაწყვეტას საკანონმდებლო დონეზე შეეცდებიან.

— ვეტერანების უშუალო მონაწილეობით ვეტერანთა დაცვის ახალი, სოციალური პაკეტი შეიქმნება, რომელშიც მათი ყველა ინიციატივა იქნება გათვალისწინებული. ჩვენი პარტიიისთვის პრიორიტეტულია ვეტერანების პრობლემების მოგვარება. ამ მხრივ, ჩვენ გასულ თვეს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივითაც მივმართეთ, რომელიც ვეტერანთა გარკვეული კატეგორიისთვის უკანონოდ და დაუსაბუთებლად გაუქმებული შეღავათების აღდგენას ითვალისწინებს. თუმცა ეს ზღვაში წვეთია. ხელისუფლებას არ უნდა ავიწყდებოდეს იმ ადამიანთა გმირობა, რომლებიც საქართველოს სახელით იბრძოდნენ, რადგან სხვა შემთხვევაში ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება ახალ თაობაში პატრიოტული სულისკვეთების საბოლოოდ დასამარებას გამოიწვევს, — აცხადებენ პოლიტიკურ გაერთიანებაში.

მედიანიუსი

## საქართველო-აზერბაიჯანს ახალი ელექტროგადამცემი ხაზი დააკავშირებს

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა 2012 წლის დასაწყისისთვის დასრულდება.

ლაპარაკია 500-კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ „გარდაბანი-სამუხზე“.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფორმაციით, ორ ქვეყანას შორის სათანადო ხელშეკრულების ხელმოწერა უახლეს ხანებში იგეგმება. პროექტის დეტალებზე მსჯელობისათვის საქართველოში კომპანია „აზერენერჯის“ პრეზიდენტი ეთიბარ პირვერდიევი და კომპანიის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მედიანიუსი

## სახალხო კრებამ რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა

სახალხო წარმომადგენლობითი კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა საქართველოს მასშტაბით მოქმედი მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს.

ღონისძიებას აღმასრულებელი საბჭოს წევრები ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ირაკლი ბათიაშვილი, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე, რეზო ესაძე, სახალხო კრების ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლები და „შეფიცულების" წევრები დაესწრნენ. ასევე ღონისძიებაში პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე და მოძრაობა „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი მონაწილეობდნენ.

მედიის მხრიდან შეხვედრას დაესწრო 20-მდე მედიასაშუალების ხელმძღვანელი და წარმომადგენელი საქართველოს ყველა რეგიონიდან.

როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, დღეს სახელისუფლებო მედიასაშუალებების ძირითად მიზანს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ლამაზ ფერებში დახატვა წარმოადგენს.



— ხოლო იმ ფაქტის გაშუქება, რომ სულ ახლახან საქართველოში წელიწადნახევრის ბავშვი შიმშილით დაიღუპა, სახელისუფლებო მედიას რა თქმა უნდა ავიწყდება, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, თუ საზოგადოება ამ ხელისუფლებას ერთსულოვნად ეტყვის არას, მაშინ მსოფლიო თანამეგობრობა ქართველი ხალხის მხარეს დადგება.

სახალხო წარმომადგენლობითი კრება რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით, რეგიონულ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გააქტიურებას გეგმავს.

**ინტერპრესნიუსი**

## აფხაზური ოპოზიცია რუსეთისთვის გაგრის დათმობას არ აპირებს

პოლიტიკური პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი" შეშფოთებას გამოთქვამს იმ ტენდენციების გამო, რომელიც თან ახლავს რუსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის შესახებ მოლაპარაკებების მომზადებას, — ამის შესახებ „როსბალტი" სააგენტო „აპსნიპრესზე" დაყრდნობით იუწყება.

პარტიის შეშფოთებას იწვევს გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გაგრის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის რუსეთისთვის გასხვისებას უკავშირდება.

„აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი" ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ კონსტიტუციის თანახმად, მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია და რომ აფხაზეთმა საკუთარი ტერიტორია ხანგრძლივი სისხლისღვრისა და მსხვერპლის ფასად მოიპოვა.

პარტია იმედოვნებს, რომ აფხაზური დელეგაცია რუსეთთან მოლაპარაკებისას სწორედ ზემოხსენებული პრინციპებით იხელმძღვანელებს. რუსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა 29 მარტს მოსკოვშია დაგეგმილი.

**ინტერპრესნიუსი**

## „ქართული პარტია" დიმიტრი შაშკინს ადანაშაულებს

ზუგდიდში მე-4 სკოლის დირექტორი და 6 პედაგოგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. აღნიშნულ ინფორმაციას „ქართული პარტიის" წარმომადგენელი კახა მიქაია ავრცელებს, რომლის თანახმადაც, მომხდარი ფაქტი განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინის სამეგრელოში გასაიდუმლოებულ ვიზიტს უკავშირდება.

ამასთან, „ქართული პარტიის" პოლიტსაბჭოს წევრი კახა მიქაია პარლამენტში დიმიტრი შაშკინის განცხადებასაც ეხმაურება, „სადაც მინისტრმა შაშკინმა მიქაია სიცრუესა და უსინდისობაში დაადანაშაულა".

პარტიის ინფორმაციით, მთავრობის საპარლამენტო დებატებზე შაშკინმა პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოში" წარმატებულობაზე საუბრისას ზუგდიდის №4 საჯარო სკოლაში მომუშავე თომას ფლეთჩერი გაიხსენა, რომლის შესახებაც კახა მიქაიამ ცოტა ხნის წინ სკანდალური ფოტო-მასალები გაავრცელა.

როგორც პარტიის პრესსამსახური იუწყება, „ქართული პარტიის" ზუგდიდის ოფისში დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მიქაიამ ახალი ვიდეომასალა წარმოადგინა და ცილისწამებაში თავად განათლების მინისტრი დაადანაშაულა.

— ეს კადრები სოციალურ ქსელში განთავსებულ თომას ფლეთჩერის ე.წ. პროფილის გვერდს ასახავს, რომელიც მაშინ მე 4 სკოლის მოსწავლემ ჩემი და ჟურნალისტების თანდასწრებით გახსნა და რომელიც შემდეგ ამ ქსელიდან გაქრა. საპარლამენტო ტრიბუნიდან შაშკინს არ დაუკონკრეტებია, რა მოჰყვა მის გასაიდუმლოებულ ვიზიტს ზუგდიდის მე 4 საჯარო სკოლაში. მას არ დაუსახელებია ის მიზეზები, რომლის გამოც ამავე სკოლის დირექტორი და 6 პედაგოგი გაათავისუფლეს. მინისტრმა ისინი სწორედ მისი ვიზიტისა და ფლეთჩერთან შეხვედრის ამსახველი ფოტოების გავრცელებაში დაადანაშაულა. ამ მტკიცებულებების შემდეგ საზოგადოებამ თავად განსაჯოს, ვინ ტყუის, მე თუ — განათლების მინისტრი, — განაცხადა მიქაიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# თურქეთი საქართველოსთან უპასპორტო მიმოსვლას გეგმავს

თეა მარხვაიე



**საქართველოს თურქეთთან განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. თურქეთი ჩვენი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახლავთ. ახლო მომავალში კი თბილისი და ანკარა უპასპორტო მიმოსვლაზეც დაიწყებენ მუშაობას.**

**თურქული გამოცემის SETimes.com-ის ინფორმაციით, ანკარა მალე ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს. ამის შესახებ ინფორმაცია ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავად შეატყობინეს ჟურნალისტ ალაკბარ რაუფოღლუს.**

— თურქეთი უპრეცედენტო ნაბიჯს დგამს და ამზადებს სტრატეგიას, რომელიც საქართველოსთან უპასპორტო მიმოსვლას გულისხმობს, — წერს რაუფოღლუ.

თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე ქელალ ელბეი ახალ სტრატეგიას უმნიშვნელოვანესს უწოდებს.

— ეს ჩვენი რეგიონისთვის უზარმაზარი ცვლილება იქნება. ასეთი პრაქტიკაევროკავშირშია. ჩვენს მოქალაქეებსაც შეეძლებათ გამგზავრება ერთმანეთთან მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით, — აცხადებს ქელალ ელბეი.

გამოცემის ცნობით ამ საკითხებზე ქართველი და თურქი ჩინოვნიკები ადრეც საუბრობდნენ. გასულ თვეს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავითოღლუ.

სხვა ოფიციალური პირების გარდა თურქი მინისტრი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისაც შეხვდა. სწორედ ამ შეხვედრაზე განიხილებოდა პროექტი სახელწოდებით ერთიანი კავკასია. ამ პროექტზე ჩვენი ხელისუფლება ბოლო ხანებში ძალიან სერიოზულად მუშაობს.

როგორც ჩანს პროექტი საქართველოს ხელისუფლებას მარტო პროექტისთვის არ შეუმუშავებია. ამ საკითხით თურქეთიც სერიოზულად უნდა იყოს დაინტერესებული.

თურქული მედიის ცნობით, დავითოღლუს ვიზიტის შემდეგ ელბეი და მისი გუნდი თბილისს ორჯერ ეწვია. ამ ვიზიტების დროს თბილისში ორ ქვეყანას ეკონომიკური ინტეგრაციის ინიციატივების სტრატეგია განიხილებოდა.

— ჩვენ ერთმანეთს გავუღეთ კარი, რათა ჩვენს რეგიონს მოვუტანოთ მშვიდობა, განვითარება და ეკონომიკური ძლიერება, — განაცხადა თურქულ მედიასთან საუბარში ელბეიმ.

საქართველოს თურქეთთან ხანგრძლივი ისტორიული და სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს. გარდა ამისა, თბილისის არაკეთილსაიმედო გეოპოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან მისი გათვლების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია.

ამ სტრატეგიის ფარგლებში საქართველო სამ კავკასიურ ქვეყანას და თურქეთს შორის ალიანსის ჩამოყალიბების წინადადებით გამოდის. თურქეთის ამბიცია კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ინიციატივა მომავალში მთელს კავკასიაზე განავრცოს.

— თურქეთს და საქართველოს შეუძლიათ რეგიონში ევროკავშირის ტიპის თანამშრომლობას დაუდონ სათავე და პროცესში სხვა მეზობელი ქვეყნებიც ჩართონ, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას დროს სჭირდება. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე კავკასიის კავშირი ვერ შედგება, — განაცხადა სინან ოგანმა. რომელიც თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრის თავმჯდომარეა.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების წარმომადგენელი იანუს ბუგაისკი კი სხვა რამეს მიიჩნევს მნიშვნელოვნად.

— იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გადავიტანოთ იდეაზე, რომლის მოგვარებაც ვერ მოხერხდება თვალსაწიერ მომავალში, უმჯობესია მეტი ენერგია მივმართოთ არსებული კონფლიქტების გადაწყვეტაზე და სამხრეთ-კავკასიაში უფრო ნაყოფიერი ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, — ამბობს იანუს ბუგაისკი.

მას ერთიანი კავკასიის იდეა მოსწონს. თუმცა ყველას ურჩევს არ დაივიწყოს რუსეთი. რომელიც კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს სათავისოდ მშვენივრად იყენებს.

— მიუხედავად იმისა, რომ (კავკასიის გაერთიანების) იდეა ალბათ მშვენიერია, რთული იქნებოდა იმ რეგიონის გაერთიანება, რომელიც მოცულია სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებით, სეპარატისტული ომებით და რუსეთის მთავრობის ჩარევით. რუსეთის მთავრობა ცდილობს რეგიონალური დავები თავისი სახელმწიფოებრივი ამბიციების სასარგებლოდ გამოიყენოს, — მიიჩნევს ბუგაისკი.

ამერიკელ ექსპერტ ჯონ სიტილიდისს ჩვეულებრივ ამბად ეჩვენება თუ საქართველოსა და თურქეთს შორის უპასპორტო მიმოსვლა იქნება.

— თურქეთსა და საქართველოს პოლიტიკის, თავდაცვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტირების და კულტურის სფეროებში თანამშრომლობა აერთიანებს. სასაზღვრო პოლიტიკასთან ერთად ეს ყველაფერი პასპორტებს ირელევანტურს ხდის. თანამშრომლობის გაღრმავება და სასაზღვრო მიმოსვლის გაუმჯობესება ჯერ კიდევ ძალიან შორსაა სახელმწიფოთა გაერთიანებიდან. კავკასიის ქვეყნებმა უფრო მყარი სუვერენული სტრუქტურები უნდა შექმნან და უფრო გამძლე ინსტიტუციური ურთიერთობები დაამყარონ, — მიიჩნევს ჯონ სიტილიდისი.

ექსპერტი ჯონ ტრიმანი კი ფიქრობს, რომ თურქეთმა უნდა იბრძოლოს კავკასიაში ღია ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ პოლიტიკური კავშირი მომავალ ათწლეულში ვერ შედგება, თუ ოდესმე შედგება.

— პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობები, თავისუფალი სავაჭრო ზონები და უნდა მოგვარდეს მძიმე კონფლიქტები, — ამბობს ის

როდიდან დაიწყება საქართველოსა და თურქეთს შორის უპასპორტო მიმოსვლა ეს ჯერ ცნობილი არ არის. თბილისში ამას მოუთმენლად ელოდებიან. ქართველი ექსპერტების ნაწილი თურქეთთან ასეთ ჩახუტებას მხოლოდ მიესალმება. მეორე ნაწილს კი სერიოზული კითხვები აქვთ.

ექსპერტები და ოპოზიციის ნაწილი შეშფოთებულია თურქეთის ინტერესებით. მთელი რიგი თურქული ტელევიზიები ამინდის პროგნოზში აუცილებლად მოიხსენიებენ ბათუმს. რომლის დაკარგვასაც თურქეთი ვერაფრით ურიგდება.

ოპოზიციამ არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება იმ პოლიტიკის მიმართ რასაც ანკარა აჭარის რეგიონში ახორციელებს. ყველამ კარგად იცის, რომ აქ ბოლო წლებში მუსულმანური სასულიერო სასწავლებლები მრავლად გაიხსნა. ისიც ცნობილია, რომ ყოველწლიურად ასეულობით ბავშვი მიჰყავთ სასწავლებლად თურქეთის მედრესებში.

ხელისუფლება ამ თემებზე არ საუბრობს. თუ რამეს იტყვიან მხოლოდ ირონიით და იქვე დასძენენ, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარია.

თურქეთი მართლაც არის ჩვენი უმსხვილესი სავაჭრო პატნიორი. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს თურქეთის პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში. ჩვენი ხელისუფლება ისტერიკაში ვარდება როცა ამა თუ იმ რუსი ჩინოვნიკის თუ მეწარმის აფხაზეთში ჩასვლის ამბავს იგებს.

ამ დროს კი აფხაზეთში რუსებზე უფრო აქტიურად თურქი ინვესტორები დადიან. ამ თემებზე ყურადღებას არც შევარდნაძის ხელისუფლება ამახვილებდა. ნეტავი რატომ? ისე სხვათა შორის ცნობილი გახდა, რომ თურქები სოხუმში მთელი კვარტალის აშენებასაც კი აპირებენ.



# ოპოზიციის გაერთიანება აუცილებელია!

## ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, უნდა თუ არა სამართლიანი არჩევნები

ნათია ხურცილავა

**გასულ კვირას ახალი გაერთიანება შეიქმნა. ეროვნული ფორუმი, ტრადიციონალისტთა კავშირი და ქალთა პარტია გაერთიანდნენ.**

**გუგული მაღრაძის განცხადებით, დღეს გამოსავალი სწორედ სტრუქტურულ გაერთიანებაშია. ის ამბობს, რომ მხოლოდ ძლიერი ოპოზიციური გაერთიანება შეძლებს ხელისუფლების დამარცხებას.**

### ინტერვიუ გუგული მაღრაძესთან

*— ეროვნული ფორუმი, ტრადიციონალისტთა კავშირი და თქვენი პარტია გაერთიანდა. დღეს ოპოზიციის რამდენიმე ფრთა გამოიკვეთა — რევოლუციის მომხრეები და არჩევნების გზით ცვლილების მომხრეები. თქვენი გაერთიანება რომელ ფრთას მიეკუთვნება?*

— მიმაჩნია, რომ ოპოზიციის ფრთებად გაყოფა სწორი არ არის. ოპოზიციური პარტიები, გარეთიანებები არსებობენ იმისთვის, რომ მათ განსხვავებული შეხედულებები აქვთ მთელ რიგ საკითხებზე. ოპოზიციური პარტიები ყოველთვის, ყველა ქვეყანაში ცდილობენ, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ. ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა არჩევნების საშუალებით ხდება. ზოგჯერ იგივე ხელისუფლება რჩება, მაგრამ, როგორც წესი, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ორჯერ არჩევის შემდეგ იცვლება ხელისუფლება, რაც არ უნდა უყვარდეთ პრეზიდენტი და პოპულარული იყოს ის გუნდი. ხელისუფლების ცვლა არის ქვეყნის განახლების და ახალი ამოცანების დაგეგმვის, საერთოდ წინსვლის საფუძველი. ჩვენთან ასეთი ცვლილება ვერასდროს ვერ მოხერხდა არჩევნების გზით, თუმცა, ხალხის წინააღმდეგობა და სურვილი, რომ შეცვლილიყო ხელისუფლება, ძალიან ნათლად იყო წარმოდგენილი. იმის თქმა, რომ ვიღაცას მხოლოდ რევოლუცია უნდა და ვიღაცას — მხოლოდ არჩევნები, ეს არ არის მართებული. პოლიტიკური ძალები ცდილობენ მოვიდნენ ხელისუფლებაში ყველა იმ საშუალებით, რასაც მოცემული რეალობა იძლევა. თუ ხელისუფლება არის ნორმალური, გონიერი და სამართლიანად ატარებს არჩევნებს, ვისაც ხალხი დაუჭერს მხარს, ის მოვა ხელისუფლებაში, როდესაც ხელისუფლება კეტავს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზას, მაშინ პოლიტიკური პარტიები, ოპოზიციური ძალები არიან თავისუფალი და სამართლიანი თავიანთ მოქმედებებში, რომ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები გამოიღონ იმისთვის, რომ შეძლონ ისეთი ხელისუფლების შეცვლა, რომელიც ხალხის უმრავლესობას აღარ მოსწონს. თუ ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ხალხის უმრავლესობა მას უჭერს მხარს, მაშინ სამართლიანი არჩევნები უნდა ჩაატაროს და არ უნდა იყოს არავითარი ილუზიები და არავითარი ეჭვი იმის შესახებ, რომ არჩევნები სამართლიანად არ ტარდება. ასეთ შემთხვევაში ვინც გაიმარჯვებს, იმას მიულოცავს ყველა. როდესაც ხელისუფლება სპეციალურად ცდილობს, რომ გააჭიანუროს (ამას რვიანის მაგალითზე ვხედავთ) დრო და არ მიიღოს ის გადაწყვეტილება, რაც მას ისედაც უნდა მიეღო ყოველგვარი რვიანის გარეშე. ამ წლების განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანები ამბობენ, არ ტარდება სამართლიანი არჩევნები და ამას ყველა ამბობს. ერთი კაცი — ერთი ხმა, ეს პრინციპი რომ იყოს დაცული არჩევნებზე, ეს არის სრულიად მარტივი პრინციპი და გასაგები ყველასთვის. არ შეიძლება გყავდეს 4 მილიონი მოსახლეობა და გყავდეს 3 მილიონ 700 ათასი ამომრჩეველი. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მოთხოვნა, რომ დაცულ იქნეს სამართლიანი არჩევნები და გაყალბების ეს გზა დასრულდეს, აუცილებელია ამას ხელისუფლება დაეთანხმოს, ვალდებულია. თუ არ დაეთანხმება, მაშინ ის ხელს უხსნის სამართლებრივად საერთაშორისო ნორმების დაცვით ყველა პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალას, რომელიც მიმართავს იძულების გზებს, რომ ხელისუფლება შეცვალოს. ზოგი ამბობს — ახლავე, ზოგი ამბობს — მერე. ზოგი ამბობს, რომ ყველა გზა უნდა მოვსინჯოთ, ამოვწუროთ. პოლიტიკური ბრძოლის ყველა გზა გამოსაყენებელია.

***— თქვენი გაერთიანება რას აპირებს?***

— ჩვენი გაერთიანება არის პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც „ეროვნული ფორუმი“ ჰქვია, ასე ჩავთვალეთ საჭიროდ. პოლიტიკური ბრენდია, ხალხი პატივისცემით სარგებლობს. უკეთესი სტრუქტურა აქვთ, ვიდრე ჩვენ და „ტრადიციონალისტებს“. ხალხი მეც მენდობა და ბატონ აკაკისაც დიდი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ საუბარია ორგანიზებულ სტრუქტურებზე, რომელიც ფორუმს უფრო აქვს. ასევე სიტყვა ფორუმი არ გულისხმობს პარტიას, ის გულისხმობს თავყრილობას. როდესაც ფორუმი გაფართოვდება და სხვა პარტიებიც შემოვლენ, შეიძლება დადგეს საკითხი, რომ ბლოკს სხვა სახელი დაერქვას. ამაზე ყველა თანახმა ვართ. როდესაც არსებობს ბრძოლა ასეთი ტიპის პარტიასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც პარტია და ხელისუფლება ერთმანეთთან არის შეზრდილი, ასეთ დროს ძალიან მტკიცე და კარგი ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ჰქონდეს იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლების შეცვლას. ორგანიზაციული გაერთიანების გარეშე, სადაც ყველაფერი იქნება დაგეგმილი, შეთანხმებული, ერთობლივი მოქმედების გარეშე ძალიან ძნელია საქართველოში წარმატებას მიაღწიონ ოპოზიციურმა ძალებმა. ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი და მოვუწოდებთ ყველა პარტიას, რომ მოახერხონ გაერთიანება, რადგან ამოცანა ერთია, მიაღწიონ სამართლიან არჩევნებს მანიფესტაციებით, რევოლუციით, მოლაპარაკებით თუ სხვა გზით, მთავარია, რომ სამართლიან არჩევნებს მივაღწიოთ.

***— ქალბატონო გუგული, თქვენ ამბობთ, რომ გამოსავალი გაერთიანებაშია, მაგრამ 2009 წლის აქციებზე გაერთიანებული იყო ოპოზიცია...***

— დღეს გამოსავალი უსათუოდ გაერთიანებაშია, მაგრამ არა მხოლოდ ისეთ გაერთიანებაში, რომელიც მხოლოდ კარგ ურთიეთრობებზეა დაფუძნებული. 9 აპრილსაც ვიყავით ერთად, მაგრამ ის იყო ამორფული გაერთიანება, არ იყო არანაირი მენეჯმენტი, კომიტეტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ერთმანეთთან შეთანხმებით. რომ ვთქვა იყო: „კაი ბიჭების“ და „კაი ქალების“ ერთობა იმისთვის, დაგროვილი პროტესტი მოქმედებაში გადასულიყო. ხელისუფლებას, რომელსაც უზარმაზარი ფინანსური და ორგანიზაციული რესურსი აქვს, ასე ვერ მოუგებ. მას უნდა დაუპირისპირდეს ასევე ძალიან კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა. ამას თუ რომელიმე ოპოზიციური პარტია ვერ ან არ გააცნობიერებს, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ამ ოპოზიციურ პარტიას ხელისუფლების შეცვლა კი არ უნდა, მას უნდა უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ადგილი ან გარიგებით, ან რაღაცნაირად, რომ თავის რამდენიმე წევრს სამუშაო უშოვოს პარლამენტში, ან დაფინანსება ჰქონდეს ორი კაპიკი, რომ რამდენიმე წელი თავი ირჩინოს, ან ეს არის ლუსტრაცია, რომ ის პირდაპირ ასრულებს ხელისუფლების დაკვეთას. სანამ საქართველოში არჩევნები დაინიშნება, აუცილებელია გაერთიანება და ჩამოყალიბებული სტრუქტურა იყოს. ორგანიზაციული გაერთიანების აუცილებლობა ყველას აქვს გაცნობიერებული. საუბარია, ვინ იქნება თავში და ვინ — ბოლოში, მე ვამბობ, რომ არავინ არ უნდა იყოს თავში და ბოლოში, უნდა იყოს პარიტეტული გაერთიანება, სადაც ყველა ოპოზიციური პარტია სრულფასოვანი წევრი იქნება ამ ერთობის.

***— ვის ელოდებით ამ გაერთიანებაში?***

— ველოდებით ყველას, ვინც დადებითი რეიტინგის მქონეა ხალხში.

***— ვისთან გქონდათ მოლაპარაკებები?***

— მოლაპარაკებები არის თითქმის ყველასთან, მაგრამ შედეგები იქნება პასუხების შემთხვევაში, როდესაც კის ან არას იტყვიან.

***— მაინც რა გზა აქვს თქვენს გაერთიანებას არჩეული, რომ თქვენი მიზნები განახორციელოთ?***

— გზა სიტუაციის ადეკვატური უნდა იყოს. წინასწარ თქმა იმის, რომ ამას ვიზამ და იმას, რთულია, არაადეკვატურობა იქნება. მოცემულ მომენტში უნდა დაფიქსირდეს რვიანის წარმატება-წარუმატებლობა, უფრო ზუსტად, ხელისუფლების დასტური ან უარი. ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ აკეთებს თუ არა ყველაფერს იმისთვის, რომ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები. თუ ამაზე იტყვის უარს, რისი გაჭიანურებაც უსაშველოდ არ შეიძლება, ამის შესაბამისად დაიგეგმება შემდეგი მოქმედებები.

***— ერთგვარად მოლოდინის რეჟიმში ხართ?***

— მხოლოდ მოლოდინის რეჟიმში არ ვართ, პარალელურად ვმუშაობთ. ყველა შესაძლო ვარიანტისთვის პოლიტიკური გაერთიანება მზად უნდა იყოს.

***— როგორია თქვენი დამოკიდებულება სახალხო კრების მიმართ, რომელსაც ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს?***

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგად უნდა იყოს გათვლილი, როგორ დამთავრდება ეს, უნდა იყოს გათვლილი, მეტ-ნაკლებად უნდა იცოდე სავარაუდო შედეგი; არ უნდა იყო მხოლოდ სიტუაციას მინდობილი. თუ სახალხო კრება წარმოადგენს ამ ყველაფრის სიცხადეს, მაშინ ხალხი გაყვება, თუ არა, რაღაც ნაწილი გაყვება და რაღაც — არა. ხალხს დღეს საკმაოდ ნათელი ორიენტირი სჭირდება და ნდობა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიმართ, რომელიც მას მოუწოდებს. ყველა პოლიტიკური პარტია უნდა ეცადოს, რომ ოქროს შუალედი იპოვოს, არც დროზე ადრე დაიწყოს ის ქმედებები, რომლის წარმატებაში რაღაც პროცენტით მაინც არ არის დარწმუნებული და არც უნდა გადამწიფდეს სიტუაცია. მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ უნდა მოხდეს გაერთიანება და შემდეგ უნდა ვიფიქროთ გადამჭრელ ღონისძიებებზე. თუმცა, გაერთიანება უსაშველოდ არ უნდა გადაიდოს.

# ნაციონალები ხელოვნურად გაყოფას გეგმავენ

დასაწყისი მე-4 გვერდზე



განვითარებისთვის წლების განმავლობაში პროგრამა ვერ გამოკვეთა და სუსტი მინისტრი აღმოჩნდა. სუსტი მინისტრი როგორ უნდა იქცეს ძლიერ მინისტრად, როდესაც მას ამ წარუმატებლობის წლების სიმძიმე აქვს ზურგზე წამოკიდებული, აი, ეს აღარ ვიცი.

***— მაშინ, როდესაც მინისტრები სიტყვით გამოდიოდნენ, პარლამენტთან აქციები იმართებოდა, რაში სჭირდება ისეთი მინისტრები ხელისუფლებას, რომლებიც, არაკვალიფიციურები, არაფრისმაქნისები და ამასთანავე, ხალხის დიდი ნაწილსთვის მიუღებელნი არიან?***

— არ უნდა სჭირდებოდეთ და ჩვენ იმიტომ მივეცით შანსი მათ, რომ მიეღოთ ეს გადაწყვეტილება, ანუ განათვისუფლებულიყვნენ იმ უნდობლობის სიმძიმისგან, რომელიც კვეზერელის სახელს უკავშირდება და ის ახალი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, რაზეც ჯერჯერობით, სიტყვიერად საუბრობდნენ ჩაებარებინათ ადამიანისთვის, რომელიც ნდობის მანდატით იქნებოდა აღჭურვილი, თუმცა...

***— უნდა იღებდეს თუ არა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ხელფასის და პრემიის სახით 100 ათას ლარს, ეს რამდენად გამართლებულია?***

— სუბელიანთან დაკავშირებით ჩვენ კითხვებზე პასუხები, რა თქმა უნდა, გვაინტერესებდა, მაგრამ ის რა ფაქტებიც ჩვენ წარმოვადგინეთ პარლამენტში უკვე საკმარისი იყო საიმისოდ, რომ ჩვენ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მკაცრად დაგვეყენებინა. ჩვენ ვისაუბრეთ, უპირველესად დევნილთა გამოსახლების პროცესზე, სადაც კანონის ყველა მოთხოვნა იქნა იგნორირებული. და რომელიც მათი ადამიანური ღირსების შელახვით მიმდინარეობდა. არ შეიძლება, რომ ელემენტალური კომუნიკაცია არ გქონდეს და პასუხს არ სცემდე დევნილს. ასევე არ შეიძლება ის, რომ ჩვილშვილიან ოჯახებს ყინვაში სატვირთო მანქანებით უშვებდე ფოცხო-ეწერში. „ნაციონალები“ დამწკრივდნენ სუბელიანის დაცვაში და აქეთ გადმოვიდნენ შეურაცყოფაზე ჩვენი მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანი დემონსტრირება იყო იმ არადეკვატურობისა, რომელიც მთლიანად ამ პოლიტიკურ ძალას ახასიათებს. მიმაჩნია რომ ამ თვალსაზრისით გარკვეული პოლიტიკური შედეგი ჩვენს მიერ მიღწეული იქნა. სუბელიანისადმი ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო დევნილებთან კომუნიკაციის ნაკლებობა და თქვენ ნახეთ, რომ ცხარე დებატების შემდეგ, მეორე დღესვე დევნილთა ერთი ჯგუფის სამინისტროში სტუმრობისას სუბელიანი ჩავიდა და დაელაპარაკა მათ. ანუ ამ დებატებს პირდაპირი, ან ირიბი შედეგები აუცილებლად, მოჰყვება.

***— გილაურის მტკიცებით, ქვეყანაში სიღარიბე 4-ჯერ შემცირდა, ურუშაძის თქმით, წამლებზე ფასები გაიფდა, რამდენად ადეკვატურად და სწორად აფასებენ მთავრობის წევრები ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და რამ გაგაოგნათ ყველაზე მეტად?***

— გილაურის ნათქვამი იყო ყველაზე გამაოგნებელი. თუკი გილაურს ჰგონია, რომ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი არის 4-ჯერ შემცირებული და ურუშაძეს ჰგონია, რომ წამლების ფასები გაიფდა, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები საერთოდ მოწყვეტილნი არიან რეალობას, ან ისე გართვნენ ამ უცხოური ორგანიზაციებისთვის რეიტინგების შედგენაში, რომლებიც უცხოეთში მათი პოზიციების აპელირებისთვის სჭირდებათ, რომ სულ ავიწყდებათ რეალურად რომელ ქვეყანაში და რა გარემოში ცხოვრობენ.

***— ლეიბორისტები თვლიან, რომ ოპოზიციას კითხვები მთავრობასთან წინასწარშეთანხმებული და მათთან ერთად დაწერილი ექნებოდა..***

— ასეთი განცხადებები ხუმრობათაც კი აღარ გამოდგება და დაუწერელი ტექსტებით მობრძანებულიყვნენ აგერ და რაც უნდოდათ გაეკეთებინათ. რაც შეეხება სამშაბათს, მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ საინტერესო დებატები გველის, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ პარლამენტში მთელი მთავრობა იქნება წარმოდგენილი, ანუ ძალოვნებიც. სამშაბათს პენიტენციალურ სისტემაზეც გვექნება საუბარი, სხვათა შორის, მომავალ კვირას პარლამენტში შემოდის სახალხო დამცველის ანგარიში, სადაც მკაცრად არის გაკრიტიკებული სასჯელაღსრულების სიტემაში არსებული ვითარება, პოლიციის დეპოლიტიზაცია, დამოუკიდებელი სასამართლოს არ არსებობა და ა. შ. აი, ეს თემები გახდება ჩვენი განხილვის საგანი.

***— რაც შეეხება ხელისუფლებისა და „ოპოზიციური რვიანის “ მოლაპარაკებებს, სანამ ხელისუფლება თავის პოზიციაზე არ ჩამოყალიბდება, მოლაპარაკებებს არ მივუბრუნდებითო, ნათქვამია „რვიანის“ განცხადებაში, მოლაპარაკებები კრახით დასრულდა?***

— ჩვენ მოლაპარაკებები არ შეგვიწყვეტია და მე მინდა, რომ კიდევ ერთხელ ნათლად გამოვხატო ჩვენი პოზიცია. ჩვენ მოლაპარაკებათა მაგიდიდან არ გავსულვართ, უბრალოდ, ჩვენ მოვნიშნეთ ის ფაზა, რომელშიც ახლა ვართ და რომელსაც შეიძლება ეწოდოს გარკვეული გაგებით კრიზისული, რადგან 5 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პრეზენტაციები, ანუ ჩვენს მიერ მომზადებული 150 გვერდიანი წინადადებების წარდგენა, რომელზედაც ჩვენ ხელისუფლების 4-5 გვერდიანი პასუხები მოვისმინეთ, რომელიც პასუხი ამ წინადადებებზე არც იყო ხომ. ამიტომ ჩვენ ვუთხარით ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც ამ გადაწყვეტილებით, რომ აი, აქ გავიჭედეთ-თქო.

***— პროცესი ჩიხშია, თქვენი აზრით, როგორი იქნება ხელისუფლების ნაბიჯები, მათგან რას ელით?***

— არ მინდა, რომ ჩიხი ვუწოდო. ამ მოლაპარაკებებს ახალი სუნთქვა, ბიძგი და დინამიკა სჭირდება. აი, ამას ემსახურებოდა „რვიანის“ საერთო განცხადება. ჩვენ გვსურს, რომ მოლაპარაკებები ახალ ეტაპზე გადავიდეს საიმისოდ, რომ გაზაფხულის ბოლომდე მოვახერხოთ ისეთი ტიპის შეთანხმებების მიღწევა, რომელიც გააუმჯობესებს საარჩევნო გარემოს.

***— რაც შეეხება ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებს, თქვენი ინფორმაციით, საუბრები ბოკერიას გაოპოზიციონერებაზე რამდენად რეალურია და თუ იგეგმება ასეთი რამ?***

— რა თქმა უნდა, ყველა ფიქრობს თავის მომავალზე, უმეტესობა ფიქრობს იმაზე თუ როგორი იქნება მომავალი კონფიგურაცია. ამ ეტაპზე არანაირი ისეთი მწვავე ქვედინებები, რამაც შეიძლება ხელისუფლების მონოლიზი დაარღვიოს არ იკვეთება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხვალ და ზეგ არ მოხდება.

***— ამბობენ, „ნაციონალების“ ხელოვნური გაყოფა უნდა მოხდეს, რათა ისინი მათივე გუნდის წევრმა ჩაანაცვლოსო, ეს ინფორმაცია რამდენად შეესაბამება სიმართლეს?***

— ამას არ გამოვრიცხავ, როცა ვთქვი, რომ სხვადასხვა კონფიგურაციაზე ფიქრობენ, ესეც ვიგულისხმე, დიახ, ფიქრობენ, მაგრამ ეს რა სახეს და ფორმას მიიღებს ამაზე დღეს ჩემი აზრით, საუბარი ნაადრევია.

# ლალი აფციაური: „მინისტრმა კალმახელიძემ პატიმარი ზვიადაძე პირადად აწამა“

## ქვეყნის ბიუჯეტი პატიმრების ფულით ივსება

შორენა კოწოწაშვილი



**წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი, ადვოკატი ლალი აფციაური, პატიმართა ცემა-წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ პირადად მინისტრი კალმახელიძე კურირებს ამ ყველაფერს.**

**აფციაურის თქმით, ხათუნა კალმახელიძემ სუტენიორის ფუნქცია შეითავსა, როცა პატიმარ მეუღლესთან შეხვედრა ფასიანი გახადა.**

**აფციაური დარწმუნებულია, რომ საპროტესტო ტალღა სერიოზულ მასშტაბებს მიაღწევს და სასჯელაღსრულების მინისტრს იმ ციხეში მოუწევს ჩაჯდომა, რომელსაც დღეს ის ევროპული დონის ციხეებად ნათლავს.**

**რატომ არ შეუშვეს მეუფე პეტრე მეშვიდე საპყრობილეში და რა გზით მოხდება დამნაშავეთა მხილება წინააღმდეგობის მოძრაობის მხრიდან? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ ლალი აფციაურთან.**

***— ქალბატონო ლალი, იცით, რომ საფრანგეთის ელჩი ფურნიე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ საქართველოში არსებულ ნეობოლშევიზმზე ალაპარაკდა. ხელისუფლება ფურნიეს ამ განცხადებით უკმაყოფილო დარჩა. რას ნიშნავს ფურნიეს ეს განცხადება და რა გაგრძელება შეიძლება ამას მოჰყვეს?***

— შეიძლება ითქვას, ამდენი დუმილის შემდეგ ყინული გალღვა, ანუ დიპლომატიურმა კორპუსმა უკვე დაიწყო ხმამაღლა იმ განცხადებების გაკეთება, რომელზეც საქართველოში დიდი ხანია საუბრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს საპირისპიროდ ლაპარაკობს, თურმე ჩვენ ავყვავდით, დემოკრატიული და წარმატებული ქვეყანა ვართ. პიარში ეს ხელისუფლება ჩვენი ჯიბეებიდან საკმაოდ დიდ ფულს იხდის. უკვე დადგა იმის დრო და ეს დრო აუცილებლად დადგებოდა, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, რადგან ყველაფერს აქვს საზღვარი. ჩვენ ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიპლომატიური კორპუსი ხმამაღლა ალაპარაკდებოდა. საფრანგეთის ელჩის მხრიდან ეს პირველი ნაბიჯი გადაიდგა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია. ფურნიეს ეს გამოსვლა პირველი მერცხალი იყო. ამას სხვა განცხადებებიც მოჰყვება, იმიტომ რომ საერთაშორისო საზოგადოება დაიღალა ამ ხელისუფლების ცრუპენტელობითა და ბოროტი საქმეებით. უკვე დადგა დრო, ყველამ შესაბამისი განცხადებები გააკეთოს. თუმცა, ეს დიდი ხნის წინ უნდა გაეკეთებინათ. ალბათ, ხელისუფლების მიერ ჩადენილ ბევრ ბოროტებას შეაჩერებდნენ.

***— რატომ შეიტანა ხელისუფლებამ ეჭვი, ფურნიე ამას არ იტყოდაო?***

— ესენი კრიტიკას მიჩვეულნი არ არიან. წლების განმავლობაში ისმოდა დიპლომატიური კორპუსების განცხადებები იმის თაობაზე, რომ აქ რაღაცები ხდება. ყოველ შემთხვევაში, ეს განცხადებები მსუბუქი ფორმით კეთდებოდა. ხელისუფლება მიეჩვია და ვალდებულებაში გადაეზარდათ, რომ დიპლომატიურმა კორპუსებმა მხოლოდ უნდა აკეთონ ამათთვის სასიკეთო და სასიამოვნო განცხადებები. მათ ავიწყდებათ, რომ ისინი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან და ყველაფერს საზღვარი აქვს. ამიტომ ეჭვი შეიტანეს. ესენი მიჩვეულები იყვნენ, ხელისუფლებისთვის მძიმე პერიოდში ეთქვათ, დემოკრატიის კუთხით შეიძლება რაღაც პრობლემებია, მაგრამ წარმატებული ქვეყანააო. დიპლომატებმა სააკაშვილის ხელისუფლება ამას მიაჩვიეს და ამიტომაც თავში აუვარდათ და ჰგონიათ, რომ ყოველთვის ყველაფერი იმ დონეზე დარჩება, რა დონეზეც ახლა აქვთ დაყენებული. მათ არ იციან და არ ელოდებიან იმას, რომ ვიღაც დაუპირისპირდება და მით უმეტეს არ ფიქრობენ, რომ ამ ხელისუფლების მძიმე ნაბიჯებზე დიპლომატიური კორპუსი ღიად ისაუბრებს. ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ ასეთი იმედი ჰქონდათ ეგვიპტის, ლიბიის მმართველებს. ინფორმაციიდან შევიტყვე, რომ ეგვიპტის მმართველი მუბარაქი უკვე დაადანაშაულეს განზრახ მკვლელობებში. ანალოგიური იქნება კადაფისა და მიხეილ სააკაშვილისთვის. დრონი მეფობენ და არა მეფენი. ეს სააკაშვილს უნდა გაეცნობიერებინა, როცა ამ უმძიმეს დანაშაულებს სჩადიოდა.

***— საფრანგეთის ელჩის პოზიციებს ბევრი უცხოელი დაუჭერს მხარს და შეიძლება ამან ხელისუფლების წასვლა დააჩქაროს კიდეც?***

— ეს ძალიან მოკლე დროში გამოჩნდება. პროცესები ბუნებრივად განვითარდება.

***— ფურნიესგან განსხვავებულად ფიქრობს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომელმაც დემოკრატიის ერთ-ერთ მაგალითად მიიჩნია პარლამენტში მთავრობის წევრების მისვლა და დებატები.***

— ხელისუფლებას თუ ის მიაჩნია დემოკრატიად, რომ პარლამენტში ე.წ. ოპოზიციასთან დებატებს მართავს, ეს მათი პრობლემაა. ხელისუფლება ფიქრობს ასე და არა საზოგადოება. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, როგორი ოპოზიციაა პარლამენტში. ყველამ კარგად ვიცით, რომ სწორედ ამ ე.წ. ოპოზიციაზე დგას სააკაშვილის ხელისუფლება. ამიტომაც აცხადებენ დღეს ბაქრაძე და სხვები, ოპოზიციასთან დებატები გაიმართაო. თუ ამ ხელისუფლებას ადამიანების წამება მიაჩნია დემოკრატიად და პატიმართა წამება ციხეებში, აბა, რეალური დემოკრატია რა არის? შეიძლება, სააკაშვილის გუნდის გაგებით ეს დემოკრატიაა, მაგრამ ჩემთვის ეს დიქტატურაა. ჩემი შეფასებით, ეს არის ყველაზე ბოროტი ხელისუფლის ნამოქმედარი. 1500 კაცზე მეტი გამოდის დღეს და აცხადებს, შეწყვიტეთ პატიმართა წამებაო. ბოლო ერთი კვირის მანძილზე მსოფლიოს ყველა კუთხეს მივაწვდინეთ ხმა, რომ ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირი სასტიკად აწამეს ქვეყანაში. როგორც ვთქვით, ექსტრადირება იმას ნიშნავს, რომ გარკვეული პირის საქართველოში ჩამოყვანისას საქართველო გარკვეულ ვალდებულებას იღებს. ვალდებულებაში მითითებულია, რომ პირი, რომელიც საქართველოში იქნება ექსტრადირებული, არ დაექვემდებარება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. მის საქმეს განიხილავს სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო. უკვე ერთი კვირაა, რაც ვყვირი: ექსტრადირებული ადამიანი, პატიმარი ზვიადაძე სასტიკად აწამეს, თავში წიხლებით ჩაარტყეს, შვიდმა კაცმა უმოწყალოდ სცემა. თუ ეს მიგაჩნიათ დემოკრატიად, არ ვიცი. ციხეებში პატიმრები უმოწყალოდ იხოცებიან და წამლის მიმწოდებელიც კი არავინ ჰყავთ. ეს არის დემოკრატია? რომელი ერთი ფაქტი დავასახელო. ქვეყანაში რეალურად ბიზნესი არ ფუნქციონირებს, ყველაფერზე ხელისუფლების ოფიციალური რეკეტი ხორციელდება. დღეს ქვეყნის ბიუჯეტი პატიმრებზე დგას, ანუ ქვეყნის ბიუჯეტი პატიმრებისგან შესული ფულით ივსება. სასამართლო რომ არ არსებობს, უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს უნდა, საქართველოში დემოკრატიის ნიშანწყალი დაინახოს, ის მაინც თავისას გააკეთებს და იტყვის, რომ საქართველოში დემოკრატიაა. ვინმემ დამისაბუთოს და მეც დავიჯერებ.

***— თქვენ პატიმრების წამება ახსენეთ, თუმცა სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე საპირისპიროს ამტკიცებს. კალმახელიძის მტკიცებით, საკანონმდებლო დონეზეც გამოსწორდა პატიმართა მდგომარეობა.***

— ეს არის აბსოლუტური ტყუილი. ქალბატონი კალმახელიძე რომ უშუალოდ მონაწილეობს პატიმრების წამებაში, ფაქტია. კალმახელიძეს ჰგონია, რომ უშუალო მონაწილეობა არ არის, როდესაც ინფორმაციას გაწვდიან პატიმრის მდგომარეობის შესახებ და რეაგირებას არ აკეთებ. ის ძალიან ცდება. საჩივარი მაქვს შეტანილი კალმახელიძის წინააღმდეგ და არავინ მისულა დღემდე ამ საქმის საკითხავად, გარდა სახალხო დამცველისა. როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია ზვიადაძის წამებასთან დაკავშირებით, მეორე დღესვე შევიდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი. შეხვდნენ ამ უმოწყალოდ ნაცემ ადამიანს და დააფიქსირეს მისი დაზიანებები სახეზე. რას ნიშნავს კალმახელიძის რეფორმა, ალბათ, ეს მან უნდა იცოდეს. ხათუნა კალმახელიძემ უნდა იცოდეს, რომ მაშინ, როდესაც ხელისუფლება შეიცვლება და ქვეყანა რეალურად დემოკრატიის გზაზე დადგება, კალმახელიძეს სწორედ იმ ევროპული სტანდარტების ციხეში მოუწევს ყოფნა, რომელსაც დღეს გვთავაზობს. დამერწმუნეთ, ახალი ხელისუფლება კალმახელიძეს გაასამართლებს სამართლებრივი კუთხით ჩადენილი დანაშაულებისთვის. შესაბამისად, კალმახელიძეს იგივე სასამართლო გაასამართლებს, რომელიც დღეს ჰყავთ. ჯერ ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს გაასამართლებინებენ ამ მოსამართლეებს და მერე თვითონ ეს მოსამართლეები მიჰყვებიან მათ. თითოეული დანაშაული, რომელიც კალმახელიძის პერიოდში იქნა ჩადენილი უფლებამოსილების გადამეტებისა და თანამდებობრივი გულგრილობისთვის, აღრიცხულია. კალმახელიძე იმ ბოროტებას უწყობს ხელს, რომელიც დღეს ციხეებშია. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, კალმახელიძეს სწორედ ევროპული სტანდარტებით აშენებულ ციხეში მოუწევს ყოფნა. მაინტერესებს, რომელ ევროპულ სტანდარტებს ექვემდებარება თუნდაც ქალთა ციხე, სადაც ქალბატონები ცემენტის იატაკზე ჰყავთ მოთავსებული. ერთი თვის აშენებული არ იყო ქალთა ციხე, რომ ისე გაიჭედა საკანალიზაციო მილი, მთელი სიბინძურე ადმინისტრაციის კაბინეტებში ავიდა. რაც შეეხება საკვებს, პატიმრებს ისეთი საკვებით კვებავენ, ღორებიც რომ არ შეჭამენ. აი, როგორი დემოკრატია სააკაშვილი და როგორი რეფორმატორი მინისტრი ჰყავს კალმახელიძის სახით.

***— თქვენი აზრით, უნდა დააყენოს თუ არა საპარლამენტო ოპოზიციამ აქტიურად ხათუნა კალმახელიძის გადადგომის მოთხოვნა?***

— ამ ქვეყანას რომ ოპოზიცია ჰყავდეს, როგორც ამას გვთავაზობენ, პირველ რიგში ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდნენ. სასჯელაღსრულების მინისტრ კალმახელიძის ადგილი ციხეშია. პატიმრების სიკვდილიანობის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში იმდენად დიდია, რომ ანალოგი არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება. როცა ციხეში ამდენი პატიმარი გელუპება ტუბერკულოზით, იქ მინისტრის საქმე დამთავრებულია. დღეს დაუშვეს ისეთი პრეცედენტიც, რომ მართლმადიდებელ მეუფე პეტრეს, რომელიც ჩამოსული იყო დასავლეთიდან და პატიმრის მოსანახულებლად მივიდა მეშვიდე საპყრობილეში, უთხრეს, მეუფე არ უნდა შევიდეს საპყრობილეშიო. დავინტერესდი გამერკვია, რატომ უთხრეს მეუფეს მსგავსი რამ. თუმცა, იგივე მიპასუხეს მე — არ შეიძლება მეუფის შეშვებაო. შემდეგ გენინსპექციას მივმართე, სადაც მითხრეს, როგორ გეკადრებათ, ჩვენ ყველა კონფესიის წარმომადგენლებს ვუშვებთ ციხეშიო. როგორც ჩანს, ყველა კონფესიის წარმომადგენლებს მართლაც თავისუფლად უშვებენ ციხეში, მართლმადიდებლების გარდა. ჩემი ინფორმაციით, კალმახელიძე თვითონ მონაწილეობდა პატიმარ ზვიადაძის წამებაში. მას შემდეგ, რაც საჩივრები დავწერე, ჩავიდა და ზვიადაძეს დაემუქრა, თუ არ დაანებებთ თავს საჩივრების წერას შენ და შენი ადვოკატი, კამერაში რაღაცას დაგიდებენო. ამის შემდეგ, კბილის ჯაგრისით დაწყებული და ტუალეტის ქაღალდით დამთავრებული, ყველაფერი გამოუყარეს საკნიდან. ასეთი ადამიანები უნდა წყვეტდნენ, მეუფე უნდა შევიდეს თუ არა ნაწამებ პატიმართან სანახავად?

***— ქალბატონო ლალი, წინააღმდეგობის მოძრაობა ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურობს პატიმრების უფლებების დაცვის კუთხით. რაიმე დადებითი ცვლილებები იკვეთება?***

— წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ დაწყებული აქციები შედეგზეა ორიენტირებული. გუშინ თუ იყო 1500 ადამიანი, ხვალ იქნება 2500 ადამიანი და მეტი. ხალხი დაძლევს იმ შიშის ფაქტორს, რომელიც მათშია გამჯდარი. ხალხი გამოვა ქუჩაში და ღიად დააფიქსირებს თავის უკმაყოფილებას. ეს ბოროტების ხელისუფლება არ ჩერდება და მას მხოლოდ ხალხის ძალა გააჩერებს. გარდა ამისა, ძალიან ეფექტური და იოლია ყველა იმ პირის მხილება, მათი ფოტოების გამოფენა და სახლებთან აქციების მოწყობა, ვინც უშუალოდ მონაწილეობს პატიმრების წამებაში. აბსოლუტურად ყველას სახლში მივაკითხავთ და საპროტესტო აქციებს მოვუწყობთ. შევალთ სკოლებში და მათ შვილებს მოვუყვებით, როგორი მშობლები ჰყავთ და როგორ სისასტიკეს სჩადიან ისინი ყოველდღიურად. ეს ყველაფერი აუცილებელია, რადგან სხვანაირად ვერ შევაჩერებთ ამ ბოროტებას. ჩემი აზრით, ყველა პატიმრის ოჯახის წევრი და ახლობელი უნდა გამოვიდეს ციხეებში გამოკეტილი პატიმრების დასაცავად. პატიმრების ოჯახის წევრებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ თავიანთი პატიმრების გადარჩენა უნდათ, უნდა გამოვიდნენ და არსებული ვითარება გააპროტესტონ.

***— მინისტრი კალმახელიძე სერიოზულ მიღწევად მიიჩნევს გრძელვადიანი პაემნების აღდგენას პატიმრებისთვის.***

— ასეთი პაემნები 60 ლარი გახდა. ხათუნა კალმახელიძემ სუტენიორობა დაიწყო. ხედავთ, რა დრო დადგა, სახელმწიფო უკვე ფულს ამ გზითაც შოულობს. პირველად გავიგე, რომ ცოლ-ქმრის შეხვედრა ციხეში ფასიანი იყოს, ან დედა-შვილის შეხვედრა იყოს ფასიანი. გამოვიდეს და გვითხრას კალმახელიძემ, რომელ ქვეყანაშია ასეთი რამ. ამ საკანონმდებლო ჩანაწერით, რომლითაც პაემანი მეუღლესთან 60 ლარი გახდა, ხელისუფლებამ სუტენიორობა დააკანონა.

***— ქალბატონო ლალი, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, როგორ აფასებთ მოწოდებას, სამოქალაქო სექტორმა და ოპოზიციამ ერთად კოორდინირებულად იმოქმედონ ხელისუფლების წინააღმდეგ? რამდენად შესაძლებელია ეს და არის თუ არა მართლაც რევოლუციური ფონი ქვეყანაში?***

— ჩემი აზრით, თვითონ ხელისუფლება გაიძულებს, ეს ნაბიჯი გადადგა, რევოლუციაზე წახვიდე, რადგან სამართლებრივი კუთხით ამ ქვეყანაში არაფერი გაკეთდება. ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის კოორდინირებული მოქმედება აუცილებელია, თუ არადა, ჩემი აზრით, სააკაშვილთან ერთად ეს ოპოზიციაც დატოვებს პოლიტიკურ ასპარეზს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ პოზიციები არ დათმოს.

***— ქალბატონო ლალი, კულუარებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ათასობით ადამიანის დაპატიმრებას გეგმავს შემოდგომამდე და ამ გზით, ანუ საპროცესო გარიგებებით აპირებს სოლიდური თანხების ამოღებას. თუ გსმენიათ რამე ამის შესახებ და რა კატეგორიის ადამიანების დაპატიმრებას უნდა ველოდეთ?***

— არაერთხელ მითქვამს და დღესაც ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ქვეყნის ბიუჯეტი დღეს საპატიმროებში მყოფი პატიმრების ხარჯზეა. დაპატიმრებების სერია უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვთ. ყველას დაიჭერენ, ვისზეც კი ეგულებათ, რომ ფინანსური საშუალებები აქვს. თუ ვინმეს რამე აბადია, ყველას ყველაფერს გააყიდვინებენ. ხალხმა უნდა ისწავლოს თანადგომა და იმ ადამიანების უფლებების დაცვა, რომლებსაც ხელისუფლება ავიწროებს. დაჭერების გაგრძელებას უნდა ველოდეთ. მიადგებიან ალბათ ტაქსის მძღოლებს, დირექტორებს, ექიმებს და ა.შ. დღეს საქართველო მსოფლიოში უნიკალური ქვეყანაა 100 ათას კაცზე პატიმრების რაოდენობით. ეს ციფრი ყოველდღიურად იზრდება. თითქმის ყოველი მეორე პატიმარია. ვინც გარეთ არის, ამ ხელისუფლების პირობებში ისიც ფაქტობრივად პატიმარია, მძევალია, რადგან თავისუფლად მოქმედების, თუნდაც თავისუფლად გადაადგილების საშუალება არა აქვს. მამაპაპის დანატოვარი ქონება გაყიდა ხალხმა საპროცესო გარიგებებისთვის. ეს ხელისუფლება მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ფული როგორ ამოიღოს და მისთვის სულ ერთია, დამნაშავე აღმოჩნდება ციხეში თუ უდანაშაულო.

## სანდრო ბრეგაძისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი 29 მარტს გაირკვევა



ყოფილ პარლამენტარ სანდრო ბრეგაძის ადვოკატებს პროკურატურისაგან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თხოვნასთან დაკავშირებით პასუხი ამ დრომდე არ მიუღიათ.

როგორც ბრეგაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა დალი იმნაიშვილმა მედიანიუსს„ განუცხადა, პროკურატურაში შესაბამისი განცხადება 24 თებერვალს შევიდა, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

როგორც ცნობილია, სანდრო ბრეგაძის სასამართლო პროცესი 29 მარტსაა ჩანიშნული და იმნაიშვილი ვარაუდობს, რომ აღნიშნული საკითხი სწორედ ამ დროისთვის გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ ბრეგაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა 21 თებერვალს შეუფარდა და მისი ადვოკატები პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ცდილობენ. როგორც ცნობილია, ყოფილ პარლამენტარს ბრალი იარაღის გამოყენებით ხულიგნობაში ედება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გავრცელებული ინფორმაციით, 17 თებერვალს თბილისში, „ვისოლის“ ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე ბრეგაძესა და სადგურის თანამშრომელს შორის ინციდენტი მოხდა, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ბრეგაძემ იარაღი ამოიღო, თუმცა არ გამოუყენებია. როგორც ცნობილია, სანდრო ბრეგაძე ყოფილი პარლამენტარია და მას იარაღის ტარების უფლება აქვს.

მედიანიუსი

# სააკაშვილი რუსეთს ხელს ყველაფერზე მოუწერს

შორენა კოწოწაშვილი

**მამუკა გიორგაძის თქმით, საქართველოში მხოლოდ რუსული სახელმწიფო კაპიტალით შექმნილი ფირმების ინვესტიციებია და რუსული პოლიტიკის ინტერესებიც ხორციელდება.**

**— რუსეთი ყველაფერს აკეთებს კრიტიკულ დღეებში სააკაშვილის გადასარჩენად. ის არეგულირებს, რომ ხალხის სამართლიანი რისხვა სააკაშვილის წინააღმდეგ არ წავიდეს ისეთი მიმართულებით, რომელიც სააკაშვილის ყოფნას ხელისუფლებაში დააზარალებს და ამას აკეთებს მართვადი ოპოზიციის ლიდერების მეშვეობით, — აცხადებს მამუკა გიორგაძე.**



*— ბატონო მამუკა, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის თანხმობის სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლება დეოკუპაციას ითხოვს. რუსული მხარე ქართულს ვითარების ობიექტურად შეფასებას ურჩევს, ჟირინოვსკი კი კავკასიაში მოსალოდნელ პოლიტიკურ ცუნამზე საუბრობს და დარწმუნებულია, რომ რუსეთი მსო-ს წევრი მაინც გახდება. რას ნიშნავს ორი მხარის ეს პოციზიები?*

— საქართველოს ხელისუფლებას აქვს ორი სახე, როდესაც თავის პოლიტიკას წარმართავს შიდა მოხმარებისთვის და ეს სულ სხვა თემატიკაა, მეორე — წარმართავს სულ სხვა პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობებში. როგორც წესი, ეს ორი მიმართულება ერთმანეთს არ ემთხვევა. საქართველოში ამბობს ერთს, გარეთ — მეორეს. ჩვენ ასეთი ძალიან ბევრი ფაქტი გვახსოვს, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებით. იგივე ევროსაბჭოში 6 თვის მანძილზე ქართველი საზოგადოება, პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლები არ შეთანხმებულან, რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ. არც უნდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ შეთანხმება და შიდა ქართული კონსენსუსი მოხდეს, იმიტომ რომ მას აქვს, ერთი მხრივ, ამოცანა, ისტერიკულ დონეზე დაძაბოს ვითარება საქართველოს შიგნით რუსეთთან მიმართებით, გარეთ მან რუსეთს უნდა მოუწეროს ხელი რუსეთისთვის საინტერესო ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. არაადეკვატურია, როდესაც ვსაუბრობთ მსო-ს ფორმატში, დავუშვათ, დეოკუპაციაზე. დეოკუპაციაზე სხვა ფორმატსა და სხვა ვითარებაში უნდა ვისაუბროთ. ამ ფორმატში ის საკითხები უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელთაც მსო განიხილავს. ბევრი ქმედება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სჭირდება მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის ისტერიკული პიარი, ხოლო გარეთ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქართველი საზოგადოება დააყენოს ფაქტის წინაშე და თქვას, სხვა რა გზა მქონდაო. ბოლო მომენტში ისე მოიქცევა, როგორც რუსეთს დასჭირდება.

***— რუსეთი დარწმუნებულია, რომ ამერიკის ზეწოლით საქართველოს ხელისუფლებისგან მსოში გაწევრიანებაზე თანხმობას მაინც მიიღებს.***

— ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ სააკაშვილი, მრავალი სხვა ფაქტიდან გამომდინარე, ემსახურება რუსეთს და, შესაბამისად, იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც რუსეთს სჭირდება. ამის გაფორმება შეიძლება მოხდეს ამერიკის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის საქართველოში ვიზიტის დროს. ეს ფორმალური მხარეა. მთავარი ის არის, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველო მაშინ არ უტევდა რუსეთს, როცა საჭირო იყო. რუსეთის მხრიდან სწორედ მაშინ კეთდება საქართველოს მიმართ მკვეთრი განცხადებები, როცა ეს საქართველოს ხელისუფლებას აწყობს. რუსეთისა და სააკაშვილის ხელისუფლება ერთმანეთს ემსახურებიან საქართველოს ხარჯზე.

***— თქვენ რუსეთისა და სააკაშვილის შეთანხმებულ მოქმედებებზე საუბრობთ, თუმცა რუსეთის ხელისუფლება აკეთებს განცხადებებს, სააკაშვილის მმართველობა უკვე დამთავრებულიაო.***

— სააკაშვილი არის საშუალება საქართველოს დასანგრევად და დასაშლელად. სააკაშვილი ასრულებს ნებისმიერ შეკვეთას, ოღონდ ერთი წლით გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა. შეუძლებელია, საქართველოს მტერმა იმაზე უკეთესი მმართველი ინატროს, როგორიც სააკაშვილია. რუსეთი ყველაფერს აკეთებს კრიტიკულ დღეებში სააკაშვილის გადასარჩენად. ის არეგულირებს, რომ ხალხის სამართლიანი რისხვა სააკაშვილის წინააღმდეგ არ წავიდეს ისეთი მიმართულებით, რომელიც სააკაშვილის ყოფნას ხელისუფლებაში დააზარალებს და ამას აკეთებს მართვადი ოპოზიციის ლიდერების მეშვეობით. რაც შეეხება სააკაშვილის პოლიტიკას, ბათუმში თურქული მეჩეთის, აზიზეს მეჩეთის ხელახალი აშენება, პრაქტიკულად, პოლიტიკური გამოხატულებაა იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკას აქვს პრეტენზიები ამ ტერიტორიაზე. ვის რაში აინტერესებს 100 წლის წინ დანგრეული შენობის აღდგენა, მით უმეტეს, თუ საუბარია იმაზე, რომ იქ მეჩეთი არ იფუნქციონირებს!

***— ბატონო მამუკა, დღეს ყველა აღიარებს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო ქმედითი ორგანო გახდა, მისი ხელმძღვანელი გიგა ბოკერია კი ლამის მერაბიშვილზე დიდი გავლენის მატარებელია. ამ ფონზე, გამოდის, ბოკერია ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით არანაირ ნაბიჯს არ დგამს. ასეა?***

— ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს საქართველოს გაყიდვის საქმეში, ხელისუფლებაში დარჩენის საქმეში ან გავლენის კიდევ უფრო გაძლიერების პარალელურად.

***— საფრანგეთის ელჩის პოზიციამ და ნეობოლშევიზმზე აქცენტმა სააკაშვილის გუნდის უკმაყოფილება გამოიწვია. დააჩქარებს დიპლომატების მსგავსი განცხადებები ხელისუფლების შეცვლის პროცესს?***

— უცხოელების ეს პოზიცია მას მერეა გამოკვეთილი, რაც სააკაშვილი მოვიდა. უბრალოდ, ფორმულირებებია სხვადასხვა. როდესაც ბაიდენი ჩამოვიდა საქართველოში და გვითხრა, თუ გინდათ ნორმალური ურთიერთობა, გახდით ჩვენი პარტნიორიო, კაცმა სახეში პირდაპირ გვთხლიშა, თქვენ არა ხართ სუბიექტი, არა ხართ პარტნიორი. თქვენ ხართ ბოლშევიკურ-ავტორიტარულ-ტირანული სახელმწიფო და, სანამ არ გახდებით ცივილიზებული სამყაროს პარტნიორები, მანამდე შეუძლებელი იქნება თქვენი წინსვლაო. კაცმა ეს გვითხრა ლამაზი სიტყვებით. დესპოტიზმი, ტირანია და ავტორიტარიზმი არ უხსენებია, თორემ გასაგებად გვითხრა, არა ხართ თქვენ პარტნიორიო. როცა დიპლომატიურ ენაზე გვეუბნებიან, მოგვწონს თქვენი წარმატებები, მაგრამ ამ ნაწილში გაქვთ სერიოზული ჩავარდნებიო, უნდა გავიგოთ, რომ ის ნაწილებია გადამწყვეტი ფაქტორი, თორემ დიპლომატიური რევერანსია — მე მომწონს თქვენი რეფორმები. მთელი ტრაგედია ის არის, რომ ამ განცხადებებს რაიმე რეალური მნიშვნელობა არა აქვს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დასავლეთს აქ სააკაშვილის შესაცვლელი მექანიზმები არ გააჩნია.

## დღეს საქართველო-ინდოეთის ბიზნესფორუმი გაიმართება

დღეს თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველო-ინდოეთის ბიზნესფორუმი გაიმართება. მისი ორგანიზატორები არიან საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, საქართველოსა და სომხეთში ინდოეთის საელჩო და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. ინდოეთის ბიზნესდელეგაციას ინდოეთის ელჩი საქართველოსა და სომხეთში აქალ მალჰოტრა უხელმძღვანელებს. შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია გახსნის.

ინდოეთის დელეგაცია ფარმაციის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯანდაცვის, მშენებლობის, მეტალურგიისა და სხვა სექტორებში მომუშავე კომპანიების წარმომდგენლებით იქნება დაკომპლექტებული. ისინი თავიანთ ქართველ კოლეგებს შეხვდებიან. ბიზნესფორუმის მიზანი სწორედ ქართულ და ინდურ კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლა და კონტაქტების დამყარებაა.

29 მარტისათვის ქართულ კომპანიებში ინდური დელეგაციის ვიზიტი არის დაგეგმილი.

**მედიანიუსი**

## სურამში ლესია უკრაინკას სახელობის მცირე მუზეუმი გაიხსნა

სურამის მე-3 საჯარო სკოლაში, უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილ ციბენკომ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა მოსიაშვილმა უკრაინელი პოეტის, ლესია უკრაინკას სახელობის მცირე მუზეუმი გახსნეს.

ღონისძიებას უკრაინის საელჩოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და უკრაინის „რადას“ დეპუტატები ესწრებოდნენ.

სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს ლესია უკრაინკას მემორიალი და მისი სახლ მუზეუმი დაათვალიერეს. ვასილ ციბენკომ მუზეუმს საჩუქრად მოქანდაკე თამარ აბაკელის მიერ შესრულებული ნახატი „ლესია უკრაინკა“ გადასცა.

საელჩოს სახელით მადლობის სიგელები გადაეცა ლესია უკრაინკას სახელობის სურამის მე-3 საჯაროს სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ხოლო ელჩმა თანამშრომლობისა და მეგობრობის ნიშნად, სკოლის დირექტორს გადასცა “ორდენი დამსახურებისათვის„.

ასევე, სკოლას გადეცა სხვადასხვა სახის უკრაინულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები, წიგნები, ელექტრონული ვიდეო და აუდიო მასალები.

სკოლა წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს უკრაინის საელჩოსთან და მონაწილეობას იღებს უკრაინისა და საქართველოს შორის მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში და საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

**ინტერპრესნიუსი**

## ხაშურის გამგებელი დევნილებს შეხვდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა მოსიაშვილი ხაშურში, ყოფილი 64 ე პროფსასწავლებლის საერთო საცხოვრებელში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდა.

გამგებელმა დევნილებს წყლის ტუმბო გადასცა, რომლითაც შენობაში მცხოვრებ 33 დევნილ ოჯახს, სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება. გამგებელი მომავალი კვირიდან დევნილ ოჯახებს შეშასაც დაპირდა. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება იძულებით გადაადგილებულ პირების მოთხოვნით, საერთო საცხოვრებლის ეზოსა და დერეფანში გარე განათებასაც დაამონტაჟებს.

**ინტერპრესნიუსი**

## კანადაში პარლამენტი დაითხოვეს

შაბათს კანადის გენერალ-გუბერნატორმა დევიდ ჯონსტონმა პარლამენტი დაითხოვა.

უცხოური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ვადამდელი არჩევნები 2 მაისს ჩატარდება, რომელიც რიგით მეოთხე იქნება ბოლო 7 წლის განმავლობაში.

კანადის პარლამენტის ოპოზიციური „ლიბერალური პარტიის“ წევრებმა მმართველ „კონსერვატიულ პარტიას“ უნდობლობა იმის გამო გამოუცხადეს, რომ “კონსერვატორები“ სახელმწიფო შესყიდვებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშსა და ინფორმაციას პარლამენტს სრულფასოვნად არ აწვდიდნენ, რაც ოპოზიციურმა პარტიებმა უპატივცემლობად მიიჩნიეს.

„ლიბერალების“ ინიციატივას კანადის პარლამენტის სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც დაუჭირეს მხარი, რომლის თანახმად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება.

თავის მხრივ, „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერმა სტივენ ხარპერმა აღნიშნა, რომ მაისში კანადელებს არჩევანის გაკეთება მმართველი პარტიის მიერ დაბალი გადასახადების დაწესებასა და უპასუხისმგებლო კოალიციას შორის მოუწევთ, რომლებიც ფინანსური კრიზისის შემდეგ, კანადის ეკონომიკის აღდგენას ვერ შეძლებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## თურქი სტუდენტებისთვის სპეციალური პამპერსები გამოუშვეს

თურქი სტუდენტებისთვის სპეციალური პამპერსები გამოუშვეს.

თურქული საინფორმაციო სააგენტო „ფოსტა“-ს ცნობით, ერთ-ერთმა თურქულმა კომპანიამ გასაყიდად გაიტანა სპეციალური პამპერსი, რომლის გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში, მისაღები გამოცდების დროსაა მოსახერხებელი.

სტუდენტური პამპერსების მწარმოებლის ნიაზ ჩაპანის განცხადებით, აღნიშნული პამპერსები გამოცდების დროს საჭირო ჰიგიენური საშუალებაა, რადგან ხშირად, აუცილებლობის მიუხედავად, გამომცდელები სტუდენტებს აუდიტორიებიდან არ უშვებენ, რაც მათ ფსიქიკაზე და გამოცდების შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს.

ერთი სტუდენტური პამპერსი 1 აშშ დოლარი ღირს.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში ფერმერებს ვალები უგროვდებათ

**საქართველოში არსებულ მაღალ ინფლაციაზე, ფერმერთა უკიდურესად მძიმე მდგომარეობასა და სოფლის მეურნეობის განვითარების არაეფექტურ სახელისუფლებო გეგმაზე საინფორმაციო ვებ-პორტალი „ევრაზიანეტი“ ვრცელ სტატიას აქვეყნებს.**



როგორც „ევრაზიანეტის“ სტატიაშია აღნიშნული 13.7 პროცენტიანი ინფლაციის ზრდის ტემპის და ცუდი საკრედიტო სისტემის გამო, ისედაც მცირე რიცხოვანი ფერმერები გაკოტრების პირას არიან და საგაზაფხულოდ სათესლე მასალის შეძენასაც კი ვერ ახერხებენ.

გამოცემის ჟურნალისტი მოლი კორსო წერს, რომ ქართველი ფერმერები, ბანკებსა და ინსტიტუტებში, რომლებიც მიკროკრედიტებს გასცემენ, ვერ ხედავენ იმ სახსრების მიღების რეალურ შესაძლებლობას, რაც აუცილებელია თესლის, სასუქისა და საწვავის შესაძენად. ბანკის კრედიტები ფერმერებისთვის ძალიან ძვირია და სასოფლო-სამეურნეო სესხებისადმი ისეთი მიდგომა, არა სწორია.

— უფრო ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი, მრავალწლიანი კრედიტების შემთხვევაში ფერმერებს ექნებათ იმის დრო, რომ მოსავალი მიიღონ და ფული იშოვონ, რათა სესხი დააბრუნონ. ამ აზრს იზიარებს ყოფილი პოლიციელი და დღეს პენსიონერი ნოდარი, რომელიც კახეთში 40 ჰექტარ მიწას ამუშავებს. ის გაბრაზებული იხსენებს იმას, თუ როგორ უშედეგოდ ცდილობდა სესხის ან კრედიტის მიღებას ქართული ბანკების ან მიკროკრედიტორებისგან.

მე ისეთი პოტენციალი მაქვს, ისეთი შესაძლებლობა! ისინი კი ამ პოტენციალის რეალიზებისთვის ფულს არ მაძლევენ, ბრაზობს ერთ-ერთი ფერმერი, — აღნიშნულია სტატიაში.

დაფინანსებასთან დაკავშირებული სირთულეები მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რაც წელს ფერმერების წინაშე დგას. 2010 წლის უჩვეულოდ მშრალ ზაფხულს მოსავლის შემცირება და შესაბამისად, ფერმერთა შემოსავლების შემცირებაც მოჰყვა. ამ საკითხზე ქვეყანაში ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, მაგრამ საქართველოს ბიოლოგიური მეურნეობის არასამთავრობო ასოციაცია „ელკანას“ შეფასებით, იმ დროს მარწყვის მოსავალი 70%-ით შემცირდა.

ამ ყველაფრის გარდა, საქართველო სულ უფრო მეტი პროდუქტის იმპორტს ეწევა, ეს კი იმას ნიშნავს რომ ფერმერებს საქმე აქვთ საკუთარ პროდუქციაზე ფასების ვარდნასთან. ამ ზოგადი წესიდან ერთგვარი გამონაკლისია ვაშლის ჯიში პოლდენ ველიციოუს, რომელიც საქართველოში მოჰყავთ. ამ ვაშლის საბითუმო ფასი კილოგრამზე 8 ლარია (4.71 დოლარია).

ახლახან მთავრობამ პრობლემის სიმწვავე აღიარა, მაგრამ მკაფიო სამოქმედო გეგმა ჯერ არ შეუმუშავებია. მარტში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოდერნიზებაზე„ ბიუჯეტიდან დამატებით დაახლოებით 150 მილიონი ლარი (87.7 მილიონი დოლარი) გამოიყოფა, თუმცა პროგრამას კონკრეტიკა აკლია. ამ სტატიის გამოქვეყნებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა ევრასიანეტ.ორგ-ის თხოვნას, ახალ პროგრამაზე მისთვის უფრო დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინათ არ უპასუხა.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ფერმერების წინაშე არსებული დაბრკოლებები დაფინანსების შეზღუდულობა, მცირე ნაკვეთები და დაბალი მოსავლიანობა გრძელვადიანი მიდგომის შემუშავებას მოითხოვს.

რაც შეეხება მომხმარებელს, ასევე სერიოზული პრობლემა აქვს რეგიონების მოსახლეობას. იმისთვის რომ როგორმე გადარჩნენ ამ სწრაფი ინფლაციის პირობებში, ფერმერები და საქართველოს სხვა მცხოვრებლები სულ უფრო ხშირად იღებენ სამომხმარებლო კრედიტებს და მცირე სესხებს. არ შეიძლება ეს ტენდენცია სასურსათო უსაფრთხოების სპეციალისტებს არ აღელვებდეს. შედეგად ბევრი მათგანი შეიძლება უზარმაზარ ვალში გადავარდეს. ფასები ისეთ პროდუქტზე, როგორიც შაქარი და ზეთია, უკანასკნელი წლის განმავლობაში სამ-ოთხჯერ გაიზარდა, ხოლო სხვა სასურსათო პროდუქტზე ფასები 130%-ით გაიზარდა აღნიშნავს მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენელი საქართველოში მაჰა აჰმედი.

„ევრაზიანეტის“ ჟურნალისტის ცნობით, უმუშევრად დარჩენილმა მასწავლებელმა, რომელმაც თავის რჩენის მიზნით სასურსათო მაღაზია გახსნა, აცნობა, რომ სოფელში სულ უფრო მეტი ოჯახი ვალს იღებს იმისთვის, რომ იყიდოს ისეთი აუცილებელი პროდუქტი როგორიც პურია. ყოველ დღე ნონა ობოლაშვილის დაახლოებით 25 მყიდველი, მისი მომხმარებლების ბირთვი, ერთ ლარად (დაახლოებით 59 ცენტი) ღირებულ პურს კრედიტით იღებს.

— ადამიანები მართლაც ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან და სიტუაცია ყოველდღე სულ უფრო და უფრო უარესდება,—წერს ჟურნალისტი.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებამ თავისი უსუსურობა გამოავლინა

ნონა ცაბა ე

„შეფიცულთა რაზმის“ ხელმ ღვანელი, მსახიობი გია ბურჯანა ე, სასჯელაღსრულების სამინისტროსთან მიმდინარე პატიმრების მხარდამჭერ საპროტესტო აქციაზე დააკავეს. მასთან ერთად კიდევ ხუთი ადამიანი იქნა დაკავებული, მათ შორის — მო რაობის „რატომ?“ ხელმ ღვანელი მერაბ ჭიქაშვილი. დაკავებულთა ნაწილს 499-ლარიანი ჯარიმები დააკისრეს, ორ მათგანს კი რამდენიმედღიანი პატიმრობა შეუფარდეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, აქცია იყო სანქცირებული და ყველა შესაბამისი დოკუმენტი არსებობს, რომ მოპიკეტეებს ქუჩის გადაკეტვის კანონიერი უფლება ჰქონდათ.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „სახალხო კრების“ ლიდერს **ნონა გაფრინდაშვილს** ესაუბრა:

***— ქალბატონო ნონა, აქციის დროს, პოლიციამ ბატონი გია ბურჯანაძეს დააკავა, რა კომენტარს გაუკეთებდით მომხდარს, რა ხდება დაიწყო ხელისუფლებამ კლანჭების გამოჩენა?***

— მე მგონია, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს მორიგი შეცდომაა, რომელიც ამ აქციის დაშლისას დაუშვეს. თუ მაგათ ჰგონიათ, რომ ამით დააშინებენ ვინმეს, ძალიან ცდებიან. დასაშინებელი რაღაცები მათ ბევრი აკეთეს და მე მგონია, რომ ყველას, ვინც ამ ხელისუფლების წინააღმდეგ პროცესებშია ჩართული, ეს მშვენივრად აქვს გააზრებული და ყველაფრისთვის უნდა იყვნენ მზად. ეს ფაქტი არის ელემენტარული დადასტურება იმისა, რომ ჩვენთან არანაირი დემოკრატია არ არსებობს. აქციას აწყობდა სულ სხვა ორგანიზაცია, გია ბურჯანაძე და ჩვენი რამდენიმე წევრი იქ მივიდნენ ინდივიდუალურად, თავიანთი სურვილით, რადგან ეს აქცია ეხებოდა ადამიანის წამებას ციხეებში, პატიმრებს ეხებოდა ეს აქცია და ჩვენებიც მივიდნენ და სოლიდარობა გამოუცხადეს მათ. იქ იურისტებიც იყვნენ, ამ ფაქტის თვითმხილველები, რომლებსაც ჩვენ გავესაუბრეთ და ყველა ამტკიცებდა ერთ რაღაცას, რომ იქ არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამ აქციას გელა ნიკოლეიშვილიც ესწრებოდა და მანაც აღნიშნა, რომ გზის სავალი ნაწილი გადაიკეტა მაშინ, როდესაც ტროტუარზე ხალხი აღარ ეტეოდა. როგორც ჩვენ გადმოგვცეს, პატრულმა უფროსს დაურეკა — აქ გია ბურჯანაძეა მოსული და რა ვქნათო? და იქიდან მიიღეს ბრძანება, რომ გია აეყვანათ. ადამიანი თუ რამეს აშავებს, ან წინააღმდეგობას უწევს, ან აკეთებს ისეთ რამეს, რაც კანონს ეწინააღმდეგება, მაშინ არავინ არავის არ ურეკავს და ათანხმებს ტელეფონით, პირდაპირ კიდებენ ხელს და აპატიმრებენ. ყველაფერი ეს იმას მიანიშნებს, რომ ეს დაჭერები იყო მიზანმიმართული.

***— რატომ, რა მიზნით?***

— არ ვიცი, რა პოლიტიკას ემსახურებოდა. თუ დაშინებას ცდილობდნენ, ვინაიდან გია შეფიცულთა რაზმს ხელმძღვანელობს, თუ ეს იყო მიზანი და ამით თავიანთი ძალის ჩვენება, ძალიანაც ცდებიან. ეს არ არის არაფრის მაჩვენებელი. გია არ ყოფილა იქ შეფიცულთა ჯგუფით მისული, გია იქ იყო მარტო მისული. იქ იყო რამდენიმე ჩვენიანიც, ახალგაზრდული ფრთიდან, ჯამში შეიძლება 5 კაცი ყოფილიყო. ხუთი კაცი გამოუშვეს, ორი მაინც დაუტოვებიათ, ერთს 20-დღიანი შეუფარდეს, მეორეს— 10-დღიანი. ეს გადამეტება კი არ არის ძალაუფლების, ეს არის ელემენტარული უსამართლობა, ეს არის კიდევ დადასტურება იმისა, რომ ჩვენთან სასამართლო არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მიდიოდა კონსტიტუციურ ჩარჩოებში, პროტესტის გამოხატვის უფლება ხომ ყველას აქვს, თქვენ ისიც იცით, რომ გამოდიან უცხოეთში, ფაქტიურად ყველაფერს ამტვრევენ. ჩვენთან კი ასეთ მშვიდობიან აქციებსაც კი ვერ იტანენ. მაგრამ არა უშავს, მე მიმაჩნია ეს მორიგ შეცდომად ამ ხელისუფლების, ესენი კი არ ჩააცხრობენ, არამედ კიდევ უფრო გააღვივებენ ხალხში წინააღმდეგობის სურვილს.

***— თქვენ ღიად განაცხადეთ, რომ აპრილის ბოლოდან ღია და შეუპოვარ ბრძოლაზე გადადიხართ, როგორ ფიქრობთ, ამით საზოგადოების დაშინებას ცდილობენ?***

— ალბათ, ესეც იყო, მაგრამ ვერ დაგვაშინებენ, ამით მეტ ბრძოლისუნარიანობის სურვილს გააღვივებენ ადამიანებში, რადგან არ შეიძლება ასე ცხოვრების გაგრძელება.

***— ამით გითხრეს, რომ თუ გამოხვალთ, დაგარბევთ და ძალას გაჩვენებთო?***

— ესენი ყოველდღე გვანახვებენ ამას, მაგრამ მერე რა? გვანახონ. მე პირიქით მიმაჩნია, რომ ეს არ იყო ძალის გამოვლინება, ეს მათი უსუსურობის დამტკიცება უფრო იყო. კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რა სასამართლოც არის ჩვენში, კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ მათთვის კანონიერება არ არსებობს და კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ ყველაფერი აგებულია ძალადობაზე და უსამართლობაზე.

***— საზოგადოებას ამით ვერ შეაშინებენ და უკან ვერ დაახევინებენ?***

— რა თქმა უნდა. ხალხმა უნდა გამოიღვიძოს ბოლოს და ბოლოს, მოწოდებაც არ უნდა სჭირდებოდეთ, რომ ხალხი რომ გამოვა ქუჩაში, მათ შეუერთდნენ.

***— დღეს ძალიან ბევრს აქვს, ქალბატონო ნონა, დაპატიმრების შიში...***

— თუ მონობა ურჩევნიათ, მაშინ იყვნენ მონები. ბოლოს და ბოლოს ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამქვეყანად და ღირსეულად უნდა იცხოვროს, თავისი ღირსება უნდა დაიცვას პირველ რიგში და თავისი ქვეყანა დაიცვას. ეს არის ის აუცილებელი, რისთვისაც ადამიანის განსჯა შეიძლება მოხდეს. ვისაც დამონებული ცხოვრება ურჩევნია, ან დაბნელებული აქვს თვალებში და ვერაფერს ხედავს, ეს მათი პრობლემაა, მაგრამ მე იმედი მაქვს მაინც, რომ ხალხი გამოფხიზლდება და როცა ჩვენ დავიწყებთ სერიოზულ წინააღმდეგობას, შემოგვიერთდება ეს საზოგადოება.

აღნიშნულ აქციას ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილიც ესწრებოდა. „ახალი თაობა“ ბატონ გელას ესაუბრა:

***— ბატონო გელა, როგორც ცნობილია, თქვენც ესწრებოდით იმ აქციას, რომელიც პოლიციამ დაარბია, როგორც ადვოკატი, რამდენად ჰქონდა ადგილი აქციის მონაწილეების მხრიდან კანონის დარღვევას?***

— საერთოდ აქციის მოწყობა, იქნება ეს მიტინგი, დემონსტრაცია თუ მანიფესტაცია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის განსაზღვრული, როგორც საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალი ნება. ეს არის კონსტიტუციით და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული. კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ თუ მოქალაქეები აწყობენ აქციას, ისეთ ადგილზე, რომელიც ხელს არ უშლის მოქალაქეებს და არ ტარდება მანქანის სავალ ნაწილზე, მაშინ ასეთი აქციის მოწყობისათვის არ არის სავალდებულო და საჭირო არანაირი წინასწარი გაფრთხილება ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებისა. თუ აქციაზე შეიძლება მოხდეს საავტომობილო გზის გადაკეტვა, ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორები ვალდებულნი არიან, წინასწარ აცნობონ ადგილობრივ ორგანოს, რათა ამ ორგანომ მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებიც იმ დროისათვის ტრანსპორტით გადაადგილდებიან, არ შეექმნათ დისკომფორტი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ გზა იქნება გადაკეტილი და უზრუნველყონ მათი სხვა მიმართულებით გადაადგილება. არის ერთადერთი შეზღუდვა დაწესებული მხოლოდ კანონის მიხედვით, რომ თუ არ მოითხოვს აქციის მონაწილეთა რაოდენობა სავალი გზის ნაწილის გადაკეტვის აუცილებლობას, ასეთ შემთხვევაში აქციის მონაწილეებმა არ უნდა გადაკეტონ სამანქანო სავალი გზა. თუ 10 და 20 ადამიანია და ისინი ეტევიან ტროტუარზე, მათ ნამდვილად არ უნდა გადაკეტონ სამანქანო გზის სავალი ნაწილი. ამ აქციაზე იყო დაახლოებით 600-700 ადამიანი, რომელთა დატევა ტროტუარზე პარაქტიკულად შეუძლებელია, თუ ის არ გაიწელება 100 და 200 მეტრი მანძილზე, რომელიც უკვე აქცია აღარ იქნება. ამ ადამიანებმა რამდენიმე დღით ადრე შეიტანეს მერიაში გზის გადაკეტვა და სწორედ რომ აპირებდნენ გზის გადაკეტვას, რადგანაც შეუძლებელი იყო, რომ 600-700 კაცი დატეულიყო ტროტუარზე.

***— რა პასუხი მიიღეს მერიიდან?***

— მათ მერიიდან მიიღეს პასუხი, რომ აქციის ორგანიზატორთა განცხადება მიღებულია და მითითებული იყო კანონის ნორმები, რომელიც აძლევდა მათ აქციის ჩატარების შესაძლებლობას და დარღვევის შემთხვევაში გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ. ეს არ არის არანაირი სანქციის გაცემა და უფლების მიცემა, ვინაიდან არანაირ მმართველობის ორგანოს, არც მერიას, არც საკრებულოს და არავის არ შეუძლია, უფლებამოსილება არა აქვს, გასცეს ან არ გასცეს სანქცია. მან მხოლოდ უბრალოდ უნდა მიიღოს ინფორმაცია, შეტყობინება წინა დღეებში იმის შესახებ, რომ აქციის მონაწილეები ამას აპირებენ. ასე რომ, მეც ვესწრებოდი ამ აქციას და ნამდვილად ვადასტურებ, რომ რამდენიმე ასეული ადამიანის ყოფნა ტროტუარზე და იქ ჩატარება აქციისს შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო. მოხდა ის, რომ დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გადაიკეტა სამანქანო სავალი ნაწილი და შემდეგ ძალის გამოყენებით პოლიციამ დაშალა და გარკვეული პიროვნებები დააკავა. აი, ეს იყო და ეს და შემდეგ სასამართლოში გაგრძელდა ამ უკანონობის დაკანონება.

***— გამოითქვა მოსაზრება, რომ ხელისულფება ამით საზოგადოების დაშინებას ცდილობს, რომ თუ რამეს გაბედავთ, დაუსჯელები არ დარჩებითო...***

— ხელისუფლებას უნდა საზოგადოებას დაანახვოს, რომ ის არ დაუშვებს ისეთ ქმედებებს, რომელსაც ის არ თვლის საჭიროდ. ამას არა აქვს მნიშვნელობა, ეს კანონიერი ქმედება იქნება თუ უკანონო, ხელისუფლებას უნდა, საზოგადოებას დაანახვოს, რომ ის აკონტროლებს სრულად სიტუაციას, რომ მას აქვს ძალა, რომ ამ ძალას გამოიყენებს მის წინააღმდეგ თუ მოუნდა, თუ დასჭირდა და თუ საზოგადოება მორჩილი არ იქნება და სწორედ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ცნობადი სახეები არიან, იქნა მიზანმიმართულად გამოყენებული, აი, ის რეპრესიები, ამ 7 დაკავებულიდან უმრავლესობა არის ცნობადი სახე, ცნობილი აქტივისტი, რომლებიც ყოველდღიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საპროტესტო გამოსვლებში.

***— ოპოზიცია აცხადებს, რომ გაზაფხულიდან აუცილებლად დაიწყებს საპროტესტო გამოსვლებს და არ შეურიგდება ამ უსამართლობას. ასეთ სიტუაციაში რას უნდა ველოდეთ ხელისუფლების მხრიდან?***

— მე ერთს ვიტყოდი, რომ დაანონსებული გამოსვლები ძალიან ხშირად ცუდი შედეგებით მთავრდება ხოლმე. პირველ რიგში კი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, როდესაც არის მოლოდინები, რომ ეს გამოსვლები გამარჯვებით, ხელისუფლების გადადგომით დასრულდება და ამ შედეგს ვერ აღწევს საზოგადოება, მას უჩნდება გულგატეხილობა, რწმენა ილახება ოპოზიციის წევრების მიმართ და ერთ-ერთი შედეგი ისიც არის, რომ იმ რაოდენობის ხალხი აღარ გამოდის საპროტესტოდ, რომელიც ადრე გამოდიოდა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თუ ასე დაანონსება იქნება შედეგის მომტანი და რეალური და არ იქნება ისე, რომ ასი ათას კაცს ელის ოპოზიცია და 10 ათასი მოვა და არ იქნება ის ძალა, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას ამა თუ იმ საკითხზე უკან დაიხიოს, ეს საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს. მე ვფიქრობ, რომ ყველა ურთობლივად უნდა შეთანხმდეს, პოლიტიკური პარტიები თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რამდენად ღირს კონკრეტული აქციის მოწყობა და რამდენად გააჩნია ამ აქციის წარმატებას პერსპექტივა. თორემ დაანონსება ადვილია, ხალხის დაძახებაც ადვილია, მაგრამ მთავარი არის საბოლოო შედეგი. სანამ არ იქნება კარგად გათვლილი ეს საბოლოო შედეგი და სანამ არ იქნება კონკრეტული მოთხოვნა და არა ზოგადად — მიშა, წადი, ან ისეთი მოთხოვნა, რომლის მიღწევა შესაძლებელია, მისაღწევია, მაშინ მე ვფიქრობ, ასეთი აქციების დაანონსება მხოლოდ არ კმარა და ამან შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს.

***— რაც შეეხება ოპოზიციურ რვიანს, უკვე აქტიურად საუბრობენ, რომ მათი მოლაპარაკებები განწირულია და შესაძლოა სულაც დატოვონ მოლაპარაკების მაგიდაო, როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის შესაძლებელი, ისინიც რადიკალურ ოპოზიციას შეუერთდნენ?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს სწორედ ასე იქნება, იმიტომ, რომ მეც ასევე ვერ ვხედავ პერსპექტივას, რომ რვიანმა რაიმე კონკრეტულ და ქმედით შედეგებს მიაღწიოს. თუმცა, მე მათი ასევე მესმის, რომ მათ უნდათ ამოწურონ ყველა ის შესაძლებლობა და ანახონ ადგილობრივ საზოგადოებასაც, რომ ხელისუფლების ლაპარაკი, რომ ის კონსტრუქციულია, რომ მას უნდა დემოკრატია, მას უნდა დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნა და ასე შემდეგ, არის მხოლოდ ლაპარაკი, ცარიელი სიტყვები და მის უკან შინაარსი არ დგას. მე რამდენადაც ვიცი, მაისი არის ის ბოლო ვადა, რომლამდეც მისვლას აპირებენ ამ რვიანის წარმომადგენლები და შემდეგ, ჩემი ვარაუდით, მათ სხვა გზა არ დარჩებათ, რომ ასევე რადიკალურ საპროტესტო ქმედებებზე გადავიდნენ. ოღონდ ვიმეორებ, აქ რვიანი იქნება, ცხრიანი თუ ათიანი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი არის, რომ რაღაცა რეალური იყოს ამ მოთხოვნის უკან, თორემ მარტო ქუჩაში გამოსვლა და მერე დაშლა, ეს არაფერი არ არის, ეს ჩვეულებრივი პროცესია და ეს ნებისმიერ ქვეყანაში ხდება, ამას პირიქით ხელისუფლება გამოიყენებს, რა დემოკრატიული საზოგადოება გვყავს, კი ბატონო, გამოდით, გამოთქვით პროტესტი და მერე წადით სახლებში. შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს ეს გამოსვლები და არა გამოსვლები გამოსვლების მიზნით.

***— როგორც უკვე ცნობილია, სახალხო კრებამ დააანონსა, რომ აღდგომის შემდეგ რადიკალურ ქმედებებზე გადავლენ, რამდენად შედეგიანი იქნება მათი გამოსვლები და წინასწარ თუ აქვთ გათვლილი მოსალოდნელი შედეგები?***

— მე ვერ გეტყვით, მათ რამდენად აქვთ გათვლილი მოსალოდნელი შედეგები. სახალხო კრების მიმართაც იგივეს ვიტყვი მე, რასაც დანარჩენების მიმართ. ეს ეხება როგორც სახალხო კრებას, ასევე ნებისმიერს. მათ კი დააანონსეს და განაცხადეს, რადიკალურ ქმედებებზე გადავალთო. თუმცა, კონკრეტულად, რომ აი, 2 მაისს ან 15 მაისს რევოლუციას ვაწყობთ და ხელისუფლებას შევცვლითო, ეს მათ არ უთქვამთ.

## ხალხი დაპატიმრების შიშით არ გაჩერდება



## სოფელ თაგილონში აფხაზი მებაჟე მოკლეს

გალის რაიონის სოფელ თაგილონში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირება მსხვერპლით დასრულდა.

როგორც „მედიანიუსს“ სამეგრელო-ზემო სავანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მათავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ აცნობა, წარმოშობით აფხაზმა დაუდგენელმა პირმა აფხაზი მებაჟე ჯუმბერ გამისონია ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა და შემთხვევის ადგილზე მყოფი წარმოშობით ქართველი, ადგილობრივი მოსახლე მურთაზ მირცხულავა მძიმედ დაჭრა. იგი ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

როგორც „მედიანიუსს“ აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების მთავარმა ექიმმა როლანდ ახალაიამ განუცხადა, ხურცილავას მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მას მსხვილკალიბრიანი ავტომატური ცეცხლსასროლი საშუალებიდან ესროლეს. ექიმებს ელენთის და ნეკნის მოკვეთა მოუხდათ. დაჭრილმა დაახლოებით სამი ლიტრი სისხლი დაკარგა.

გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი დაღუპულსა და დაუდგენელ აფხაზ პირს შორის მომხდარ ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა.

**მედიანიუსი**

## სახელმწიფო თეოლოგიურ პროგრამებს უპირატესობას ანიჭებს

სახელმწიფო ნებისმიერი საეკლესიო სასწავლებლის მიერ განხორციელებულ თეოლოგიის პროგრამას აღიარებს. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შედის, რომლის განხილვა პარლამენტში მომავალ კვირას განახლდება.

ცვლილება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხორციელდება.

კანონპროექტით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაფუძნებული დაწესებულებების მიერ განხორციელებული თეოლოგიის (საღვთისმეტყველო) საგანმანათლებლო პროგრამები, სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩაითვლება და არ ექნება მნიშვნელობა ამ დაწესებულებას ავტორიზაცია გავლილ აქვს თუ არა. ასევე, თოლოგიის პროგრამა აღიარებულად ჩაითვლება მიუხედავად ამ სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგისა.

კანონპროექტის ავტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა.

**ინტერპრესნიუსი**

## ხობის რაიონში მგლებმა საქონელი დაგლიჯეს

ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში მგლის ხროვამ სამ ოჯახს მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის ცხენი დაუგლიჯა. მონადირეებმა ერთი მგლის მოკვლა დღეს დილით შეძლეს.

შეგახსენებთ, რომ მგლების გახშირებული შემოსევის გამო, ხობის რაიონის მუნიციპალიტეტს ადგილობრივ მონადირეებთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომლის თანახმადაც, ისინი თითქმის ყოველდღე მთელი რაიონის მასშტაბით პატრულირებენ.

**მედიანიუსი**

## დღის კალენდარი

**28 მარტისთვის**

**წლის 87-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 278 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

დიდმარხვის IV შვიდეული. ორშაბათი

მოწამისა აგაპისა და მისთანა შვიდთა მოწამეთა: პუპლისა, ტიმოლასი, რომილესი, ორთა ალექსანდრეთა და ორთა დიონისეთა ( 303); მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, სიდელი ხუცისა ( 270-275); მოწამისა ნიკანდრესი (დაახლ. 302); მოწამეთა ფილექტიმონისა და მისთანათა.

**დაიბადნენ:**

1592 — იან ამოს კომენსკი, ჩეხი მოაზროვნე, პედაგოგი და მწერალი. გარდაიცვალა 1670 წელს.

1749 — პიერ ლაპლასი, ფრანგი ასტრონომი, მათემატიკოსი, 1827 წელი.

1868 — მაქსიმ გორკი, რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.

1870 — გრიგოლ წერეთელი, მეცნიერი, ფილოლოგი, ქართული პაპიროლოგიის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1938 წელს.

1920 — პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი, პოეტი. გარდაიცვალა 1984 წელს.

1928 — ზბიგნევ ბჟეზინსკი, აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე.

**გარდაიცვალნენ:**

1881 — მოდესტ მუსორგსკი, რუსი კომპოზიტორი.

1911 — მიკალ ჩურლიონისი, ლიტველი ფერმწერი და კომპოზიტორი.

1943 — სერგეი რახმანინოვი, რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი.

1969 — დუაიტ ეიზენჰაუერი, აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი.

**მოვლენები:**

1752 წელი — გაიმართა განჯის ბრძოლა. ქართლის მეფე თეიმურაზ II და კახეთის მეფე ერეკლე II დამარცხდნენ ნუხის ხან აჯი-ჯალაბის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1776 წელი — მოსკოვში დიდი თეატრი დაარსდა.

1930 წელი — თურქეთის ქალაქ ანგორას ანკარა, ხოლო კონსტანტინეპოლს სტამბოლი დაერქვა.

*მედიანიუსი*

## ალასანია ბრიუსელში მიმდინარე კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ბრიუსელში უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოში საარჩევნო გარემოს თვისობრივად შეცვლის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენები ამ ქვეყნებში სწორედ დემოკრატიული არჩევნების არარსებობამ გამოიწვია.

უსაფრთხოების ფორუმის (თემაზე “კორუფცია, კონფლიქტები და კრიმინალი“) ფარგლებში „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კარლ ბილდტს და ამერიკელ სენატორებსაც შეხვდა.

— ჩვენი საზოგადოების და უკვე საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი ამოცანაა, საქართველოში საარჩევნო გარემო თვისობრივად შეიცვალოს და ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები იმიტომ, რომ ის, რაც ხდება ჩრდილოეთ აფრიკაში, გამოწვეულია სწორედ იმით, რომ ხალხს არ ჰქონდა შესაძლებლობა დემოკრატიულად შეეცვალა ხელისუფლება. ეს მაგალითი ყველასთვის ძალიან ნათელია და ამიტომაც იქნება მხარდაჭერა და ძალიან დიდი მოთხოვნა საქართველოს მიმართ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასტან დაკავშირებული მოლაპარაკებები მაისისთვის დასრულდეს კონკრეტული შედეგით და საზოგადოებამ ირწმუნოს, რომ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა შეიძლება არჩევნების გზით, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

როგორც ცნობილია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი დღეს ჰილარი კლინტონის მოადგილეს ფილიპ გორდონს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია უკვე შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს. ალასანიამ ვერნარ ჰოიერს საარჩევნო გარემოს გაუმჯებესების მიზნით ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებების დეტალები გააცნო. შეხვედრაზე ასევე განიხილეს გერმანიის თავისუფალ დემოკრატთა პარტიასთან ქართველი „თავისუფალი დემოკრატების“ თანამშრობლობის საკითხები. უახლოეს მომავალში ირაკლი ალასანია ბერლინში გაემგზავრება.

ირაკლი ალასანია ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელს კეტრინ ეშტონს შეხვდა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი კეტრინ ეშტონს საარჩევნოო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ ელაპარაკა. შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ხელისუფლებასთან ოპოზიციის მოლაპარაკებები აუცილებელია წარმატებით დასრულდეს, რადგან ევროკავშირი საარჩევნო პროცესს დიდი ყურადღებით დააკვირდება.

*მედიანიუსი*

# საქართველოში წარმოებული წამლები სომხეთში უფრო იაფად იყიდება

თეა მარხვაი ე

**პარლამენტში წინა კვირაში მინისტრების „პაკაზი" გაიმართა. ამ მოვლენას საპარლამენტო უმრავლესობამ და უმცირესობამ აპლოდისმენტები უწოდეს. თუმცა, საზოგადოება ამ მოვლენით აღფრთოვანებული არ დარჩენილა. მართალია, ოპოზიციონერები მწვავედ უტევდნენ მინისტრებს, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც დადგმული სპექტაკლის სახე ჰქონდა.**

მინისტრების გამოსვლებით უკმაყოფილებას არც საპარლამენტო ოპოზიცია მალავდა. განსაკუთრებით კი გარეთ დარჩენილები შფოთავდნენ. თეთრმა მოძრაობამ მინისტრების ლაილაისთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. თეთრები შეეცადნენ თავიანთი სტატისტიკით მინისტრების მოყვანილი ციფრები გაექარწყლებინათ.

თეთრების მტკიცებით საზოგადოების დაბოლება ყველა მინისტრმა სცადა. ამ მხრით განსაკუთრებული სითავხედე ქვეყნის პრემიერს გამოუჩენია. ნიკა გილაურმა თავის გამოსვლაში თქვა, რაც მე პრემიერი ვარ, ქვეყანაში სიღარიბე ოთხჯერ შემცირდაო.

მინისტრებმა და პრემიერმა ისიც გვახარეს, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება დაიწყოო. თეთრები კი ამტკიცებენ, რომ ყველაფერი პირიქით არის.

— უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში სახნავ-სათესი ფართობის დამუშავება შემცირდა 65%-ით. (1 წუთში მსოფლიოში 2 ჰა. მიწა იკარგება საქართველოში ერთ სულზე მოდის 0,17 ჰა, ხოლო მუშავდება 0,04 ჰა). ხორბლის, ბოსტნეულის და ხილის მოსავალი შემცირდა 50-80%-ით საქართველომ პრაქტიკულად დაკარგა სასურსათო დამოუკიდებლობა. ევროკავშირმა, აშშ-მ უზარმაზარი სახსრები მიმართეს საქართველოში სოფლის მეურნეობის რეალური განვითარებისათვის.

შედეგი: ბოლო სამ წელიწადში სოფლის მეურნეობაში საერთო პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა 40.000.000, ანუ წელისადში 13.000.0004, — განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე თეთრების ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა.

მას და მის თეთრ მოძრაობას აინტერესებს, სად წავიდა სოფლის მეურნეობის მიზნობრივად გამოყოფილი ინვესტიციები.

— ხოლო როცა ცნობილი გახდება, თუ სად წავიდა, დადგება უფრო მნიშვნელოვანი კითხვები: რატომ წავიდა? როგორ დაიხარჯა? და მთავარი: ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი —□ ანუ საჭიროა სარჩელის შეტანა ხელისუფლების წინააღმდეგ. სარჩელების კორიანტელი უნდა დადგეს და ამას ცალკე რესურსი ესაჭიროება. რა ჯობდა — ტანია მარიას და ტოტო კუტუნიოს ძვირადღირებულ ჩამოყვანას არ სჯობდა, უფასოდ ჩამოეყვანათ ისეთი პიროვნებები, ქართველები, მსოფლიოში აღიარებული ექსპერტი — ეკონომისტი ნოდარ სიმონია, ანდა ან ბაგრატ სანდუხაძე, რომელიც მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს ხორბლის მოსავლიანობის გაზრდაში, — ამბობს თეთრი მოძრაობის ლიდერი.

თეთრების ლიდერი პრემიერის განცხადებას სიღარიბის ოთხჯერ შემცირებასთან დაკავშირებით სამარცხვინო ტყუილს უწოდებს.

— ქვეყნის მოსახლეობის 50%-ზე მეტი სახსრების უქონლობის გამო იღებს სიცოცხლისათვის საჭირო კალორიების ნახევარზე ნაკლებს. მოსახლეობის მხოლოდ 15-მდე პროცენტს აქვს საშუალება, სიცოცხლისათვის საჭირო რაოდენობის კალორიების მიღებისა. ხელისუფალთა შემოსავლები გაიზარდა 150-200-ჯერ პენსია — 4-5-ჯერ600 ლ. საშუალო ხელფასი (ეს 600 ლარი ხალკე თემაა) მასწავლებლების საშუალო ხელფასი —□ 248 ლარი ექიმის საშუალო ხელფასი —□ 340 ლარი იმ ოჯახმა რა ქნას, სადაც 3 უმუშევარია და 1 პენსიონერი — ხომ 256 ლარი ერგება ხელისუფლების გათვლით?! 256 კი არა თვეში 400 ლარიც კი ვერ მისცემს არსებობის საშუალებას — აქედან გამომდინარე ყველა პერსპექტივებით: განუვითარებლობა, უკურნებელი დაავადებები, სულიერი ტანჯვა, მორალური დეგრადაცია. მოსახლეობის 80%-ს ყველა უფლება წართმეული აქვთ. გარდა არჩევნებზე ხელისუფლებისათვის ხმის მიცემის უფლებისა.უკვე აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაშიც კი ძნელად საპოვნია ქვეყანა, სადაც მასწავლებლის, ექიმის, კულტურისა და სპორტის სფეროს მუშაკების ხელფასი ამდენჯერ ნაკლები იქნება ხელისუფლების წარმომადგენლთა და იმ ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე, — მიაჩნიათ თეთრი მოძრაობაში.

წამლების თემა საქართველოში ძალიან აქტუალურია. ოპოზიციური პარტიები და მოსახლეობა უკვე დიდი ხანია აპროტესტებს ამ თემას. ხელისუფლება კარგა ხნის განმავლობაში ამ საკითხზე დუმდა. მხოლოდ შარშან ამოიდგეს ენა, როცა პრეზიდენტმა შეიცხადა უი, რა ძვირია საქართველოში წამლებიო.

## მთავრობა მოსახლეობას მწარედ ატყუებს



მაშინ მავანმა და მავანმა თქვა, წამლები გაიაფდებაო. მაგრამ როგორც ჩვენი პრეზიდენტი იტყოდა, ნურას უკაცრავად. წამლები მას შემდეგ კიდევ უფრო გაძვირდა და როგორც ამბობენ, საქართველოში წარმოებული წამლები საქართველოში ბევრად უფრო იაფია.

—□„ავერსის“ ინფორმაციით, „ავერსის“ პროდუქცია სომხეთში უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში. რა, ჰუმანიტარული დახმარებას ეწევა „ავერსი“ სომხეთში? არა, ის ფასიც კი მოგების მომტანია. მაშ, რატომ იღებს საქართველოს მოსახლეობისგან უფრო დიდ, ანუ ზემოგებას? მეორე, თუ ახლა იაფდება წამლები (როცა მთელს მსოფლიოში მათზე ფასები იზრდება), ეს ნიშნავს, თუ რამხელა რეზერვი ჰქონდა პსპ, „ავერსსა“ და სხვა ფარმაცევტულ კომპანიებს და რა მოგება ჰქონდათ აღნიშნულ კომპანიებს ადრე, თუნდაც 2010 წელს, დღევანდელი ე.წ. 20.30, 40%-იანი ფასდაკლებით, რომ ყიდის —□ რა მოგებები მოჰქონდა, ადგილობრივი ავადმყოფების ხარჯზე, — ამბობს თეთრი მოძრაობის ლიდერი.

მთავრობა და პრეზიდენტი ხშირად ტრაბახობენ იმით, რომ საქართველოში ინვესტიციები შემოდის. მათ თუ დავუჯერებთ ეს ინვესტიციები დიდი რაოდენობით შემოდის.

— საქართველოს ძირითადი ინვესტორები მიგრანტებია —□ უცხოეთში სილატაკეში მცხოვრები ადამიანების ინვესტიციები 1,5-ჯერ მეტია ჯამურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, — ფიქრობენ თეთრ მოძრაობაში.

მათი განცხადებით, ხელისუფლებას არა აქვს უფლება თქვას, რომ საქართველო წარმატებული ქვეყანაა და არც ეკონომიკა ყვავის.

— საქართველო ვერ იქნება წარმატებული ქვეყანა იმიტომ, რომ აქ რეალური უმუშევრობა 60%-ს აღემატება; მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი სახსრები, რათა მიმართოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს არა სამკურნალოდ, არამედ დიაგნოზის დასადგენად და ელემენტარული, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და კონსულტაციისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად; პენსიონერთა და ინვალიდთა (მთელი მოსახლეობის მეოთხედი) პენსიები და შემწეობები კვალიფიკაციის არმქონე სამთავრობო „ექსპერტების“ მიერ გამოანგარიშებულ „საარსებო მინიმუმის“ 50% -ს შეადგენს; ოთხსულიანმა ოჯახმა თვეში 256 ლარით უნდა იცხოვროს; უზარმაზარი სასურსათო თვითუზრუნველყოფის პოტენციალი უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი მოქმედებებით უკიდურესად სახიფათო დონემდეა დაწეული; პრეზიდენტის ქებას კარგი მუშაობისთვის იმსახურებს „პატიმართა მინისტრი“, მაშინ, როდესაც საქართველო პატიმართა ფარდობით (100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით) მაჩვენებლით მსოფლიო ლიდერია (აშშ და რუსეთთან ერთად); ეკონომიკური განვითარების მინისტრი უზარმაზარი, ბოლო წლებში განსაკუთრებით მაღალი ტემპებით მზარდ საგარეო ვალებს პრობლემად არ მიიჩნევს (საფრანგეთსაც და ბრიტანეთსაც აქვთ ვალებიო) და საქართველოში ეკონომიკურ პრიორიტეტად ტურიზმს (?) მიიჩნევს; 400.000-მდე ლტოლვილია, რომელთა ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, მორალური მხარდაჭერა და დახმარება ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა და ვალია, სრულ სოციალურ დისკრიმინაციას განიცდის; ხელისუფლების ხელშეწყობითა და უშუალო მფარველობით შექმნილი მონოპოლიური სტრუქტურებით, საკუთარი პროდუქციაზე, მომსახურებით, მათ მიერ იმპორტირებულ საქონელზე თავად აწესებს ფასებს — მსოფლიო რეალობისათვის. წარმოუდგენელი (200-300%-ნი) მოგების უზრუნველსაყოფად; მთლიანად განადგურებულია ოციოდე წლის წინ არსებული და აღიარებული საერთაშორისო დონის სამეცნიერო პოტენციალი; განათლებისა და უმაღლესი განათლების სისტემამ მკაფიოდ და დაუფარავად აიღო კურსი მხოლოდ სხვადასხვა დარგებში მომსახურებისა და ექსპლოატაციის კვალიფიციური კადრების მომზადებაზე; კერძო კომპანიებისადმი გადაცემული უფლებები ამა თუ იმ სფეროში მოქალაქეთა დაჯარიმებისა და ამ ჯარიმების ოდენობათა დადგენის, ისედაც უუფლებო და გაღატაკებული მოსახლეობისათვის კიდევ უფრო გაღატაკებისა და მოქალაქეობრივი დამცირების მიზეზი გახდა, — მიიჩნევენ თეთრი მოძრაობაში.

თეთრებს განსაკუთრებით ის ფაქტი აღელვებთ, რომ საქართველო განვითარებულ ქვეყნებს განათლებაზე და ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯებით სერიოზულად ჩამორჩება.

— დღეისათვის წმინდა სოციალური მიმართულებების ხარჯებს (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა) საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ მესამედი უკავიათ (33,8%) მაშინ, როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში თითქმის ასევე 3-ჯერ და მეტად ჩამორჩება საქართველო ევროკავშირის ქვეყნებს ზემოთ ხსენებული ხარჯებით მთლიან შიდა პროდუქტში (საქართველო — 9,5%, ევროკავშირი —□ 30,4%).არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში თავისთავად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ჯერადად ნაკლებია. შესაბამისად, სხვაობა დაფინანსების აბსოლუტურ მასშტაბებში, კიდევ უფრო მეტი იქნება, — აცხადებენ შაშიაშვილის მოძრაობაში.

მათი გათვლებით, მოსახლეობის ერთ სულზე განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების მოცულობა საქართველოში შეადგენს დაახლოებით 120 აშშ დოლარს, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ბულგარეთში 520 დოლარამდეა, რუმინეთში — 600, სლოვაკეთში — 700, უნგრეთსა და პოლონეთში 1000 -1000 , ლიტვასა და ლატვიაში —□ 1100-1100. ესტონეთსა და იტალიაში —□ 1400-1400, საფრანგეთში —□ 2000, ნიდერლანდებში — 2100, დიდ ბრიტანეთში —□ 2300, დანიასა და შვედეთში —□ 2600-2600, ნორვეგიაში —□ 2800 , ლუქსემბურგში — 3600.

მათი თქმით, კიდევ უფრო არასახარბიელო პროპორციები ყალიბდება საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ჯანდაცვის ხაზით.

— მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვაზე ხარჯები საქართველოში, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით, შეადგენს 384 აშშ დოლარს (საშუალო მსოფლიო დონის მხოლოდ 44,2%) ამ ინდიკატორით საქართველო მსოფლიოს 194 სახელმწიფოდან 99 ადგილზეა.

ჯანდაცვაზე მთლიანად გაღებული ხარჯების თანაფარდობით მთლიან შიდა პროდუქტთან (8,2% საქართველო ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (9,7%) უსწრებს საშუალოდ განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (6,4%) მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება მაღალგანვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (11,3%). მსოფლიოში ამჟამად ორ ათეულზე მეტ სახელმწიფოში ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ორნიშნა რიცხვით გამოისახება. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია აშშ, სადაც მხოლოდ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების მოცულობა (72854), თითქმის 1,5-ჯერ აღემატება საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას, — ამბობენ თეთრ მოძრაობაში.

# რუსეთი კიბერშეტევებზე უარს არ იტყვის

საქართველოს წინაშე არსებულ კიბერნეტიკულ საფრთხეებზე ინტერ-პრესნიუსი„ საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის უფროს მკვლევარს, **ხათუნა მშვიდობაძეს** ესაუბრა.

***— ქალბატონო ხათუნა, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური გახდა კიბერნეტიკული საფრთხის პრობლემა. ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რა ზიანის მოტანა შეუძლია კიბერშეტევებს ქვეყნისთვის?***

— კიბერშეტევებს შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს და გაანადგუროს ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ელექტროენერგიის ქსელი, ფინანსური ინსტიტუტები, სატელეკომუნიკაციო ქსელი და საერთოდ ჩამოშალოს ქვეყნის ეკონომიკა. რა თქმა უნდა, რაც უფრო ინტერნეტიზირებულია სამიზნე ქვეყანა, კიბერშეტევებით გამოწვეული ზიანიც უფრო დიდია. თუმცა, დღესდღეისობით, გლობალიზაციის პირობებში თითქმის ყველა ქვეყანა, მეტ-ნაკლებად ინტერნეტზეა დამოკიდებული, შედეგად კი, ზიანიც რელევანტურია. ე.წ დახურული სისტემებიც ქსელები, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული ინტერნეტთან, არც ისინი არიან სრულად დაცულები. ამას სტაქსნეტის (უზარმაზარი საფრთხის შემცველი სტაქსნეტის კომპიუტერული ვირუსი) მაგალითიც ცხადყოფს. მიუნხენის უსაფრთხოების წლევანდელ კონფერენციაზე პირველად მოხდა, რომ კიბერ უსაფრთხოება იყო ერთ-ერთი იმ მთავარ საკითხთაგანი, რომელსაც სათანადო ყურადღება დაეთმო. ბრიტანეთმა უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში ოთხ ძირითად საფრთხეთაგან ერთ-ერთი - კიბერ სფეროდან მომდინარე საფრთხე დაასახელა. 2010 წლის 19-20 ნოემბერის ლისაბონის სამიტზე დამტკიცებულ ახალ სტრატეგიულ კონცეპციაში, აშკარად უფრო მკაფიო და თანმიმდევრული ასახვა ჰპოვა კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიბერ სარდლობა შექმნა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამ საკითხის მიმართ ყურადღება დღითიდღე იზრდება.

***— ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომს წინ პრელუდიად უძღვოდა საქართველოზე რუსეთის მხრიდან კიბერნეტიკული შეტევა, რომელიც საინფორმაციო ომში გამოიხატა. რა გვასწავლა აგვისტოს ომის წინაპერიოდის გამოცდილებამ, კერძოდ რაში გამოვლინდა რუსეთის მიერ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომი?***

— რუსეთის კიბერშეტევა საქართველოზე განხორციელდა ტრადიციული ომის ფორმების პარელელურად. რუსეთს არაფერი გაუკეთებია, რომ ამ ტიპის თავდასხმაში რუსული წარმომავლობის ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფის მონაწილეობა დაემალა. ერთწლიანი კვლევის შემდეგ, აშშ-ს კიბერშედეგების კვლევის ჯგუფმა (გშ-ჩყბერ ჩონსექუენცეს გნიტ), დამოუკიდებელმა კვლევითმა ინსტიტუტმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქართველოზე კიბერშეტევები რუსეთის შეიარაღებული თავდასხმის შემადგენელი ნაწილი იყო. კიბერომის კოორდინატორები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმის და შეტევების დროის შესახებ. შეტევების დიდი ნაწილი დროში იმდენად ახლოს იყო სამხედრო ქმედებებთან, რომ მჭიდრო კოორდინირებული თანამშრომლობა რუსეთის სამხედრო წარმომადგენლებსა და სამოქალაქო კიბერკრიმინალებს შორის წარმოუდგენელია, არ ყოფილიყო. როდესაც კიბერშეტევები დაიწყო, ყოველგვარი წინასწარი სამოქმედო გეგმის საფეხურების დაცვის გარეშე პირდაპირ გადავიდნენ ვებგვერდების ჩამოშლაზე. ამგვარი ქმედება ცხადყოფს, რომ კვლევითი სამუშაოები და მოქმედებების სცენარი წინასწარ იყო შედგენილი„,-ნთქვამია მოხსენებაში. კიბერიერიში საჭიროებს წინასწარ სამზადისს: სამოქმედო გეგმის შედგენას ახალი დომეინების რეგისტრაციას, ვებგვერდების შექმნას და წინასწარ ტესტირებას.ამერიკის კომპიუტერული უსაფრთხოების მკვლევართა ნაწილმა, რომლებიც ბოტნეტშეტევებს იკვლევენ, აღნიშნეს, რომ აშკარა იყო რუსული ბიზნესქსელის მონაწილეობის ნიშნები, რადგანაც თავდამსხმელები იყენებენ იმავე მეთოდებს და თავდასხმის ბრძანებებს, რომელსაც რუსული ბიზნესს ქსელი„ მიმართავდა. რუსული ბიზნესქსელი (ლXტ) 2007 წლამდე იყო ერთ-ერთი ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც ჩართული იყო სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობებში, ფინანსური თაღლითობებში, ვირუსების გავრცელებაში, საფრთხეების შემცველი კოდების შექმნაში, ბოტნეტებში, ვვნშ (მომსახურებაზე განაწილებული უარით იერიში) შეტევებში და საბავშვო პორნოგრაფიაში. კიბერშეტევებმა რამდენიმე დღით საქართველოში გათიშა მთავრობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშულებები, ახალი ამბების პორტალები, შეაფერხა ფინანსური ტრანზაქციები, ინტერნეტ და მობილური სატელეფონო კავშირები. საქართველოზე კიბერთავდასხმების ერთ-ერთი ტაქტიკა იყო ვებგვერდებზე დადებული ისტრუქციები იმ მოხალისე პირთათვის, რომელთაც საკმარისი კომპიუტერული უნარები არ გააჩნდათ, მაგრამ ამ ინსტრუქციების მეშვეობით საშუალება მიეცათ, თავიანთი წვლილი შეეტანათ კიბერთავდასხმების განხორციელებაში. ეს მეთოდი იმდენად ეფექტური იყო, რომ 43 სამიზნე ვებგვერდიდან ზოგი ჩამოიშალა და ზოგიც საერთოდ გაითიშა. ამას გარდა, 11 ვებგვერდი იმ ბოტნეტების მსხვერპლი გახდა, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან ასოცირდებოდა. სოციალური ქსელები და ვებგვერდები, როგორიცაა სტოპგეორგია.რუ და სტოპგეორგია.ინფო გამოიყენებოდა მოხალისე ჰაკერების შერჩევისა და დაქირავებისთვის. გშ-ჩჩგ-ს ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს ვებგვერდები სპეციალურად შეიქმნა საქართველოზე კიბერშეტევის განსახორციელებლად. აქ, ასევე, წარმოდგენილი იყო ქართული სამიზნე ვებგვერდების სია.



***— დადასტურებული ინფორმაციით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში შექმნილია საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებს და ჰაკერთა ჯგუფები, რომლებიც მოწინააღმდეგის მედიასაშუალებებზე თავდასხმებს ახორციელებენ. რეალურად როგორია რუსეთის კიბერნეტიკული შესაძლებლობები?***

— კრემლის საინფორმაციო ომის პოლიტიკას საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ელცინის მმართველობის დროს გაგრძელდა და პუტინის ხანაში გაძლიერდა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში 2000 წელს დამტკიცდა საინფორმაციო უსაფრთხოების ახალი დოქტრინა. დოქტრინის მთავარი სტრატეგია მდგომარეობდა იმაში, რომ აღეჭურვა ხელისუფლება საინფორმაციო და მედიაქსელებზე კონტროლის მექანიზმებით. 2000 წლის 5 იანვარს ხელისუფლებაში მოსვლიდან ხუთი დღის შემდეგ პუტინმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო ცვლილებას, რის შედეგადაც საგადასახადო პოლიციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, კრემლის, საპარლამენტო და საპრეზიდენტო დაცვის სამსახურებს, საზღვრის დაცვას და საბაჟო სამსახურს იგივე უფლებები მიენიჭათ, რაც მანამადე მხოლოდ უსაფრთხოების ფედერალური სამსახურს ჰქონდა. სტრუქტურულად, პუტინმა მოახდინა მისი რეორგანიზაცია (სამთავრობო კავშირებისა და ინფორმაციის ფედერალური სააგენტო). შვედეთის თავდაცვის კვლევითი სააგენტოს 2010 წლის მარტის ანგარიშის თანახმად, 1991-დან 2003 წლებამდე ɔXზშ-ის ფუნქციებში შედიოდა: სპეცკავშირები, კრიპტოგრაფიული უსაფრთხოება, ტექნიკური დაზვერვა, კონტრდაზვერვა, კოდების გაშიფრვა, ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციული უსაფრთხოება. უნდა აღინიშნოს, რომ პუტინის რუსეთი, სადაც მედიასაშუალებები სრული ცენზურის ქვეშ არიან და ნებისმიერი გამოცემა განსხვავებული აზრის გამო იდევნება ან იხურება, კომპიუტერული ჰულიგნების ჟურნალი ჰაკერი„ ყვავის. მეტიც, რუსეთში არსებობს ხაკერ.რუ-ს მსგავსი უამრავი ვებგვერდი, რომელიც ღიად აქვეყნებს კიბერშეტევების ინსტრუქციებს. 2008 წელს, საქართველოზე განხორციელებული თავდასხმების დროს ინსტრუქციები ხელმისაწვდომი იყო მათთვის, ვისაც ამ კრიმინალურ კამპანიაში ჩართვის სურვილი გაუჩნდებოდა. ვირტუალი თაღლითობის „მუშათა კლასის“ რესურსები მრავალადაა რუსეთში. არსებობს უამრავი უნივერსიტეტი, რომელიც ცნობილია მაღალი საგანმანათლებლო სტანდარტებით მათემატიკის, ფიზიკის, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების დარგებში. ასევე, მრავლადაა ჰაკერთა სკოლები, რომელთა რეკლამირებაც ღიად ხდება საზოგადოებრივ მედიაარხებზე. რუსეთში ჰაკერთა კრიმინალურ ქმედებებს ოფიციალურადაც კი მიესალმებიან, თუკი იგი „დედასამშობლოს“ წინააღმდეგ არ არის მიმართული. ზოგჯერ, საინფორმაციო ჯარისკაცებს და კიბერკრიმინალებს საჯაროდაც კი აქებენ. 2006 წელს, რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა, ნიკოლაი კურიანოვიჩმა ღია მისალოცი წერილით მიმართა რუსს ჰაკერებს ისრაელის ვებ-ვერდებზე განხორციელებული შეტევების საპასუხოდ. „უახლოეს მომავალში, — წერდა კურიანოვიჩი, — ბევრი კონფლიქტი არა ბრძოლის ველზე, არამედ ინტერნეტსივრცეში, ინფორმაციული ჯარისკაცების, ანუ ჰაკერების მეშვეობით გაიმართება. ეს ნიშნავს, რომ ჰაკერთა მცირე რაზმი უფრო ძლიერია, ვიდრე — არსებული შეიარაღებული ძალების მრავალათასიანი რაზმები“.

***— შეინიშნება თუ არა მიმდინარე პერიოდში რუსეთის მხრიდან კიბერნეტიკული შეტევების ნიშნები?***

— მე არ შემიძლია, ზუსტი პასუხი გაგცეთ ამ კითხვაზე, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით, ამის გამორიცხვაც არ შეიძლება. კიბერ თავდასხმითი სტრატეგია რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. რუსული კიბერთავდასხმების საფრთხე იარსებებს, ვიდრე რუსეთში ფუნდამენტური პოლიტიკური ცვლილებები არ განხორციელდება.

***— როგორია საერთაშორისო პრაქტიკაში კიბერნეტიკული შეტევის იურიდიული შეფასების შესაძლებლობა და 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოზე კიბერშეტევას თუ მიეცა რაიმე სამართლებრივი შეფასება?***

— ამჟამად საერთაშორისო საზოგადოება ან მისი ნაწილი მაინც, ეძებს ეფექტურ გზებს კიბერშეტევებთან საბრძოლველად, თუ რომელია ყველაზე ეფექტური, ტექნიკური, იურიდიული და პოლიტიკური სტრატეგიები ამ საფრთხეების წინააღმდეგ. მაგალითად, რა შემთხვევაში უნდა მიიჩნიონ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სუბიექტებმა კიბერშეტევა შეიარაღებულ შეტევად, სად გაავლონ ზღვარი დანაშაულსა და ომს შორის. კიბერდანაშაული და კიბერომი არის ტრანსნაციონალური, ამიტომ რთულია განსაზღვრო, ვინ დგას კიბერთავდასხმის უკან. მაშინაც კი, როდესაც მივაგნებთ კვალს, მის ნამდვილ წარმომავლობას, ა ძალზე რთულია განისაზღვროს, იყო თუ არა ეს შეტევა სახელმწიფოს მიერ ინიცირებული, თუ ეს უბრალოდ კიბერნაციონალიზმის გამოვლინება იყო. ერთადერთი ეფექტური დოკუმენტი, რომელიც არსებობს, არის ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულზე, რომელსაც რუსეთი არ შეუერთდა და რომელიც ხელმოწერისთვის 2001 წლიდან ღიაა. ცხადია, რომ მას არ სურს, კონვენციაზე ხელის მოწერით, რაიმე სახის ვალდებულების აღება, რომელიც ითვალისწინებს უცხოელი ოფიცრების ადგილზე ჩასვლას და საგამოძიებო მოქმედებების წარმოებას, თუკი რაიმე სახის კიბერდანაშაულებრივ ბრალდებას ექნება საფუძველი. აშკარაა, რომ მოსკოვს არ სურს, არსებული ბრალდებები ფაქტებად აქციოს და ფაქტობრივად გამოვლინდეს კავშირები კრემლსა და კიბერკრიმინალებს შორის, როგორიცაა, მაგალითად რუსული ბიზნესს ქსელი„.

***— აინფორმაციო პოლიტიკაზე დაკვირვებით, შესაძლებელია თუ არა მოწინააღმდეგის რეალური გეგმების განსაზღვრა?***

— რუსეთის საინფორმაციო პოლიტიკის დოქტრინა ეყრდნობა მოწინააღმდეგეთა საინფორმაციო სისტემებზე შეტევას და შპიონაჟს, თუმცა რუსეთის რომელიმე საჯარო დოკუმენტში დაწერილი ფორმით ამგვარი ხედვა, ცხადია, არ წარმოჩინდება. ღია ინფორმაციის სიმცირის მიუხედავად, რუსეთის ინტერესი საინფორმაციო ომთან მიმართებაში, მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის კიბერომის ფორმების ჩათვლით, აშკარაა, რომ დიდია. თუმცა, შეგვიძლია, მოვიძიოთ და გავაერთიანოთ ინფორმაცია სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტებიდან, ოფიციალური განცხადებებიდან, კრემლთან მჭიდრო კავშირში მყოფი კრიმინალების და რუსეთის ხელისუფლების ქმედებებიდან, რათა შევქმნათ რუსეთის კიბერკონცეფციის სრული სურათი, რომელიც მისი საინფორმაციო დოქტრინის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ამ სტრატეგიის პირველი კონკრეტული ეფექტური შედეგები ვლინდება კიბერშპიონაჟის სფეროში. 1999 წლის 25 ივლისს ლონდონ სანდეი თაიმსი„ წერდა - ამერიკელ თანამდებობის პირებს სჯეროდათ, რომ რუსებმა მოიპარეს აშშ-ის სამხედრო საიდუმლოება, მათ შორის - შეიარაღების მართვის სისტემა და საზღვაო დაზვერვის კოდები. კიბერქურდობა ისეთ მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ უსაფრთხოების ექსპერტები ეჭვობდნენ, რომ ამერიკა შესაძლოა პირველ მსოფლიო კიბერომში დამარცხებულიყო კიდეც, აცხადებდა მაშინდელი აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილე ჯონ ჰამრი. ეს იყო რუსეთის კიბერშპიონაჟთან დაკავშირებით პირველი საგანგაშო სიგნალი

თუმცა, არც უკანასკნელი. რუსეთს, თავის საზღვრებთან ახლოს, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, სურს გავლენის სფეროების აღდგენა, შენარჩუნება და დასავლეთის გავლენის ჩახშობა. ტრადიციულად ამ მიზნის მისაღწევად იგი სამ ძირითად მეთოდს მიმართავს: პირველია ბინძური ოინები — ენერგომანიპულირება, ეკონომიკური ემბარგო, შანტაჟი, პოლიტიკური დივერსიები და ა.შ. რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოს დამორჩილება ამგვარი მეთოდებით, რაც ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, თუ რატომაც მიმართა მან მეორე მეთოდს პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას. მესამე გზა არის რუსეთში პრივატიზაციის იდეოლოგის და მოგვიანებით სამთავრობო ენერგოჰოლდინგის, გაერთიანებული ენერგო სისტემის (გუშ) ხელმძღვანელის ანატოლი ჩუბაისის მიერ ინიცირებული ეგრეთწოდებული ლიბერალური იმპერიალიზმის„ დოქტრინა, რომელიც ზოგადად ნორმალურად ჟღერს, თუმცა რეალურად რუსეთის აგრესიის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მიზნად პოსტსაბჭოთა ქვეყნების რუსეთზე სრულ ეკონომიკურ დამოკიდებულების რეალობად ქცევას ისახავს. კიბერომი, რა თქმა უნდა, არის რუსეთის მხრიდან დამორჩილების ეკონომიკურად ეფექტური, იაფი და აგრესიული მეოთხე მეთოდი, რომელიც შესაძლებელია, გამოყენებული იყოს როგორც ცალკე აღებული ხერხი ან კომბინირებულად ზემოთხსენებულ დანარჩენ სამ მეთოდთან ერთთან. 2010 წლის თებერვალში რუსეთმა გამოაქვეყნა ახალი სამხედრო დოქტრინა, სადაც განხილულია თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების სახეები. მათ შორის დოქტრინაში საინფორმაციო ომთან დაკავშირებით შემდეგი რამ წერია, — ინფორმაციულ ომთან მიმართებაში დროული ზომების მიღება, რათა შესაძლებელი გახდეს პოლიტიკური მიზნების მიღწევა ყოველგვარი სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე.

# იაპონიაში მიწისძვრით დაღუპულთა რიცხვმა 10 ათასს გადააჭარბა

იაპონიის პოლიციის ოფიციალური მონაცემებით, 11 მარტს მომხდარი მძლავრი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 10 ათასს გადააჭარბა.

გარდა ამისა, 17.5 ათასი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. 2775 ადამიანი დაშავდა.

ასეულობით ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, სასმელი წყლისა და სურსათის ნაკლებობას განიცდის.

9-ბალიანი მიწისძვრა და მისი მომყოლი ცუნამი იაპონიაში ბოლო დროს მომხდარ უძლიერეს სტიქიურ უბედურებას წარმოადგენდა.




დღემდე იაპონიაში გრძელდება 11 მარტის მიწისძვრის მომყოლი ბიძგები და მათგან ზოგიერთი ისეთი სიძლიერისაა, რომ სხვა ქვეყნებში ძლიერი ნგრევის გამოწვევას შეძლებდა.

ასე მაგალითად, მიაგის პრეფექტურაში, სადაც 11 მარტის მიწისძვრამ ყველაზე მეტი ზარალი გამოიწვია, 6.1 ბალი სიძლიერის ბიძგი მოხდა, ხოლო სამშაბათს, იმავე რაიონში 6.6-ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა.

სტიქიით დაზიანებულ ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში კვლავაც გრძელდება რადიოაქტიური ორთქლის წყაროს ძებნა, რომელმაც კვების პროდუქტებისა და წყლის დაბინძურების შესაძლებლობით შეშფოთება გამოიწვია.

ინჟინრები ცდილობენ გენერატორების ამოქმედებას, რაც მათ ატომური საწვავის ღეროების გაგრილების სისტემის ამოქმედების შესაძლებლობას მისცემს.

ხუთშაბათს საავადმყოფოში მოათავსეს ფუკუსიმას აღდგენითი სამუშაოების მონაწილე ორი მუშა, რომლებიც რადიაციის ზემოქმედების ქვეშ მოხვდნენ. სავარაუდოდ, მათ ამ სამუშაოებისათვის შესაფერისი ფეხსაცმელი არ ეცვათ და რადიაციული საფრთხის განგაშს ყურადღება არ მიაქციეს.

ამ შემთხვევის შემდეგ იაპონიის მთავრობამ ატომურ ელექტროსადგურზე უსაფრთხოების ზომების დაცვის კონტროლის გამკაცრების განკარგულება გასცა.

ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანიის „ტოკიო ელექტრიქ ფაუერის“ — ტეპკოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფუკუსიმაზე აღდგენითი სამუშაოების დასრულებას ერთი თვე შეიძლება დასჭირდეს.

ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგური ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 250 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად სადგურის დაზიანების ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ხელისუფლებამ სადგურის გარშემო 20 კმ სიგანის გაუცხოების ზონის შექმნისა და იქიდან ადამიანების გახიზვნის გადაწყვეტილება მიიღეს.

მათ, ვინც 30 კმ-ზე მეტი მანძილის დაშორებით ცხოვრობს, რადიოაქტიური დაბინძურების რისკის შემცირების მიზნით შენობებში დარჩენა ურჩიეს.

გ.თ.

# ავთანდილ ცქვიტინიძე დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის მსოფლიო ასოციაციამ ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოში“ საგანგებო ღონისძიება გამართა, რომელზეც ცნობილი ქართველი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე და კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი დააჯილდოვა.

როგორც ასოციაციის წარმომადგენელმა ევა ბაბალაშვილმა-ხუხაშვილმა განაცხადა, ავთანდილ ცქვიტინიძე და მიხეილ ჭიაურელი მათმა ასოციაციამ ქალებზე განსაკუთრებული ზრუნვისთვის შეარჩია.

როგორც ერთი მსახიობის თეატრში მისულმა დიზაინერმა ავთანდილმა განაცხადა, მისთვის ძალიან დიდი პატივია ასეთი ჯილდოს მინიჭება, რადგან ნებისმიერი აღიარება და დაფასება მისთვის, როგორც დიზაინერისა და პიროვნებისთვის უმნიშვნელოვანესია.

ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის მსოფლიო ასოციაცია უკვე მეექვსე წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ასოციაციამ ბევრი საზოგადო მოღვაწის დამსახურება აღნიშნა და ისინი საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა.

**ევა ბაბალაშვილი-ხუხაშვილი:**

— ჩვენ სისტემატურად ვიკრიბებით ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოში“, სადაც ჩვენი ასოციაციის ეგიდით არაერთი ღონისძიება ჩაგვიტარებია. დღევანდელი დღე კი მიეძღვნა ქალებს, ულამაზეს ქმნილებებს, თუმცა, თეატრში ქალბატონები არ მოგვიწვევია. ჩვენი სტუმრები არიან მამაკაცები, რომლებიც ალამაზებენ ქალებს. თეატრ „ვერიკოში“ ჩვენ დავაჯილდოვეთ დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე და რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი.

***— ეს მამაკაცები რა კრიტერიუმით შეარჩიეთ?***

— ეს ორივე ადამიანი ქალებზე განსაკუთრებულად ზრუნავს. ავთანდილ ცქვიტინიძე დავაჯილდოეთ იმიტომ, რომ არაჩვეულებრივ კოსტიუმებს ქმნის და ნამდვილად ალამაზებს ქალებს. რაც შეეხება მიხეილ ჭიაურელს, დაკვირვებული ვარ, მის ფილმებში ქალები ყოველთვის ლამაზდებიან.



# ვალერი მელაძე ცოლს გაშორდა

ეკა ირემაშვილი



რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ვალერი მელაძე ცოლს ოფიციალურად გაშორდა. ეს ინფორმაცია პრესას მიმა მეუღლემ ირინა მელაძემ დაუდასტურა. სამაგიეროდ, მომღერლის ოფიციალური წარმომადგენლები ცოლ-ქმრის გაყრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებენ.

ვალერი მელაძის ყოფილი მეუღლე რუსულ პრესასთან საუბარში აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, ისინი 18 წელი იყვნენ ცოლ-ქმარი, მომხდარს ყოველგვარი ემოციის გარეშე, აბსოლუტურად მშვიდად ხვდება, თუმცა გაოცებულია, რომ შეყვარებულები დიდი ხნის განმავლობაში მალავდნენ ურთიერთობას.

ვალერი მელაძეს ირინასთან 3 გოგო ჰყავს. ირინა მელაძის თქმით, ამ სიტუაციაში მას ყველაზე მეტად ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა აწუხებს, რადგან ისინი მშობლების გაყრას ყველაზე მეტად განიცდიან.

— ვიცი, რომ ცხოვრებაში ყველაფრის გამო პასუხს მოგვთხოვენ. პირადად მე ჩემი საქციელის გამო არასოდეს შემრცხვენია. ჩვენ დავშორდით, მაგრამ გაოცებული ვარ, როგორ ახერხებდა ვალერი ამდენი წლის განმავლობაში ასეთი დიდი საიდუმლოს საგულდაგულოდ დამალვას, — აცხადებს ირინა მელაძე.

ვალერი მელაძემ 18-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ცოლი და სამი შვილი ჯგუფ „ვია გრას“ სოლისტ ალბინა ჯაბაევას გამო მიატოვა. მათ ბიჭი, 6 წლის კოსტია ჰყავთ, რომელსაც სახელი მომღერალმა ძმის, კომპოზიტორ კონსტანტინე მელაძის პატივსაცემად დაარქვა.

# ქართველი მწერლების კარიკატურები გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში მეტად უჩვეულო და ორიგინალური გამოფენა გაიხსნა. „კარიკატურები და შარჟები ქართველ მწერლებზე“ — ასე ეწოდება ექსპოზიციას. ლიტერატურის მუზეუმში ასევე შედგა წიგნ „ფუნაგორიების“ პრეზენტაცია.

წიგნში თავმოყრილია ცნობილი მწერლების — გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, გრიგოლ აბაშიძის, ნიკა აგიაშვილისა და სხვათა ერთმანეთზე დაწერილი ფუნაგორიები, ანუ ავსიტყვაობა, ასევე გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი გამრეკელის, გიგლა ფირცხალავას, თენგიზ გოგოლაძისა და სხვათა შარჟები. კრებული შედგენილია ლადო ასათიანის, ნიკა აგიაშვილისა და კარლო კალაძის მიერ, მაგრამ პირველად ახლა გამოსცა ლიტერატურის მუზეუმმა. როგორც ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ განაცხადა, დიდი ხნის განმავლობაში ეს ფუნაგორიები მუზეუმში იყო ჩაკეტილი. ეს წიგნი პირველად ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოიცა. წიგნში კარგად ჩანს, თუ რას ფიქრობდნენ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ქართველები.

კარიკატურების გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში 9 აპრილამდე გაგრძელდება.

# ფესტივალი „ოლიმპოს მწვერვალი“ დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საერო სკოლა „ოლიმპში“ ბერძნული კულტურის სასკოლო ფესტივალი „ოლიმპოს მწვერვალი“ გაიხსნა. საზეიმო გახსნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე დაესწრო. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანი, საბერძნეთის ელჩი საქართველოში გეორგიოს ხაძიმიხელაკისი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ფესტივალი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ თბილისის საკრებულოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მხარდაჭერით ეწყობა.

ბერძნული კულტურის სასკოლო ფესტივალში თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (კერძო და საჯარო) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან ჩართული. ფესტივალი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ბერძნული ცივილიზაციის შესახებ მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას. იგი ექვსი მიმართულებით ჩატარდება — მოხდება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნახატები, ნაძერწები, ნაქარგები, აპლიკაციები, კოლაჟები) ნიმუშების გამოფენა, რომლებიც ბერძნული მითოსისა და ისტორიის რეალიებს ასახავს. ასევე მოეწყობა ანალიტიკური ესეს აქცია, გაიმართება სპექტაკლები და ლიტერატურული კომპოზიციები, მოსწავლეები წარმოადგენენ პროექტებს, ჩატარდება ბერძნული ენის კონკურსი და შემეცნებითი ვიქტორინა — „ბერძნული მითების სამყაროში“.

ფესტივალისათვის მზადების პროცესში მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა, ისარგებლონ ჯავახიშვილის ინსტიტუტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან არსებული აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკით. საფესტივალო მასალები და დავალებები მომზადდება ინსტიტუტის თანამშრომლების კონსულტაციების საფუძველზე. ფესტივალის მონაწილეებს წახალისების მიზნით სიგელები, დიპლომები, წიგნები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ.

# ბაკურ სულაკაური წლის საუკეთესო მოთხრობებს გამოსცემს

ეკა ირემაშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა წლის საუკეთესო მოთხრობების კრებულს გამოსცემს, რომელშიც 15 სხვადასხვა ავტორის წლის 15 საუკეთესო მოთხრობა შევა. ყველა მოთხრობა უკვე შერჩეულია და მკითხველი მათ სულ მალე იხილავს.

უკვე მეშვიდე წელია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა წლის მანძილზე ინტერნეტსა თუ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მოთხრობებს ერთ წიგნად გამოსცემს, კრებულის პრეზენტაცია კი აპრილში წიგნის ფესტივალზე იმართება. საუკეთესო მოთხრობებს თავად გამომცემლობა არჩევს.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 15 ავტორს შორის სამ საუკეთესოს ფულადი პრიზით აჯილდოებს. გასულ წელს საუკეთესო მოთხრობის ავტორი მიშა ბახსოლიანი გახდა. იგი წელსაც შევა საუკეთესო მოთხრობათა კრებულში. მიშა ბახსოლიანმა სადებიუტო წიგნი გასულ წელს გამოუშვა. მოთხრობების კრებული „ყველას უყვარს მარი“ გამომცემლობა „დიოგენემ“ ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ წლის საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში წარადგინა.

გამომცემლობის გადაწყვეტილებით, სამი საპრიზო ადგილის გარდა, პრიზები სხვა მოთხრობების ავტორებსაც შეხვდებათ. მათ შორის ერთ გამარჯვებულს ინტერნეტ-მომხმარებელი აირჩევს. ლიტერატურულ საიტ „ლიტერატურა.ჯი“-ზე წარდგენილ 15 ავტორს შორის არჩევანს საიტის მომხმარებელი თავად გააკეთებს.

წლევანდელ 15 საუკეთესო მოთხრობათა შორის რამდენიმე ავტორი პირველად მოხვდა. მათ შორის არიან ალეკო ცქიტიშვილი, მარინა ელბაქიძე და ჯაბა ზარქუა. ჯაბა ზარქუა 23 წლისაა, პირადი კრებული ჯერ არა აქვს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა მისი პირველი წიგნის დაბეჭდვას მომავალში აპირებს.

კრებულში შევა ცნობილი მწერლების მოთხრობებიც — ლაშა ბუღაძის „ერთზე მეტი, ორზე ნაკლები“, ასევე ლიტერატურულ კონკურს „წეროს“ გამარჯვებული მოთხრობა „ბავშვობა, როგორც სინამდვილეში“.

მთლიანობაში კი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ 2010 წელს დაწერილ საუკეთესო 15 მოთხრობათა კრებულში გაერთიანებულია: მიშა ბახსოლიანის „დიდი რამე“, მარი ბექაურის „ბავშვობა, როგორც სინამდვილეშია“, ლაშა ბუღაძის „ერთზე მეტი, ორზე ნაკლები“, თეონა დოლენჯაშვილის „რეალური არსებები“, მარინა ელბაქიძის „ნატაშა“, ჯაბა ზარქუას „ლაბორატორია: „კანდიდო“, ზურა ლეჟავას „უხურდავებელი მონეტა“, გურამ მეგრელიშვილის „ადამიანის ქალაქი“, რატი რატიანის „მოშეს ხალხი“, ირმა ტაველიძის „გორის ციხე“, ნინო ტეფნაძის „კურდღლები“, დათო ქარდავას „მარტოობის ევქარისტია“, დავით ქართველიშვილის „3:1“, ალეკო ცქიტიშვილის „მთაზე ასვლა“ და ბესო ხვედელიძის „სიკვდილის ბორბალი“.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი მანანა**

იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უილბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.

**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**

მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.

# ელიზაბეტ ტეილორმა საკუთარ დაკრძალვაზეც დაიგვიანა

ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავი ელიზაბეტ ტეილორი გარდაცვალებიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ ლოს-ანჯელესში, ფორესტ სთოუნის სასაფლაოზე დაკრძალეს.




დაკრძალვის ცერემონიალი ძალიან მოკრძალებული იყო. მას ესწრებოდა 40-მდე ადამიანი და რაბინი უძღვებოდა.

იმავე სასაფლაოზე მრავალი ცნობილი პიროვნებაა დაკრძალული, მათ შორის ელიზაბეტ ტეილორის მეგობარი მაიკლ ჯექსონი.

მეოცე საუკუნის კინემატოგრაფის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი, ელიზაბეტ ტეილორი, ლოს-ანჯელესში ოთხშაბათს გულის უკმარისობით გარდაიცვალა. იგი 79 წლის იყო.

მსახიობის დაკრძალვის ცერემონიალი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. როგორც გამოაცხადეს, ასე თავად მსახიობის თხოვნით მოიქცნენ.

„მის ტეილორმა დატოვა ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც დაკრძალვა დანიშნულ დროსთან შედარებით მინიმუმ 15 წუთის დაგვიანებით უნდა დაწყებულიყო. ამასთან, უნდა გამოეცხადებინათ, რომ „მას სურდა, თვით საკუთარ დაკრძალვაზეც კი დაეგვიანებინა“.

სამგლოვიარო ცერემონიალის დროს, რომელიც ერთ საათს გრძელდებოდა, წაიკითხეს XIX საუკუნის ინგლისელი პოეტის ჯერარდ მანლი ჰოპკინსის ლექსი „ტყვიის ექო და ოქროს ექო“, საყვირზე სოლო შეასრულა ტეილორის შვილიშვილმა რისმა, შესრულდა აგრეთვე ჰიმნი „ემეიზინგ გრეის“, რომელიც ელვის პრესლის რეპერტუარში შედიოდა.

## შეგიძლიათ თუ არა უცნობი ადამიანის კეთილგანწყობის მოპოვება?




***1. თუ ემზადებით წინასწარ უცნობ ადამიანთან შესახვედრად?***
ა. დიახ. ბ. ხანდახან. გ. იმპროვიზაციის იმედი მაქვს.

***2. მისალმება გაცნობის მნიშვნელოვანი ეტაპია. როგორ ესალმებით ადამიანს?***
ა. გულწრფელად ვუღიმი. ბ. თავშეკავებით. გ. მშრალად.

***3. როგორ მოიქცევით, თუ ბინის ფანჯრიდან თქვენთან სტუმრად მომავალი ადამიანი დაინახეთ?***
ა. ღია კართან დაველოდები. ბ. კარს გავუღებ. გ. დივანზე მჯდომი შევხვდები.

***4. ცდილობთ თუ არა ნაცნობობისას თავიდანვე ერუდიციის გამომჟღავნებას?***
ა. დიახ. ბ. არ შემიმჩნევია. გ. არა.

***5. თუ მოსაუბრესთან კამათი მოგივიდათ, როგორ მოიქცევით?***
ა. ტაქტიანად, ოღონდ ლოგიკას არ ვუღალატებ. ბ. გარემოებას გააჩნია. გ. ყველაფერში დავეთანხმები.

***6. თუ გჩვევიათ თანამოსაუბრისთვის სიტყვის გაწყვეტინება?***
ა. ვცდილობ, ასე არ მოვიქცე. ბ. ხანდახან. გ. საკმაოდ ხშირად.

***7. თუ ამჟღავნებთ ინტერესს ახალ ნაცნობთან საუბრის თემის მიმართ?***
ა. ყოველთვის ბ. ხანდახან. გ. იშვიათად.

**პასუხები შეაფასეთ: ა. — 1, ბ. — 2, გ. — 3 ქულა**

**პასუხები**

**7-11 ქულა:** ახალი ადამიანის გაცნობისას ყოველთვის გულისხმიერებასა და მისით დაინტერესებას იჩენთ, ცდილობთ, თქვენს საზოგადოებაში მან თავი კარგად იგრძნოს.

**12-16 ქულა:** ურთიერთობისას ზოგჯერ სერიოზულ შეცდომებს უშვებთ, თუმცა, ცდილობთ თავის გაკონტროლებას. იმოქმედეთ ცნობილი წესის მიხედვით: ნუ მოექცევით სხვას ისე, როგორც თქვენ არ გინდათ, რომ მოგექცნენ.

**17-21 ქულა:** ხშირად ვერ აკონტროლებთ თქვენს ემოციებსა და სიტყვებს. თანამოსაუბრეს თქვენ შესახებ დადებით შთაბეჭდილებას ვერ უქმნით, რადგან მისდამი კეთილგანწყობას არ ავლენთ.

# ძაღლის ექსკრემენტების გამო მეზობლებმა კინაღამ ერთმანეთი დახოცეს

აშშ-ში, მისისიპის შტატში, ორმა მეზობელმა ერთმანეთს სროლა მას შემდეგ აუტეხა, რაც ერთ-ერთი მათგანის ძაღლმა მეორის ნაკვეთში მოისაქმა.

ძაღლის 60 წლის მფლობელს ჯერი ბლეისინგემს სანადირო თოფით მეზობლის, 52 წლის ტერი ტენეტის დაჭრის ბრალდებები აქვს წაყენებული.

ტენეტის ჭრილობები სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და, სავარაუდოდ, გამოჯანმრთელების შემდეგ მასაც მოუწევს მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.



ესოშიეიტედ პრესის თანახმად, ტენეტი თავისი მანქანით ბლეისინგემის სახლს მიადგა, პატრონი გამოიძახა და მდელოზე ძაღლის მიერ დატოვებული „საჩუქრის“ გამო აღშფოთება გამოხატა.

ბლეისინგემმა ტენეტს პასუხად ის შეახსენა, რომ ერთი კვირის წინ იგი როგორც ძაღლს, ასევე პატრონს დახოცვით დაემუქრა.

დაპირისპირებული მხარეების ჩვენებები სროლის ინიციატორის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ფაქტია, რომ ტენეტი საფანტით ხელებში, მხარში, მკერდსა და გვერდში დაიჭრა.

ვაშინგტონის ოლქის შერიფის წარმომადგენლების თქმით, მეზობლები ერთმანეთს პატივს უნდა სცემდნენ, მსგავსი კონფლიქტური ვითარების წარმოქმნის შემთხვევაში კი უმჯობესი იქნება, თუკი პოლიციას მიმართავენ.

***მოამზადა გენადი თვაურმა***

## სამგლოვიარო განცხადებები

შვილი ირინა ვართანოვა, შვილიშვილები იგორი და გრიშა, სიძე ვან ბაიბურთი, ძმა გიორგი, ძმისშვილი მარტინ ვართანოვი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგორი მარტინის ძე ვართანოვი**

პანაშვიდი: 28 მარტს, 17 სთ-ზე;
გამოსვენება: 29 მარტს, 15 სთ-ზე;
მის.: შ. ჩიტაძის ქ. №10.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## 27 მარტი — 3 აპრილი




**სოხუმი**
28.03 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
29.03 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
30.03 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
31.03 წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 14-15
01.04 ღრუბელი, დღისით — 22-23, ღამით — 13-14
02.04 წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 12-13
03.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 12-13

**ზუგდიდი**
28.03 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
29.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 11-12
30.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 13-14
31.03 წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 14-15
01.04 მზე, წვიმა, დღისით — 23-24, ღამით — 15-16
02.04 წვიმა, დღისით — 22-23, ღამით — 12-13
03.04 წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 13-14

**ბათუმი**
28.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 8-9
29.03 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 12-13
30.03 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 13-14
31.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 15-16
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 15-16
02.04 წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 11-12
03.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 13-14

**ქუთაისი**
28.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
29.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 23-24, ღამით — 11-12
30.03 მზე, წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 13-14
31.03 წვიმა, დღისით — 22-23, ღამით — 14-15
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 23-24, ღამით — 15-16
02.04 წვიმა, დღისით — 22-23, ღამით — 13-14
03.04 წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 13-14

**გორი**
28.03 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 6-7
29.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
30.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
31.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 8-9
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 11-12
02.04 წვიმა, დღისით — 19-20, ღამით — 8-9
03.04 ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 10-11

**თბილისი**
28.03 ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 7-8
29.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 8-9
30.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 10-11
31.03 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 11-12
02.04 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 9-10
03.04 წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 8-9

**გურჯაანი**
28.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 6-7
29.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 6-7
30.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
31.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 8-9
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 11-12
02.04 წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
03.04 მზე, წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 10-11

**მანგლისი**
28.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 5-6
29.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
30.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
31.03 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 9-10
02.04 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 7-8
03.04 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 3-4

**დმანისი**
28.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — -3 -2
29.03 მზე, წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -3 -2
30.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — -2 -1
31.03 მზე, წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — -1-0
01.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 1-2
02.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 0-1
03.04 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 1-2

გ.თ.

## კროსვორდი




1. ხუთმუხლიანი ურითმო ლექსი; 2. ვაჭრობის ფორმა; 3. ხეთების ქალღმერთი; 4. დენის წინაღობის ერთეული; 5. აღმოსავლეთი; 6. ჰო, დიახ; 7. ლამების გვარის ცხოველი; 8. ... ჰოფმანი; 9. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 10. დასტურის შეძახილი ამერიკაში; 11. „ხეკაკუნა“ ფრინველი; 12. მემამულე თურქეთში (ძვ.); 13. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 14. სოფელი თელავის რაიონში; 15. ხორციანი კორკოტი; 16. მრავალხმიანობა; 17. ამონი ანუ...; 18. წყლის ფრინველი; 19. იტალიელი კომპოზიტორი (1857-1919); 20. ორკორპუსიანი სატვირთო გემი; 21. ქიმიური ელემენტი; 22. კეთილსურნელება; 23. ერთხმიანი საოპერო ნაწარმოები; 24. მდინარე ციმბირში; 25. ნიში ოთახში საწოლისთვის; 26. ნუსხა; 27. ევროპული ვალუტა; 28. წყვილთა საბალო ცეკვა; 29. სუბტროპიკული მცენარე; 30. ...გოტი; 31. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი.

***შეადგინა ოლივერ კოხიამ***

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შურთხი; 2. იმიჯი; 3. რიცი; 5. ფიშერი; 6. ხრამი; 7. სიმონია; 11. რაპირა; 13. ყვარელი; 14. აკაყა; 15. კონდახი; 16. ეპილოგი; 17. ბესიკი; 19. ეთიკა; 20. მუდო.

**თარაზულად:** 1. შეიკერი; 4. პიაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თეჯირი; 12. გომბორი; 14. აზია; 15. კავკასია; 16. ელადა; 18. ბოდბე; 21. სესია; 22. გრადუსი; 23. კოკაინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალია; 2. აკაბა; 3. ანეტო; 5. ნაზუქი; 6. კრეისერი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. უთო; 16. ბაწარა; 18. ყოჩი.

**თარაზულად:** 1. აკვანი; 4. დინამიკა; 7. ტაბიძე; 8. ტყიბული; 12. შკოდა; 13. კუმისი; 15. იდიოტი; 17. ნიუ; 19. ელექტრონიკა; 20. ვახტი; 21. ვინიცა.

# რაც აქამდე არ მომხდარა — ეკვატორზე ევროშანსი გველირსა

### საქართველო — ხორვატია 1:0

*1:0 კობიაშვილი (90)*

**საქართველო:** რევიშვილი, სალუქვაძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, კალაძე, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი (გოგუა, 73), იაშვილი (მარცვალაძე, 62), კობიაშვილი, დვალიშვილი (სირაძე, 46).

**ხორვატია:** რუნიე, სრნა, ლოვრენი, ჩორლუკა, სტრინიჩი, რაკიტიჩი (პერიშიჩი, 61), დუიმოვიჩი, მოდრიჩი, კრანჩარი (იელავიჩი, 70), პეტრიჩი (პრანიჩი, 84), კალინიჩი.

**გაფრთხილებები:** დუიმოვიჩი (52), კრანჩარი (65), მარცვალაძე (71).

**მსაჯები:** პაოლო ტალიავენტო; ლუკა მაჯიანი, ნიკოლა ნიკოლეტი; პაოლო ვალერი (იტალია)

მიმდინარეობდა მატჩის 90-ე წუთი, როდესაც ჯაბა კანკავამ ბურთი საჯარიმო მოედნის სიღრმეში ჩაკიდა, ბურთი ოთარ მარცვალაძემ დაიმორჩილა, ერთი მოძრაობით ხორვატთა გუნდის კაპიტანი დარიო სრნა გააცურა, ოდნავ უკან დასარტყმელ პოზიციაში მყოფ ლევან კობიაშვილს გადააწოდა, რომელმაც საქართველოს, ალბათ, ყველა დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

მანამდე განვლილი დროის მანძილზე, თემურ ქეცბაიას შეგირდების კარის ჩარჩოში ერთხელაც არ დაურტყამს. თუმცა, მოედნის ყველა წერტილზე თავგამოდებით იბრძოდა და არც მეტოქეს აძლევდა იმის საშუალებას, რომ ხეირიანი შეექმნათ ნუკრი რევიშვილის კართან. ასეთ სიტუაციაში, უგოლო ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ მოხდა ის, რაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში აქამდე არ მომხდარა.

რა მოხდა ასეთი? ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს 5 მატჩის შემდეგ 9 ქულა აქვს და ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებს.

ქეცბაიამ ჯერ კიდევ გუნდის შეკრების დაწყებისას განაცხადა, რომ ფრეზეც თანახმა იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოს რეიტინგში მე-9 ადგილზე მყოფ გუნდთან ფრთხილი შემადგენლობა არჩია. კიდევ უფრო გასაკვირი ის იყო, რომ ოთხივე ნახევარმცველი, ნომინალურად საყრდენი იყო, თუმცა, მათგან კობიაშვილს მარცხენა ფლანგი ებარა, ხოლო ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებული ჯაბა კანკავა პლეიმეიკერის როლს ითავსებდა. ზურაბ ხიზანიშვილი და მურთაზ დაუშვილი მოედნის ცენტრში მოქმედებდნენ, ხოლო ალექსანდრე იაშვილი მარჯვნიდან უტევდა.

დაცვა ისეთი იყო, როგორსაც ველოდით — სალუქვაძე-ხუბუტია-ამისულაშვილი-კალაძე. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის უფლებამოსილება დვალიშვილს ჰქონდა დაკისრებული.

ბილიჩმა უფრო შემტევი სქემა არჩია, რომელიც სამ გამოკვეთილ ფორვარდზე იყო გათვლილი, მაგრამ ამით ქართველთა გაუვალ ჯებირებს პრობლემები არ შექმნია.ხორვატებთან სენსაციური წარმატების მიზეზი კი სწორედ ქართველთა ჭკვიანური და თავდაუზოგავი თამაში იყო. გარდა ამისა, ქეცბაიამ შესანიშნავად გამოიცნო შეცვლები — განსაკუთრებით ეს მარცვალაძეზე ითქმის, რომლის მინდორზე შესვლის შემდეგ ჩვენს შეტევებსაც ცოტა ელფერი მიეცა. გოლამდე ათიოდე წუთით ადრე, მარცვალაძემ მშვენიერი სოლო-რეიდი განახორციელა სტუმართა კარისაკენ, მაგრამ ბოლო პასი ველარ გააკეთა და მომენტი განიავდა.

მატჩის აღწერა ბევრს ვერაფერს მოგვცემს. სტუმართა შეტევებიდანაც არაფერი იყო გამოსარჩევი. ნუკრი რევიშვილს სამჯერ მოუხდა ბურთის მოგერიება, მაგრამ განსაკუთრებული სირთულის არც ერთი არ ყოფილა.

ერთია, ყველაზე სანერვიულო გოლის შემდეგ მსაჯის მიერ კონპენსირებული 3 წუთი იყო. ამ დროს ხორვატები მთელი შემადგენლობით დასახლდნენ ჩვენს ნახევარზე და ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა. ნერვიულმა სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია, თუმცა, ყველაფერი „ჰეფი ენდით“ დასრულდა.

**მატჩის შემდეგ:**

ხორვატების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა**, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს გამარჯვება მიულოცა. პრესკონფერენციაზე მან ჯერ ხორვატი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, ხოლო შემდეგ — ქართული მასმედიის წარმომადგენლებს.

— ***როდესაც თბილისში ჩამოხვედით, განაცხადეთ, რომ ხორვატიის ნაკრები საქართველოსაზე უკეთესი იყო. დაამტკიცა თუ არა საქართველოს ნაკრებმა თამაშით, უკეთესი გუნდი რომელია?***

— გილოცავთ გამარჯვებას. ფეხბურთი იმიტომ არის კარგი თამაში, რომ ყოველთვის უძლიერესი ვერ იმარჯვებს. მოგებისთვის ჩამოვედი, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა, 60.000 გულშემატკივრის მხარდაჭერით ფანტასტიკურად ითამაშა, გვაჯობა ტექნიკურად და სისწრაფით.

— ***რას თვლით თქვენი ნაკრების წარუმატებლობის და საქართველოს ნაკრების წარმატების მიზეზად?***

— დაცვითი ფეხბურთის წინააღმდეგ თამაში გაგვიჭირდა. საქართველოს ნაკრებმა სივრცეები ჩაგვიკეტა. მოწინააღმდეგე თავს კარგად იცავდა და თავის შანსს ელოდა. როდესაც გოლის გატანის შანსი მიეცა, გამოიყენა კიდეც.

— ***საქართველოს ნაკრების თამაშში, რაიმე მოულოდნელობა იყო?***

— არანაირი სიურპრიზი არ ყოფილა. ერთადერთი ველოდი, რომ იქნებოდა ერთი-ორი ახალი მოთამაშე. საქართველოს ნაკრების სათამაშო სისტემა იგივე იყო, რაც წინა შეხვედრებში.

— ***შეიძლება თუ არა ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლში, საქართველოს ნაკრები აღმოჩენად ჩაითვალოს?***

— ძალიან დაძაბული ჯგუფია. თამაშამდე ვამბობდი, საქართველომ რომ წააგოს, ჯგუფიდან გასვლის შანსი მაინც ექნება-მეთქი. წააგო კი არა, მოიგო. თუმცა, ჩვენ მაინც უკეთეს მდგომარეობაში ვართ.

**თემურ ქეცბაია:**

— ქართულ ფეხბურთს მომავალი აქვს. ამიტომ, ყველა ერთად უნდა დაუდგეს გვერდით. მე ვერ წარმომედგინა სტადიონზე მოსული ამდენი ხალხი როგორ უნდა წასულიყო გულგატეხილი. ეს ხალხი უნდა დავტოვოთ სტადიონზე და ჩვენ გვინდა არა საქართველოს ნახევარი, არამედ, საქართველოს ასი პროცენტი იყოს ჩვენ



გვერდით. მსურს, გუნდის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მთელ საქართველოს, იმ ხალხს, ვინც სტადიონზე მოვიდა და ვინც ტელევიზორის წინ იჯდა ორი საათის განმავლობაში. დაძაბული და ძალიან ძნელი თამაში იყო, ვინაიდან არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვხვდებოდით. თუმცა, ბიჭებმა „ჯიგარი“ დადეს მოედანზე და მოხდა ის, რაც შეიძლებოდა მხოლოდ ზღაპარში წარმოგვედგინა. როდესაც არის მონდომება, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. მადლობა ბიჭებს ასეთი.

— ***მხოლოდ „ჯიგარი“ იყო გამარჯვების მიზეზი, თუ კიდევ სხვა რამ?***

— ჩვენზე უკეთეს გუნდს ვეთამაშებოდით და მთელი მატჩის განმავლობაში ბრძოლა მოგვიწია. მარტო ის არ არის ჩვენი მიზანი, რომ რაც შეიძლება მეტი წაუგებელი შეხვედრა ჩავატაროთ. ამიტომ, ველოდებოდით, რომ ამ თამაშში რაღაცას ავიღებდით. შესაძლოა, მოგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ ეს უკვე ჩვენ აღარ გვაწუხებს. მთავარია, რომ მოვიგეთ და სამი ქულა ავიღეთ. მთავარია, დავიჯეროთ, რომ ჩვენც შეგვიძლია. ამ თამაშის წინ, მოსამზადებლად მართლაც ყველა პირობა შეგვიქმნეს. დიდი მადლობა ბიძინა ივანიშვილს, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს თავისი ბაზა. მადლობა „სოკარს“, რომელმაც ბაზის მოედანზე ძალიან კარგი ბალახი დააგო. მადლობა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ფედერაციაში მუშაობს.

— ***გუნდმა განსხვავებული ორი ტაიმი ითამაშა. ეს ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო?***

— მართალი გითხრათ, იმედი მქონდა, რომ თუ ბოლომდე ვიბრძოლებდით, შეიძლება თამაშის მოგების შანსი გვქონოდა. გუნდში გვყავს ფეხბურთელთა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც კონტრშეტევაზე თამაში კარგად შეუძლია. თამაშამდე იყო საუბარი, რომ მარცვალაძე ნაკრებში ვერ ითამაშებდა სათანადო დონეზე. თუმცა, მოედანზე მისი შესვლით ბევრი რამ შეიცვალა და მარცვალაძემ ყველას არა მარტო დაუმტკიცა, რომ ნაკრებში თამაში შეუძლია, არამედ, გამარჯვებაში დიდი წვლილიც შეიტანა.

— ***სამ დღეში ისრაელთან გაქვთ თამაში. რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ მომავალ მატჩზე?***

— ჩვენთან დაკავშირებით უკვე პროგნოზების გაკეთება ძნელია. არა მგონია, უფრო ადვილი თამაში გვქონდეს, ვიდრე ხორვატიასთან. ისრაელი სახლში გაცილებით კარგად თამაშობს, ვიდრე სტუმრად. ბიჭებმა ეს იციან. ამიტომ, კარგად უნდა მოვემზადოთ და ისეთივე თავდადებით ვითამაშოთ ისრაელში, როგორც ხორვატიასთან. ისრაელში არაფერს დავთმობთ.

— ***მეკარემ გუნდის წარმატებაში დიდი როლი შეასრულა.***

— თამაშის წინ ისეთ სიტუაციაში ვიყავი, რომ 10 ფეხბურთელის სია ჩამოწერილი მქონდა და არ მქონდა გადაწყვეტილი, კარში ვინ დამეყენებინა. იმიტომ კი არა, რომ ლორია ცუდი მეკარეა. პირიქით, მან ძალიან კარგი თამაშები ჩაატარა ნაკრებში. იმასაც კი ვფიქრობდი, მონეტა ხომ არ ავაგდო და რაც დაჯდება, მეკარის საკითხი იმის მიხედვით გადავწყვიტო-მეთქი. საბოლოოდ, იმან გადაწონა, რომ რევიშვილმა რუსეთში, კლუბში ყველა ოფიციალური თამაში ჩაატარა და კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ეს გამარჯვება იმ ბიჭების დამსახურებაცაა, რომლებიც განაცხადში ვერ მოხვდნენ. ვგრძნობ, რომ მათ გული დაწყდათ, მაგრამ ეს ცუდი ნამდვილად არ არის.

**ლევან კობიაშვილი:**

— ძნელია, ასეთი თამაშის შემდეგ რაიმეს თქმა, რადგან ემოცია ძალიან დიდია. მინდა, შევუერთდე მთავარ მწვრთნელს და მივულოცო გამარჯვება ყველა გულშემატკივარს, ვინც სტადიონზე მოვიდა, ან ტელევიზორით უყურა თამაშს. იმ ხალხს, ვინც პირობები შეგვიქმნა, რომ კარგად მოვმზადებულიყავით. უბედნიერესი ადამიანი ვარ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გოლი გავიტანე, არამედ იმიტომ, რომ ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი ვარ. თითოეული წუთი, რომელსაც ამ ნაკრებში ვატარებ, ბედნიერს მხდის.

**დავით სირაძე:**

— ძალიან გახარებულები ვართ. დიდი როლი ითამაშა ჩვენმა მონდომებამ და ჯგუფის ფავორიტს მოვუგეთ. ულაპარაკოდ, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემს კარიერაში.

**ოთარ მარცვალაძე:**

— ძლიერ მეტოქეს არ შევუშინდით, სწორად ვითამაშეთ და ვფიქრობ, არანორმალური მონდომების წყალობით მოვიგეთ. რაც შეეხება საგოლე პასს, ამ მომენტს ვერასოდეს დავივიწყებ. კარგად მივიღე ბურთი და დანარჩენი უკვე თავადაც ნახეთ.

**აკაკი ხუბუტია:**

— ჯერ ვერ გამოვსულვარ ემოციიდან. ხორვატიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ ბოლომდე კონცენტრაციით ვითამაშეთ და მთელი საქართველო გავახარეთ. ბედნიერები ვართ.

ბოლო წუთები აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩებში. თუ ხორვატებთან ჩვენ გაგვიმართა, დანარჩენ მატჩებში ყველაფერი ჩვენს საპირისპიროდ მოხდა.

სულ რაღაც ცხრა წუთი რჩებოდა მატჩის დასრულებამდე, როდესაც კაიალიმ გამარჯვების მომტანი გოლი გაუტანა ლატვიელებს და ისრაელის ნაკრებს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა. ლუის ფერნანდესის გაწვრთნილებს, ზედიზეც 3 ოფიციალური შეხვედრა არ ჰქონდათ მოგებული და დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ, განსაკუთრების მას შემდეგ, რაც ბარდას ადრეულ გოლს საათის თავზე გორკშსიმ უპასუხა, მაგრამ მასპინძელთა უამრავი შეტევები, ბოლოს და ბოლოს ლოგიკურ დასასრულამდე მაინც მივიდა და ახლა ისრაელსა და საქართველოს ნაკრებებს, ჯგუფიდან გასვლისათვის მებრძოლის ვინაობის გარკვევა ურთიერთშეხვედრაში მოუწევთ.

რაღაც მომენტში, მალტაზე თითქოსდა ყველასათვის ნაცნობი სიტუაცია თავდაყირა უნდა დამდაგარიყო, მაგრამ ბერძნებმა, თუნდაც კაცნაკლულმა, იმდენი მოახერხეს, რომ მსაჯის

გაგრძელება მე-15 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევრო-2012. შესარჩევი ეტაპი**

გერმანია-ყაზახეთი ... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 5 | 5 | 0 | 0 | 17:1 | 15 |
| 2.ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 7 |
| 3.ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| 4.თურქეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| 5.აზერბაიჯანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |
| 6.ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:14 | 0 |

სომხეთი-რუსეთი ... 0:0
ანდორა-სლოვაკეთი ... 0:1
ირლანდია-მაკედონია ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სლოვაკეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| 2.რუსეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| 3.ირლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| 4.სომხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| 5.მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| 6.ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:12 | 0 |

ბოსნია-რუმინეთი ... 2:1
ალბანეთი-ბელარუსი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:1 | 12 |
| 2.ბელარუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:1 | 8 |
| 3.ალბანეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 8 |
| 4.ბოსნია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| 5.რუმინეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| 6.ლუქსემბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | 1 |

უელსი-ინგლისი ... 0:2
ბულგარეთი-შვეიცარია ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| 2.ჩერნოგორია | 4 | 3 | 1 | 0 | 3:0 | 10 |
| 3.შვეიცარია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 4.ბულგარეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | 4 |
| 5.უელსი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

კვიპროსი-ისლანდია ... 0:0
ნორვეგია-დანია ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| 2.პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| 3.დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 4.კვიპროსი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| 5.ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

**აფრიკის ერთა თასი**

ბურკინა ფასო-ნამიბია ... 4:0
გვინეა ბისაუ-უგანდა ... 0:1
კაპო ვერდე-ლიბერია ... 4:2
კენია-ანგოლა ... 2:1
მალავი-ტოგო ... 1:0
მალი-ზიმბაბვე ... 1:0
ჩადი-ბოსტვანა ... 0:1
რუანდა-ბურუნდი ... 3:1
სენეგალი-კამერუნი ... 1:0
ს.აფრიკა-ეგვიპტე ... 1:0

**ამხანაგური მატჩები**

იამაიკა-ვენესუელა ... 0:2
პანამა-ბოლივია ... 2:0
კოლუმბია-ეკვადორი ... 2:0
პორტუგალია-ჩილე ... 1:1
მექსიკა-პარაგვაი ... 3:1
აშშ-არგენტინა ... 1:1

**ამხანაგური მატჩები (21)**

რუმინეთი-ისრაელი ... 1:1
რუსეთი-გვინეა ... 7:3
სლოვაკეთი-ფინეთი ... 3:2

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ტორინო ... 0:4
პადოვა-ატალანტა ... 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-ალბასეტე ... 3:0
კარტახენა-ვილიარეალი ბ ... 2:0
კორდობა-ტარაგონა ... 1:0
ლას პალმასი-პონფერადინა ... 1:0
ნუმანსია-უესკა ... 3:1
ბარსელონა ბ-ალკორკონი ... 2:0
სელტა-უელვა ... 0:3

**არგენტინა. კლაუსურა**

ოლიმპი-სან ლორენსო ... 0:1
ლანუსი-რასინგი ... 4:1
რივერ პლეიტი-ოლდ ბოიზი ... 2:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ატლანტა-ნიუ ჯერსი ... 98:87
*ზაზა ფაჩულია: 3 ქულა, 7 მოხსნა*
შარლოტი-ნიუ იორკი ... 114:106
დეტროიტი-ინდიანა ... 100:88
მილუოკი-ჩიკაგო ... 87:95
იუტა-დალასი ... 77:94
კლიპერსი-ტორონტო ... 94:90

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. ჰარდი**

მელცერი-პეტშნერი ... 3:6;4:6
სიმონი-შუტლერი ... 6:4;6:3
გულბისი-ბერლოკი ... 1:6;6:2;4:6
როდიკი-კუევასი ... 4:6;6:7
ალმაგრო-ჟილი ... 6:4;3:6;6:2
ჩილიჩი-ტიპსარევიჩი ... 3:6;6:7
ბერდიხი-რამირესი ... 6:1;6:7;6:0
ნადალი-ნიშიკორი ... 6:4;6:4

**ვტა. მაიამი. ჰარდი**

დულყერუ-ლარსონი ... 6:2;6:1
იანკოვიჩი-ზაკოპალოვა ... 7:5;6:1
სტოსური-საფაროვა ... 6:0;7:6
შარაპოვა-ლისიცკი ... 6:2;6:0
პეტკოვიჩი-ბენეშოვა ... 6:0;6:3
ვოზნიაცკი-ჰანტუჩოვა ... 6:1;7:6

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ბოსტონი-რეინჯერსი ... 0:1
ლოს ანჯელესი-კოლორადო ... 4:1
აილენდერსი-ფილადელფია ... 1:4
ბუფალო-ნიუ ჯერსი ... 2:0
დეტროიტი-ტორონტო ... 4:2
კაროლინა-ტამპა ბეი ... 2:4
მონრეალი-ვაშინგტონი ... 0:2
მინესოტა-სენტ ლუისი ... 3:6
ნეშვილი-დალასი ... 4:2
ჩიკაგო-ანაჰაიმი ... 1:2
ფინიქსი-სან ხოსე ... 1:4
ედმონტონი-კალგარი ... 4:4(0:1ბ)

# თსუ-ს ვეღარ აჩერებენ



### შსს-თსუ 96:98(ოტ)

(39:27, 22:23, 18:15, 13:17 .დ. 12:14 დ.დ

**შსს:** წივწივაძე (16), ბ.ლეჟავა (21), კოტონი (13), დ.ბარბაქაძე (16), ტუჯანი (21ქ.11მ.); ნიკოლაძე, ი.ბერიშვილი (4), შერმადინი (5)

**თსუ:** გაფრინდაშვილი (21ქ. 13.), ფანჩულიძე (32), ჩიტაშვილი (9), მ.ბერიშვილი (13ქ. 13მ.), ლონდარიძე (10), კოხრეიძე, კორკოტაძე (5), მათიაშვილი (8)

დაუმარცხებელი მატჩების სერიას აგრძელებს საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა მე-20 ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი თსუ, რომელმაც ამჯერად, უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში, მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდ შსს-ს, ოვერტაიმში 98:96 მოუგო და პირველი ადგილი შეინარჩუნა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩმა გულშემატკივართა იმედები გაამართლა.გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი მეოთხედის ბოლო წუთებში, შსს 7 ქულით დაწინაურდა, მაგრამ საბოლოოდ, ორქულიან უპირატესობას დასჯერდა — 30:28.

მე-2 მეოთხედი სტუდენტების უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით, გუნდის კაპიტანი, მიხეილ ფანჩულიძე აქტიურობდა. მის მიერ ზედიზედ სამი ჩაგდებული სამქულიანის შემდეგ, ამჯერად, შსს აღმოჩნდა მდევრის როლში — 30:37. ამის შემდეგ, კვლავ ძალოვნები გააქტიურდნენ და დავით უსტიაშვილის შეგირდებმა პირველი ტაიმი ერთი ქულის სხვაობით მოიგეს — 52:51.

სიტუაცია არც მე-2 ტაიმში შეცვლილა — ხან ერთი გუნდი იყო წინ და ხან მეორე. ვითარება განსაკუთრებით მეორე ტაიმის ბოლო წუთებში დაიძაბა. ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთითა და 46 წამით ადრე, მე-5 ჯარიმა მიიღო თსუ-ს ძირითადმა ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა და მოედანი დატოვა. მისი ადგილი ილია ლონდარიძემ დაიკავა. ამ დროს 79:78 იყო შსს-ს სასარგებლოდ. თუმცა, ბოლოს 2 ქულით სტუდენტები დაწინაურდნენ, მაგრამ ძალოვნებმა მაინც მოახერხეს მისი ოვერტაიმში გადაყვანა.დამატებითი 5-წუთიანი ტაიმის დასაწყისში ფანჩულიძისა და მიხეილ ბერიშვილის მიერ შესრულებული თითო სამქულიანის შემდეგ, თსუ 96:89 დაწინაურდა. მართალია, შსს ბევრს ეცადა, მაგრამ ანგარიშში სხვაობა მხოლოდ ორ ქულამდე დაიყვანა — ბექა წივწივაძის ბოლო წამზე მის მიერ ნასროლმა სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი — 32 ქულა, თსუ-ს ფორვარდმა მიხეილ ფანჩულიძემ დააგროვა. 21 ქულითა და 11 პასით, ორმაგი დუბლის ავტორი გახდა ფანჩულიძის თანაგუნდელი, უკანახაზელი გიორგი გაფრინდაშვილი, რომელიც მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

შსს-ს მხრიდან ყველაზე შედეგიანები, გამთამაშებელი ბექა წივწივაძე (21ქ.) და მძიმე ფორვარდი ჟოლივეტ ტუჯანი-ტალბა (21ქ. 11მ.) აღმოჩნდნენ.

### თსსუ — ქუთაისი 93:70

(2§:29, 24:21, 24:14, 17:15

**თსსუ:** გულისაბედაშვილი (15), როჯერსი (23), ჩაჩიბაია (9), ბექაური (6), დვალიშვილი (22ქ.14მ.); თავართქილაძე, როდუმტა (8), ჭოჭუა (10)

**ქუთაისი:** კვიმსაძე (20), ცეკვავა, დიდია (10), გ.ბარბაქაძე, ბოლქვაძე (8); ბაბუნაშვილი (22), ტუკვაძე, ლომინაშვილი (6), კოლუაშვილი (4)

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თსსუ — ქუთაისიის შეხვედრა. შეგახსენებთ, რომ ქუთათურები კარგ სეზონს ატარებენ და შსს-სთან ერთად 3-4 ადგილებს იყოფენ. რაც მთავარია, ამ მატჩამდე უკვე იცოდნენ მეტოქის მარცხის ამბავი და მოგების შემთხვევაში შეეძლოთ, მესამე ადგილზე მყარად დამკვიდრებულიყვნენ, თუმცა, ფავორიტობის მიუხედავად, მაინც დამარცხდნენ.

თსსუ-ს კარგი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ არასტაბილურად თამაშობენ და აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდნენ. ამჯერად კი, შესანიშნავად ითამაშეს, ფავორიტად მიჩნეულ მეტოქეს დიდი ანგარიშით მოუგეს, რითიც რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრაზე, სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

მატჩში საუკეთესო იყო თსსუ-ს ამერიკელი ლეგიონერი, უკანახაზელი ჯეფ როჯერსი, რომელმაც ყველაზე მეტი, 23 ქულა დააგროვა. ორმაგი დუბლი (22ქ.14მ.) როჯერსის თანაგუნდელმა, ცენტრალურმა თავდამსხმელმა აკაკი დვალიშვილმა მიითვალა.

ასევე 22 ქულის ავტორი გახდა სტუმართა უკანახაზელი თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რომელიც თანაგუნდელთაგან ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა.

### სოხუმი — სტუ 98:55

(31:16, 15:15, 23:7, 28:16

**სოხუმი:** ფარლალავა (28), ჰარისი (18), ჩლაიძე (9), კვეტენაძე (17), კ.დამუსი (10); შანიძე (8), სორდია (3), კანკია, რ.დამუსი (5)

**სტუ:** ლომოური (17), ვ.ბერუაშვილი (10), ლაშქარაძე, ძიძიგური (4), ახალკაცი; ჭოხონელიძე (4), გასიტაშვილი, თევზაძე, კობიძე (10), ჯანგველაძე (10), მჭედლიშვილი

მატჩის მოგება „სოხუმს“ არ გასჭირვებია, მით უფრო, რომ მეტქეს მთავარი დამრტყმელი ძალა, ბექა ჩიკვილაძე აკლდა.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი, 28 ქულა □სოხუმის□ უკანახაზელ ლაშა ფარლალავას ანგარიშზე მოდის. სტუდენტების მხრიდან ყველაზე მეტი, 17 ქულა ფორვარდმა აკაკი ლომოურმა დააგროვა.

### დინამო — არმია 60:102

(6:2§, 1§:21, 18:21, 17:33

**დინამო:** ეძგვერაძე (22), ივანეიშვილი (10), გლუნჩაძე (2), ჩაველაშვილი, თავამაიშვილი (4); პატარაია (2), თვაური (8), შალიკიანი, ალხანაიძე (6), გულდედავა (6)

**არმია:** ბაქრაძე (7), ბოისა (2), საყვარელიძე (29), პირველაშვილი (6), შარაბიძე (28); მინაშვილი (17), ვახანია (5), მოსეშვილი (7), ათანელიშვილი (1)

როგორც მოსალოდნელი იყო, იოლი გამარჯვება მოიპოვა „არმიამ“, რომელიც ბოლო ადგილზე მყოფ „დინამოს“ ეთამაშება.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი, 29 ქულა „არმიას“ უკანახაზელმა, დავით საყვარელიძემ მიითვალა. „დინამოს“ მხრიდან ყველაზე შედეგიანი, ასევე უკანახაზელი ლაშა ეძგვერაძე იყო, რომლის ანგარიშზეც 22 ქულაა.

### ბათუმი — ენერჯი ინვესტი 79:56

(14:13, 14:13, 27:11, 23:18

**ბათუმი:** ნინუა (8), სანაძე (25), ელიაშვილი (6), კეშელავა (7), ჩხატარაშვილი (15ქ. 16მ); ყველაშვილი (14), რამიშვილი (4)

**ენერჯი:** მაჭავარიანი (18), მებურიშვილი (4), აბაიშვილი (18), ლამუ, გუგავა (13ქ. 10მ.); არაბული (2), აბულაძე (2)

ზღვისპირელებმა რუსთავის „ენერჯი ინვესტს“ უმასპინძლეს და მეტოქე იოლად 79:56 დაამარცხეს. ბათუმელებმა ყველა პერიოდი მოიგეს და გამარჯვება არ გასჭირვებიათ.

მასპინძელთაგან საუკეთესო 25 ქულით დუდა სანაძე გახლდათ, ხოლო რუსთაველთა მხრიდან 18 ქულით ზურა მაჭავარიანი გამოირჩა. ორმაგი დუბლი 13 ქულითა და 10 მოხსნით დავით გუგავას ანგარიშზეა.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 18 | 5 | 3 | 1980:1462 | 33 |
| 2.არმია | 17 | 15 | 2 | 1482:1162 | 32 |
| 3.შსს | 17 | 12 | 5 | 1501:1302 | 29 |
| 4.ქუთაისი | 17 | 12 | 5 | 1374:1243 | 29 |
| 5.სოხუმი | 18 | 11 | 7 | 1474:1344 | 29 |
| 6.ენერჯი | 17 | 7 | 10 | 1188:1280 | 24 |
| 7.თსსუ | 17 | 6 | 11 | 1250:1254 | 23 |
| 8.ბათუმი | 17 | 6 | 11 | 1324:1395 | 23 |
| 9.სტუ | 17 | 5 | 12 | 1341:1469 | 22 |
| 10.სსაუ | 17 | 4 | 13 | 1198:1392 | 21 |
| 11.დინამო | 18 | 2 | 16 | 1232:1741 | 20 |

# რაც აქამდე არ მომხდარა — ეკვატორზე ევროშანსი გველირსა

დასაწყისი მე-14 გვერდზე

მიერ მეოთხე დამატებულ წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანეს და ჯგუფში პოზიციები საგრძნობლად გაიმყარეს.

### ისრაელი — ლატვია 2:1

*1:0 ბარდა (16), 1:1 გორკუში (62), 2:1 კაიალი (81)*

**ისრაელი:** ავატე, ბენ ჰაიმი, ზივი (საჰარი 66), ტავატა, გერშონი, კოენი, რაფაელოვი (ვერმოტი 83), ნატჰო, კაიალი, ბარდა (ბუზალო 69), დამარი.

**ლატვია:** ვანინსი, ივანოვსი, გორკუში, კაჩანოვსი, კრიაუკლისი, რუბინსი (პერეპლატკინსი 57), ლაზინსი, რაფალსკისი (ჟიგაევსი 58), ლუკიანოვსი, ვერპაკოვსკი (ტურკოვსი 73), რუდნევსი.

### მალტა — საბერძნეთი 0:1

*0:1 ტოროსიდისი (90)*

**მალტა:** ჰაბერი, მამო, აგიუსი, კარუანა (პასე 46), ბაიადა (ფენეჩი 77), შიბერასი, ბრიფა, ჰათჩინსონი, მიფსუდი, შემბრი (კოჰენი 90/1), ბოგდანოვიჩი.

**საბერძნეთი:** ცორვასი, პაპადოპულოსი, ტოროსიდისი, პაპასტოპულოსი, ცაველასი, კარაგუნისი, კაცურანისი, ნინისი (კონე 81), ლიბეროპულოსი (მიტროღლუ 70), სალპიგიდისი (იოანისი 61), სამარასი.

**გაძევება:** პაპასტოპულოსი (84)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბერძნეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| 2.ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| 3.საქართველო | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| 4.ისრაელი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| 5.ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| 6.მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | 0 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში რადიაციამ დასაშვებს 10 მილიონჯერ გადააჭარბა

იაპონიის ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის მეორე ენერგობლოკში წყალში რადიაციის დონემ ნორმას 10 მილიონჯერ გადააჭარბა. ხელისუფლები იძულებული გახდნენ, ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე მომუშავე ადამიანების ევაკუაცია მოეხდინათ.

იაპონელი ჟურნალისტების თქმით, რეაქტორიდან გამომავალ წყალში გამოსხივება საათში 1000 მილიზივერტს აღწევს.

ადამიანისათვის სასიკვდილო შეიძლება იყოს ერთჯერადი დასხივება 5 ათასი მილიზივერტის ოდენობით, ხოლო 350 მილიზივერტი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადასახლების მიზეზი გახდა.

ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ოპერატორის, კომპანია „ტოკიო ელექტრიქ ფაუერის“ წარმომადგენლების ვარაუდით, რადიაციის მაღალი დონე რეაქტორის აქტიური ზონის დაზიანების შედეგს შეიძლება წარმოადგენდეს.

სპეციალისტებს ამ ვარაუდის საბოლოოდ დადასტურება არ შეუძლია.




გარდა ამისა, ექსპერტებმა რადიაციის მაღალი დონე ფუკუსიმას მახლობლად, ოკეანის წყალშიც აღმოაჩინეს. კერძოდ, რადიოაქტიური იოდის შემცველობა ნორმას 1250-ჯერ აღემატებოდა. რადიოაქტიური იოდის შემცველობა ნაპირიდან 350 მ-ის მოშორებით გაზომეს.

იმავდროულად, იაპონელი ჩინოსნების განცხადებით, ზღვაში რადიაციის დონე რვა დღის შემდეგ სახიფათო აღარ იქნება, რადგან რადიოაქტიური იოდის ნახევარდაშლის პერიოდი სწორედ რვა დღეს შეადგენს.

იაპონიის ატომური ელექტროსადგურის ავარია გამანადგურებელი სიძლიერის მიწისძვრამ და მისმა მომდევნო ცუნამიმ გამოიწვია. სტიქიური უბედურების შემდეგ სადგურის ყველა რეაქტორი ავტომატურად გამოირთო, მაგრამ მწყობრიდან გამოვიდა რეაქტორების გაგრილების სისტემა.

მიწისძვრის შემდეგ იაპონიის ხელისუფლები რეაქტორების გაგრილებას ცდილობენ. თავდაპირველად ამ მიზნით ზღვის წყალს იყენებდნენ, მაგრამ სადგურისათვის ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის შემდეგ ტუმბოებმა მტკნარი წყლის გადატუმბვა დაიწყეს.

იაპონიის მთავრობის ოფიციალური პირების განცხადებით, ვითარება ატომურ ელექტროსადგურზე რთულია, საფრთხე მაღალია, მაგრამ ვითარება კონტროლს ექვემდებარება.

იაპონიის მთავრობის წარმომადგენელ იუკიო ედანოს თქმით, ისინი ოპტიმისტურად არ არიან განწყობილი, მაგრამ ჯერჯერობით მოვლენების უარესი მიმართულებით განვითარების თავიდან აცილებას ახერხებენ.

გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ფუკუსიმას სადგურზე თავისი წარმომადგენლების რიცხვის ზრდას აპირებს. მათი აზრით, ატომური ელექტროსადგურის კრიზისმა რამდენიმე დღეს შეიძლება გასტანოს.

ოფიციალური ტოკიო იმავდროულად აცხადებს, რომ ატომური ელექტროსადგურის ოპერატორმა კომპანიამ სადგურის მუშაობის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ წარმოადგინა. ეს განცხადება გავრცელდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე მომუშავე რამდენიმე ადამიანი დასხივების გამო საავადმყოფოში მოათავსეს.

ოკეანის წყლის რადიოაქტიური დაბინძურების შემდეგ იაპონელებმა თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების საკვებად გამოყენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სავსებით მართებული შეკითხვები დასვეს.

იაპონიის ხელისუფლები ჯერჯერობით კვების რაციონში ზღვის პროდუქტების შეზღუდვის მიზეზს ვერ ხედავენ. იაპონური პროდუქტების იმპორტიორებმა იმავდროულად ზოგიერთ პროდუქტში რადიოაქტიური დაბინძურების კვალი შეამჩნიეს, მაგრამ დონე ადამიანებისათვის სახიფათო არ არის.

მიუხედავად ამისა, სინგაპურმა, ჰონგ კონგმა და აზიის სხვა ქვეყნებმა იაპონიის ფუკუსიმას, იბარაკის, ტოტიგისა და განმას პრეფექტურებიდან ბოსტნეულის, რძისა და ზღვის პროდუქტების იმპორტი აკრძალეს.

იმავე ზომებს მიმართეს რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნებისა და ავსტრალიის ხელისუფლებმა. ფუკუსიმას პრეფექტურის მოსახლეობას ათი სახეობის ბოსტნეულის საკვებად გამოყენებისაგან თავის შეკავება ურჩიეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 28 მარტი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ.ფ.**"საიდუმლო ფანჯარა"** (**15**) (ჯ. დეპი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია **05.05** მხ. ფილმი **"შიშის მემკვიდრეობა"** (18)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"მედლინი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ.ფ.**"მამაკაცები შავებში"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"შავი ქორის დესანტი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (გან.) **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"დენი დაბმული ძაღლი"** (**18**) (ჯეტ ლი) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ.**"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ.**"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** მუსიკალური ლიგა **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** მხ.ფ.**"ნამდვილი მაკკოი"** (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **02.05** მხ. ფილმი **"მოგზაური"** (**18**) (დ. არკეტი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"კერკეტი კაკალი 2"** (**12**) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** სერ. **"მონადირე"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მხოლოდ შენ"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ.ფ.**"თეთრი ქარავანი"** **13.30** კონცერტი – ე. სავიცკი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** სპექტაკლი **"შიში"** **17.25** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ლუარსაბ თათქარიძე"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** მოკლემ. ფ.**"ზვიანეთი"** **21.40** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლ.ფ.**"წითელი ბუშტი"** **00.30** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**28 მარტი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,704

ევრო — 2,4135

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7714

რუსული რუბლი — 0,06

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 6-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 16-29, ღამით — 8-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 8-18, ღამით — -3-6

## ამინდის პროგნოზი 28 მარტისთვის






## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.

# ქართული ისარი ევროპულად მოოქროვდა

**საქართველოს ქალ მშვილდოსანთა ნაკრებმა — ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე, ესპანეთის ქალაქ კამბრილსში მიმდინარე ზამთრის მე-13 ევროპის ჩემპიონატი წარმატებულად ჩაატარა, ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა და 26 მარტს გადამწყვეტი შეხვედრა უკრაინის ნაკრებს 221:215 მოუგო.**

საინტერესოა, რომ ქართველმა მშვილდოსნებმა შარშან ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიგეს, ახლა კი ოქროს მედლები დაისაკუთრეს. ქართველმა მშვილდოსნებმა ფინალამდეც საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჩამოიცილეს. ინდივიდუალური შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები მეოთხედფინალში მე-4 შედეგით შევიდა და ორი გამარჯვების მოპოვება მოახერხა.

ქართველებმა მე-5 განთესვის მქონე პოლონეთს 227:219 აჯობეს, შემდეგ კი პირველ ნომრად განთესილ რუსებთან ურთულესი ბრძოლა გადახდათ, ქართულ-რუსული დაპირისპირების ძირითადი ეტაპი ფრედ, 226:226 დასრულდა, ფრედ დამთავრდა პირველი დამატებითი რაუნდიც — 29:29, მე-2 დამატებითში კი ქართულმა ტრიომ 29:25 გაიმარჯვა.

მე-3 ადგილისთვის მატჩი კი რუსებმა იტალიელებს დამატებით რაუნდში 30:28 მოუგეს (ძირითადი 231:231 დასრულდა). რაც შეეხება ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატს, აქ ქართველები არცთუ შედეგიანად გამოვიდნენ. შესარჩევ რაუნდში ხათუნა ნარიმანიძემ მე-5 შედეგი (289 ქულა) აჩვენა, ქრისტინე ესებუა და ასმათ დიასამიძე კი ერთნაირი მაჩვენებლით (284) მეთვრამეტე-მეცხრამეტე ადგილებს დასჯერდნენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



## ასტროპროგნოზი 28 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, საქმე გაამართლებს. **კურო** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, მთავარია იმედი არ დაკარგოთ. **ლომი** — მშვენიერ ფორმაში ხართ, ასე განაგრძეთ. **ქალწული** — საღამოს სასიამოვნო ამბავს გაიგებთ, ძალიან გაგიხარდებათ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად გაატარეთ ეს დღე. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — თავს ზედმეტ მოთხოვნებს ნუ წაუყენებთ, დამშვიდდით. **მერწყული** — არ აყვეთ ჭორებს, მოთოკეთ ნერვები. **თევზები** — ახალ სამსახურს დაიწყებთ, კმაყოფილი დარჩებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

21 მარტიდან

იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 1

განდი

გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი




## იუმორი



— სულელს თუ ასწავლი, სწავლულ სულელს მიიღებ...

***

— აბა გამოიცანი, რა არის, წითელია და კბილებისათვის ძალიან მავნეა.

— აგური...

***

პატარა ბავშვი სუპერმარკეტში დაიკარგა. დგას და ტირის.

კეთილი ადამიანები ამშვიდებენ, დედა მალე მოვაო და თან მოძღვრავენ:

— დედის კაბისათვის უნდა ჩაგევლო ხელი!

— ვცადე, მაგრამ ვერ მივწვდი...

***

— ცოლიან მამაკაცს ვუვუზელათი ვერ შეაშინებ...

გ. თ.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. სპილოს მსგავსი გადაშენებული ცხოველი; 6. რაიმე საქმის დამწყები; 8. სიმინდის ყვავილედი; 9. ... კროუფორდი; 10. ზაფხულის თვე; 11. ლანგარი; 13. ჯვაროსანთა ოჯახის ცხარე გემოს მცენარე; 14. რომის პაპის გვირგვინი; 16. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 18. ნაყოფის მომწიფების პერიოდი; 20. ანკესის ძაფზე მიბმული კორპის ნაჭერი; 21. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო.

**შვეულად:** 1. სახელმწიფო აფრიკაში; 2. პერგამენტი; 3. შესასწავლი ობიექტის გამოკვლევა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 4. ცხოველის წვრილი და ნაზი ბალანი; 5. ანდამატი; 7. ბიზეს ოპერა; 11. დიდი მტაცებელი ფრინველი; 12. წყლიანი ადგილი უდაბნოში; 13. სატირული ხასიათის ვისიმე მიბაძვა; 14. ბრმა ნაწლავის ანთება; 15. დასავლეთ ევროპის ქალაქებში საქირაო ეტლი; 17. ძლიერი შთაბეჭდილება; 19. შინაური ცხოველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*